

IFAC HANDBOOK 1998

Technical Pronouncements

ბსფ ცნობარი 1998

აუდიტის ოფიციალური ტექნიკური დოკუმენტები

IFAC COPYRIGHT AND ACKNOWLEDGMENT FOR TRANSLATIONS:

Copyright © International Federation of Accountants

All standards, guidelines, discussion papers and other IFAC documents are the copyright of the International Federation of Accountants (IFAC), 535 Fifth Avenue, 26th Floor, New York, New York, 10017, USA; Tel: 1-212/286-9344, Fax: 1-212/286.9570, Internet <http://www.ifac.org>

All rights reserved. No part of this publication may be reproduced, stored in a retrieval system, or transmitted, in any form or by any means, electronic, mechanical, photocopying, recording or otherwise, without the prior written permission of IFAC.

The IFAC pronouncements in this volume have been translated into Georgian Language under the supervision of the Audit Activity Council at the Parliament of Georgia, with the assistance of the Georgian Federation of Professional Accountants and Auditors, and are reproduced with the permission of IFAC. (Permission was granted on January 4, 1999). The approved text of all IFAC documents is that published by IFAC in the English language.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის საავტორო უფლება და თარგმანის აღიარება:

საავტორო უფლება © ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია .

ყველა სტანდარტზე, სადისკუსიო მასალებსა და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის სხვა დოკუმენტებზე საავტორო უფლება ეკუთვნის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციას (IFAC), 535, მეხუთე ავენიუ, 26-ე სართული, ნიუ-იორკი, ნიუ-იორკის შტატი, 10017; ტელ: 1-212/286-9344, ინტერნეტი: <http://www.ifac.org>

ყველა საავტორო უფლება დაცულია. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე დაუშვებელია ამ გამოცემის ნებისმიერი ნაწილის გამრავლება, სისტემაში შენახვა ან გადაცემა ნებისმიერი ფორმით – ელექტრონული, მექანიკური, ფოტოკოპირებისა და ჩანაწერების გამოყენებით, აგრეთვე, სხვა ნებისმიერი საშუალებით.

წინამდებარე ტომში წარმოდგენილი ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალური ტექნიკური დოკუმენტები თარგმნილია ქართულ ენაზე საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციასთან ერთად და გამოცემულია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის ნებართვით (ნებართვა გაცემულია 1999 წლის 4 იანვარს). ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის ყველა დოკუმენტის ტექსტი ქართულ ენაზე იდენტურია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის ინგლისურენოვანი გამოცემისა.

IFAC HANDBOOK 1998
*Audit Technical
Pronouncements*
Volume 2

ბსზ ცნობარი 1998

აუდიტის
ოფიციალური
ტექნიკური
დოკუმენტები

ნაწილი 2

INTERNATIONAL FEDERATION OF ACCOUNTANTS
ბუნალტერთა საერთაშორისო შეჯერაცია




Tbilisi 1999 თბილისი

Edition prepared for publication by DIAL Co, Ltd.
12, Al. Kazbegi Ave., Tbilisi, Georgia
Telephone: +995 32 38-88-04 Fax: +995 32 94-00-56,
E-mail : dial@mmc.net.ge.


Printed by Bakur Sulakauri Publishing
150 A, David Agmashenebeli Ave., Tbilisi, Georgia.
Telephone: + 995 32 95-19-10

წიგნი დასასტამბად მოამზადა:
შ.პ.ს. „დიალმა“ თბილისი, ალ. ყაზბეგის 12.
ტელ: 38-88-04, ფაქსი: 94-00-56
ელ. ფოსტა: dial@mmc.net.ge.

წიგნი დაბეჭდა:
შ.პ.ს. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“
თბილისი, დავით აღმაშენებლის 150.
ტელ: 95-19-10, 8(99)50-19-57



1000 copies
ტირაჟი 1000



ISBN 1-887464-26-3 (Original Edition)
ISBN 99928-52-22-4 (Set, ორივე ტომი)
ISBN 99928-52-24-0 (Volume two, მეორე ტომი)

IFAC Handbook 1998 – Audit Technical Pronouncements . These are the technical provisions of audit which in practice are called International Standards on Auditing. Translation and publication of the standards in Georgian were made possible through technical and financial assistance of United States Agency for International Development (USAID) to which we express our immense gratitude.

Audit Activity Council at the Parliament of Georgia

**Georgian Federation of Professional
Accountants and Auditors**

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის ცნობარი 1998 წ. – აუდიტის ოფიციალური ტექნიკური დოკუმენტები წარმოადგენს აუდიტის ტექნიკურ დებულებებს, რომელთაც პრაქტიკაში აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს უწოდებენ. სტანდარტების ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა ტექნიკურად და ფინანსურად უზრუნველყო აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტომ, რისთვისაც დიდ მადლობას ეუხლით მას.

**საქართველოს პარლამენტთან არსებული
აუდიტორული საქმიანობის საბჭო**

**საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და
აუდიტორთა ფედერაცია**

GEORGIAN TRANSLATION OF AUDIT TECHNICAL PRONOUNCEMENTS **prepared for publishing by:**

Chief Editor **Nodar Kebabze**
Technical Editor **Elguja Apridonidze**

Principal Consultant **Vlad Shekoyan, Senior Advisor**
USAID Georgia Enterprise Accounting Reform Project

Translated from English by:

The USAID Georgian Enterprise Accounting Reform Project :

M. Chelidze, Ph.D.,
N. Bendukidze,
M. Purtseladze,
T. Makhatadze.

Experts and editors:

Department of Legal, Methodology and Standards of Audit Activity Council at the Parliament of Georgia:

M. Khmaladze, Dr. of Economic Sciences,
A. Kavtievski,
B. Alaverdashvili,
M. Churadze,
D. Churadze;

Z. Kharatishvili, Deputy Chair of the Georgian Federation of Professional Accountants and Auditors;

I. Dolidze, Deputy Head of the GFPAA Committee on Standards and Practice;

D. Ramishvili, GFPAA Committee member;

T. Partskhaladze, GFPAA Committee member;

B. Biseishvili, Georgian Audit Corporation;

Z. Nikvashvili, Georgian Audit Consulting Firm.

D. Gotoshia, Co. Ltd.

Text style and editing:

Audit Activity Council at the Parliament of Georgia, Information-Publishing Department:

N. Mamardashvili,
R. Marghania,
M. Akubardia,
M. Uturgaidze.

Final review:

T. Uturgaidze, Tbilisi State University, Doctor of Philological Sciences, Professor;

O. Chaduneli, Tbilisi State University, Head of the Chair of Accounting and Audit;

V. Katsitadze, auditor;

T. Mtiulishvili, auditor.

**აუდიტის ოფიციალური ტექნიკური დოკუმენტაცის
ძართული თარგმანი
გამოსაცემად მოამზადეს:**

**მთ. რედაქტორი
ტექ. რედაქტორი**

**ნოდარ ქებაძე
ელგუჯა აფრიდონიძე**

მთავარი კონსულტანტი

**ვლად შეკოიანი, უფროსი მრჩეველი,
აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს
საქართველოს საწარმოთა ბუღალტრული
აღრიცხვის რეფორმის პროექტი**

**ტექსტი ინგლისური
ენიდან ითარგმნა**

**აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს
საქართველოს საწარმოთა ბუღალტრული
აღრიცხვის რეფორმის პროექტის მიერ:**
მ. ჭელიძე, ფ.მ.კ.;
ნ. ბენდუქიძე;
მ. ფურცელაძე;
თ. მახათაძე.

**ექსპერტები და
რედაქტორები:**

- საქართველოს პარლამენტთან არსებული
აუდიტორული საქმიანობის საბჭოს სამართლებრივი
უმრუნველყოფის, მეთოდური მუშაობისა და
სტანდარტების განყოფილება:
მ. ხმალაძე, ე.მ.დ., პროფესორი
ა. კაეთიუესკი
ბ. ალავეერდამეილი
მ. ჭურაძე
დ. ჭურაძე
- მ. ხარაგიშვილი, საქართველოს პროფესიონალ
ბუღალტრთა და აუდიტორთა ფედერაციის
გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე
- ი. დოლიძე, ფედერაციის სტანდარტებისა და
პრაქტიკის კომიტეტის თავმჯდომარე
- დ. რამიშვილი, კომიტეტის წევრი
- თ. ფარცხალაძე, კომიტეტის წევრი
- ბ. ბისიშვილი, საქართველოს აუდიტორთა
კორპორაცია
- მ. ნიქვაშვილი, "ჯ-ს-ჯ აუდიტი".
- დ. ვოთოშია, შ.ს.ს. „ორისი“.

**ქართული გამოცემის
სტილი და კორექტურა:**

- საქართველოს პარლამენტთან არსებული
აუდიტორული საქმიანობის საბჭოს საგამომცემლო
უმრუნველყოფის განყოფილება:
ნ. მამარდაშვილი,
რ. მარღანია
მ. აქუბარდია,
მ. უთურგაიძე

რეცენზენტები:

- თ. უთურგაიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქართული ენის კათედრის პროფესორი.
- ო. ჩადუნელი, ე.მ.კ., თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის
კათედრის გამგე
- ფ. კაციტაძე, აუდიტორი
- თ. მთიულშიშვილი, აუდიტორი.

No responsibility for loss occasioned to any person acting or refraining from action as a result of any material in this publication can be accepted by the author or publisher.

Due to subtleties in the construction of the Georgian language and the lack of some technical audit terminology, some difficulties arose in the preparation of this translation. Therefore, the reader is encouraged to refer to the English original if there is any uncertainty.

The Editorial Board and the Publishers welcome any comments or suggestions for future editions.

ავტორი და გამომცემელი არ აგებს პასუხს წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე ნებისმიერი პირის მოქმედებით ან უმოქმედობით გამოწვეულ ზარალზე.

ქართული ენის სტრუქტურის თავისებურებებისა და აუდიტის მოგიერთი ტექნიკური ტერმინის უქონლობის გამო გარკვეულ სირთულეებს წაეაწყდით თარგმნილი გამოცემის მომზადებაში. მკითხველს ვურჩევთ გაურკვევლობის შემთხვევაში მიმართოს ინგლისურ ორიგინალს.

რედაქტორთა საბჭო და გამომცემლები მიესალმებიან თქვენს შენიშვნებსა და მოსაზრებებს მომავალი გამოცემებისათვის

AUDITING

July 1994

CODIFICATION OF INTERNATIONAL STANDARDS ON AUDITING AND INTERNATIONAL AUDITING PRACTICE STATEMENTS

Contents of this Section —
Subject Matter

აუდიტი

ივლისი 1994წ.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის დებულებების კოდიფიკაცია

ამ განყოფილების სარჩევი—
განსახილველი საკითხები

Subject Matter Number and Document Title	Page	საკითხთა ნუმერაცია და დოკუმენტის სათაური	გვ.
<u>900-999 Related Services</u>		<u>900-999 დაკავშირებული მომსახურება</u>	
910 Engagements to Review Financial Statements	1	910 გარიგებები ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის შესახებ	1
920 Engagements to Perform Agreed-Upon Procedures Regarding Financial Information	47	920 გარიგებები ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავ- შირებით შეთანხმებული პროცედურების ჩაგარებაზე	47
930 Engagements to Compile Financial Information	67	930 გარიგებები ფინანსური ინფორმაციის კომპილაციის შესახებ	67

1000-1100 International Auditing Practice Statements

1000-1100 აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის დებულებები

1000 Inter-Bank Confirmation Procedures

86

1000 ბანკთაშორისი დასტურის პროცედურები

86

1001 CIS Environments—Stand-Alone Microcomputers

100

1001 კომპიუტერული საინფორმაციო სისტემების (კსს) გარემო – განცალკევებული მიკროკომპიუტერები

100

1002 CIS Environments—On-Line Computer Systems

128

1002 კომპიუტერული საინფორმაციო სისტემების (კსს) გარემო – ოპერატიულ რეჟიმში მომუშავე კომპიუტერული სისტემები

128

1003 CIS Environments—Database Systems

153

1003 კომპიუტერული საინფორმაციო სისტემების (კსს) გარემო – მონაცემთა ბაზის სისტემები

153

1004 The Relationship Between Bank Supervisors and External Auditors

174

1004 ბანკის ზედამხედველებისა და გარე აუდიტორების ურთიერთობა

174

1005 Particular Considerations in the Audit of Small Businesses

218

1005 ცალკეული მოსაზრებები მცირე საწარმოთა აუდიტზე

218

1006 The Audit of International Commercial Banks

235

1006 საერთაშორისო კომერციული ბანკების აუდიტი

235

1007 Communications With Management

371

1007 ურთიერთობა ხელმძღვანელობასთან

371

1008 Risk Assessments and Internal Control—CIS Characteristics and Considerations

383

1008 რისკის შეფასება და შიდა კონტროლი – კომპიუტერული საინფორმაციო სისტემების (კსს) მახასიათებლები და მათი განხილვა

383

1009 Computer-Assisted Audit Techniques	402	1009 აუდიტის ჩატარების მეთოდთა კომპიუტერის მეშვეობით	402
1010 The Consideration of Environmental Matters in the Audit of Financial Statements	422	1010 ეკოლოგიური საკითხების გათვალისწინება ფინანსური ანგარიშგების აუდიტში	422
1011 Implications for Management and Auditors of the Year 2000 Issue	481	1011 2000 წელთან დაკავშირებული პრობლემის მნიშვნელობა ხელმძღვანელობისა და აუდიტორებისათვის	481
530 Audit sampling and other selective testing procedures	514	530 აუდიტორული შერჩევა და სხვა შერჩევითი ტესტირების პროცედურები	514
Summary of Discussion Paper:	558	სადისკუსიო დოკუმენტის შეფასება:	558
• The Audit Profession and the Environment	558	• აუდიტის პროფესია და გარემო	558

CONTENTS

შინაარსი

	Paragraphs		პუნქტები
Introduction	1-2	შესავალი	1-2
Objective of a Review Engagement	3	მიმოხილვის გარიგების მიზანი	3
General Principles of a Review Engagement	4-7	მიმოხილვის გარიგების ზოგადი პრინციპები	4-7
Scope of a Review	8	მიმოხილვის მასშტაბი	8
Moderate Assurance	9	ზომიერი დონის გარანტია (რწმუნება)	9
Terms of Engagement	10-12	გარიგების პირობები	10-12
Planning	13-15	დაგეგმვა	13-15
Work Performed by Others	16	სხვათა მიერ შესრულებული სამუშაო	16
Documentation	17	დოკუმენტაცია	17
Procedures and Evidence	18-22	პროცედურები და მტკიცებულებები	18-22
Conclusions and Reporting	23-28	დასკვნები და ანგარიშის წარდგენა	23-28
Appendix 1: Example of an Engagement Letter for a Review of Financial Statements		დანართი I – ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის შესახებ გარიგების წერილის ნიმუში	
Appendix 2: Illustrative Detailed Procedures that may be Performed in an Engagement to Review Financial Statements		დანართი II – სანიმუშო დეტალური პროცედურები, რომლებიც შესაძლოა ჩატარდეს ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის შესახებ გარიგების დროს	
Appendix 3: Form of Unqualified Review Report		დანართი III – უპირობო დასკვნის ნიმუში	
Appendix 4: Examples of Review Reports other than Unqualified		დანართი IV – მიმოხილვის დასკვნის ნიმუშები უპირობო დასკვნის გამოკლებით	

International Standards on Auditing (ISAs) are to be applied in the audit of financial statements. ISAs are also to be applied, adapted as necessary, to the audit of other information and to related services.

ISAs contain the basic principles and essential procedures (identified in bold type black lettering) together with related guidance in the form of explanatory and other material. The basic principles and essential procedures are to be interpreted in the context of the explanatory and other material that provide guidance for their application.

To understand and apply the basic principles and essential procedures together with the related guidance, it is necessary to consider the whole text of the ISA including explanatory and other material contained in the ISA not just that text which is black lettered.

In exceptional circumstances, an auditor may judge it necessary to depart from an ISA in order to more effectively achieve the objective of an audit. When such a situation arises, the auditor should be prepared to justify the departure.

ISAs need only be applied to material matters.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ISAs—International Standards on Auditing) იყენებენ ფინანსური ანგარიშგამოსამართლის დროს. ადაპტირებული სახით ეს სტანდარტები გამოიყენება სხვა ინფორმაციის აუდიტისთვისაც და აუდიტთან დაკავშირებული მომსახურებისათვის.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებში (ISAs) მოცემულია ძირითადი პრინციპები და აუცილებელი პროცედურები (ტექსტში გამოყოფილია მუქი შრიფტით), აგრეთვე ამასთან დაკავშირებული მითითებები ახსნა-განმარტებების და სხვა მასალის სახით. ეს ძირითადი პრინციპები და პროცედურები აღქმული უნდა იქნეს იმ ახსნა-განმარტებებისა და სხვა მასალების კონტექსტში, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი გამოყენების წესებს.

ძირითადი პრინციპებისა და აუცილებელი პროცედურების, აგრეთვე მათთან დაკავშირებული მითითებების გასაგებად და გამოსაყენებლად საჭიროა სტანდარტების მთელი ტექსტის, მათ შორის ამ სტანდარტებში ჩართული ახსნა-განმარტებებისა და სხვა მასალის, გათვალისწინება და არა მხოლოდ იმ ტექსტისა, რომელიც გამოყოფილია მუქი შრიფტით.

გამონაკლის შემთხვევებში აუდიტორმა შეიძლება საჭიროდ ჩათვალოს სტანდარტებიდან გადახვევა, რათა უფრო ეფექტურად განახორციელოს აუდიტის მიზანი. ამგვარ სიტუაციაში აუდიტორი მზად უნდა იყოს ასეთი გადახვევის დასასაბუთებლად.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები ეხება მხოლოდ არსებით საკითხებს.

The Public Sector Perspective (PSP) issued by the Public Sector Committee of the International Federation of Accountants is set out at the end of an ISA. Where no PSP is added, the ISA is applicable in all material respects to the public sector.

სტანდარტის ბოლოს განხილულია სახელმწიფო სექტორის პერსპექტივა, რომელიც გამოსცა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის სახელმწიფო სექტორის კომიტეტმა. სადაც სახელმწიფო სექტორი არ არის წარმოდგენილი, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი მოსაღებია სახელმწიფო სექტორთან დაკავშირებული ყველა არსებითი ასპექტისათვის.

Introduction

1. The purpose of this International Standard on Auditing (ISA) is to establish standards and provide guidance on the auditor's¹ professional responsibilities when an engagement to review financial statements is undertaken and on the form and content of the report that the auditor issues in connection with such a review.
2. This ISA is directed towards the review of financial statements. However, it is to be applied to the extent practicable to engagements to review financial or other information. This ISA is to be read in conjunction with ISA 120 "Framework of International Standards on Auditing." Guidance in other ISAs may be useful to the auditor in applying this ISA.

Objective of a Review Engagement

3. The objective of a review of financial statements is to enable an auditor to state whether, on the basis of procedures which do not provide all the evidence that would be required in an audit, anything has come to the auditor's attention that causes the

შესავალი

1. წინამდებარე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის მიზანია სტანდარტებისა და მითითებების დადგენა აუდიტორის¹ პროფესიულ პასუხისმგებლობაზე ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის შესახებ გარიგების დროს, აგრეთვე იმ დასკვნის ფორმასა და შინაარსზე, რომელსაც წარადგენს აუდიტორი მიმოხილვასთან დაკავშირებით.
2. ეს სტანდარტი გამიზნულია ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვისთვის. თუმცა იგი პრაქტიკულად თვალსაზრისით შეიძლება გამოყენებული იქნეს ფინანსური ან სხვა ინფორმაციის მიმოხილვის გარიგების დროსაც. ეს სტანდარტი წაკითხული უნდა იქნეს აუდიტისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების სტრუქტურულ საფუძვლებთან ერთად. წინამდებარე სტანდარტის გამოყენების დროს აუდიტორისათვის შესაძლოა სასარგებლო იყოს სხვა სტანდარტების მითითებების გათვალისწინებაც.

მიმოხილვის გარიგების მიზანი

3. ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის მიზანია აუდიტორს მისცეს საშუალება (ისეთი პროცედურების საფუძველზე, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ აუდიტისათვის საჭირო ყველა მტკიცებულებას), დაადგინოს, მიიქცია თუ არა აუდიტორის ყურადღება ისეთმა

auditor to believe that the financial statements are not prepared, in all material respects, in accordance with an identified financial reporting framework (negative assurance).

ფაქტმა, რომელიც მას დაარწმუნებდა, რომ ფინანსური ანგარიშგება ვეველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით არ არის მომზადებული ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურული საფუძვლების შესაბამისად (უარყოფითი რწმუნება).

General Principles of a Review Engagement

მიმონილების გარიგების ზოგადი პრინციპები

4. The auditor should comply with the “Code of Ethics for Professional Accountants” issued by the International Federation of Accountants. Ethical principles governing the auditor’s professional responsibilities are:

4. აუდიტორი უნდა იცავდეს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოცემულ “პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსს”. აუდიტორის პროფესიული მოვალეობების განმსაზღვრელი ეთიკის პრინციპებია:

- (a) independence;
- (b) integrity;
- (c) objectivity;
- (d) professional competence and due care;
- (e) confidentiality;
- (f) professional behavior; and

- (ა) დამოუკიდებლობა,
- (ბ) პაგიოსნება,
- (გ) ობიექტურობა,
- (დ) პროფესიული კომპეტენცურობა და სათანადო ყურადღება,
- (ე) კონფიდენციალურობა,
- (ფ) პროფესიული ქცევა და

1 As explained in the Framework of International Standards on Auditing “... the term auditor is used throughout the ISAs when describing both auditing and related services which may be performed. Such reference is not intended to imply that a person performing related services need be the auditor of the entity’s financial statements.”

1 როგორც ეს ახსნილია აუდიტისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების სტრუქტურულ საფუძვლებში, - “ცნება “აუდიტორი” აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებში გამოიყენება ორივე შემთხვევაში: როდესაც საუბარია აუდიტზე და მაშინაც, როდესაც სრულდება აუდიტთან დაკავშირებული რომელიმე მომსახურება. ასეთი ციტირება არ გულისხმობს, რომ პიროვნება, რომელიც ატარებს აუდიტთან დაკავშირებულ მომსახურებას აუცილებლად უნდა იყოს სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორი.”

(g) technical standards.

(გ) ტექნიკური სტანდარტები.

5. The auditor should conduct a review in accordance with this ISA.

5. აუდიტორმა ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა უნდა ჩაატაროს წინამდებარე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

6. The auditor should plan and perform the review with an attitude of professional skepticism recognizing that circumstances may exist which cause the financial statements to be materially misstated.

6. აუდიტორმა მიმოხილვა უნდა დაგეგმოს და ჩაატაროს პროფესიული სკეპტიციზმის განწყობილებით, იმის გაცნობიერებით, რომ შესაძლოა არსებობდეს ისეთი გარემოებები, რომლებიც იწვევენ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებით უზუსტობებს.

7. For the purpose of expressing negative assurance in the review report, the auditor should obtain sufficient appropriate evidence primarily through inquiry and analytical procedures to be able to draw conclusions.

7. მიმოხილვის დასკვნისთვის საჭირო უარყოფითი გარანტიის (რწმუნების) მისაღებად აუდიტორმა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები ძირითადად უნდა მოიპოვოს გამოკითხვებისა და ანალიზური პროცედურების მეშვეობით, რათა მიეცეს დასკვნების გამოტანის საშუალება.

Scope of a Review

მიმოხილვის მასშტაბი

8. The term “scope of a review” refers to the review procedures deemed necessary in the circumstances to achieve the objective of the review. The procedures required to conduct a review of financial statements should be determined by the auditor having regard to the requirements of this ISA, relevant professional bodies, legislation, regulation and, where appropriate, the terms of the review engagement and reporting requirements.

8. ცნება “მიმოხილვის მასშტაბი” დაკავშირებულია მიმოხილვის ისეთ პროცედურებთან, რომლებიც აუცილებელია მიმოხილვის მიზნის მისაღწევად ყოველ კონკრეტულ ვითარებაში. ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვის ჩასატარებლად საჭირო პროცედურებს განსაზღვრავს აუდიტორი, ითვალისწინებს რა წინამდებარე სტანდარტის, შესაბამისი პროფესიული ორგანიზაციის, კანონმდებლობისა და მარეგულირებელი აქტების მოთხოვნებს, საჭიროების შემთხვევაში მიმოხილვის გარიგების პირობებსა და ანგარიშის წარდგენის მოთხოვნებსაც.

Moderate Assurance

9. A review engagement provides a moderate level of assurance that the information subject to review is free of material misstatement, this is expressed in the form of negative assurance.

Terms of Engagement

10. The auditor and the client should agree on the terms of the engagement. The agreed terms would be recorded in an engagement letter or other suitable form such as a contract.

11. An engagement letter will be of assistance in planning the review work. It is in the interests of both the auditor and the client that the auditor send an engagement letter documenting the key terms of the appointment. An engagement letter confirms the auditor's acceptance of the appointment and helps avoid misunderstanding regarding such matters as the objectives and scope of the engagement, the extent of the auditor's responsibilities and the form of reports to be issued.

12. Matters that would be included in the engagement letter include:

- The objective of the service being performed.

ზომიერი დონის გარანტია

9. მიმოხილვის შესახებ გარიგება უზრუნველყოფს მომიერი დონის გარანტიას იმაზე, რომ მიმოხილვას დაქვემდებარებული ინფორმაცია არ შეიცავს არსებით უზუსტობებს, და ეს გამოხატულია უარყოფითი რწმუნების ფორმით.

გარიგების პირობები

10. აუდიტორი და დამკვეთი უნდა შეთანხმდნენ გარიგების პირობებზე. შეთანხმებული პირობები უნდა გაფორმდეს გარიგების წერილით ან სხვა შესაფერისი ფორმით, როგორცაა კონტრაქტი.

11 გარიგების წერილი დაეხმარება აუდიტორს მიმოხილვის სამუშაოთა დაგეგმვაში. ორივეს – აუდიტორსაც და დამკვეთსაც აინტერესებს რომ აუდიტორმა გააგზავნოს გარიგების წერილი, რომელშიც განხილული იქნება აუდიტორის დანიშნვის ძირითადი პირობები. გარიგების წერილი აღსატყობს, რომ აუდიტორი ეთანხმება თავის დანიშვნას; წერილი საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული ისეთ საკითხებთან დაკავშირებული გაუგებრობები როგორცაა: გარიგების მიზნები და მასშტაბი, აუდიტორის პასუხისმგებლობების ხარისხი, აგრეთვე აუდიტორის დასკვნის ფორმა.

12 გარიგების წერილში ჩართული უნდა იყოს შემდეგი საკითხები:

- მომსახურების მიზანი;

- Management’s responsibility for the financial statements.
- The scope of the review, including reference to this International Standard on Auditing (or relevant national standards or practices).
- Unrestricted access to whatever records, documentation and other information requested in connection with the review.
- A sample of the report expected to be rendered.
- The fact that the engagement cannot be relied upon to disclose errors, illegal acts or other irregularities, for example, fraud or defalcations that may exist.
- A statement that an audit is not being performed and that an audit opinion will not be expressed. To emphasize this point and to avoid confusion, the auditor may also consider pointing out that a review engagement will not satisfy any statutory or third party requirements for an audit.

An example of an engagement letter for a review of financial statements appears in Appendix I to this ISA.

- ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე;
- მიმოხილვის მასშტაბი, მათ შორის მითითება აუდიტის წინამდებარე საერთაშორისო სტანდარტზე (შესაბამის ეროვნულ სტანდარტებზე ან მიღებულ პრაქტიკაზე);
- მიმოხილვასთან დაკავშირებული ნებისმიერი ჩანაწერებით, დოკუმენტაციითა და სხვა ტიპის მოთხოვნილი ინფორმაციით შეუზღუდავი სარგებლობის უფლების შესახებ;
- წარსადგენი დასკვნის ნიმუში;
- ფაქტი, რომ გარიგება არ გულისხმობს შეცდომების, უკანონო ქმედებებისა და სხვა სახის დარღვევების, მაგალითად, თაღლითობის ან გაყალბების მხილებას, რომელთაც შესაძლოა ჰქონდეს ადგილი;
- იმის აღნიშვნა, რომ არ ჩატარდება აუდიტი და აუდიტორული დასკვნა არ დაიწერება. იმისათვის რომ ეს მომენტი იქნეს ხაზგასმული და თავიდან იქნეს აცილებული გაუგებრობა, აუდიტორმა ასევე უნდა მიუთითოს, რომ მიმოხილვის გარიგება ვერ დააკმაყოფილებს საკანონმდებლო ან მესამე მხარის მოთხოვნებს აუდიტზე.

ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის შესახებ გარიგების წერილის ნიმუში მოცემულია სტანდარტის I დანართში.

Planning

13. The auditor should plan the work so that an effective engagement will be performed.

14. In planning a review of financial statements, the auditor should obtain or update the knowledge of the business including consideration of the entity's organization, accounting systems, operating characteristics and the nature of its assets, liabilities, revenues and expenses.

15. The auditor needs to possess an understanding of such matters and other matters relevant to the financial statements, for example, a knowledge of the entity's production and distribution methods, product lines, operating locations and related parties. The auditor requires this understanding to be able to make relevant inquiries and to design appropriate procedures, as well as to assess the responses and other information obtained.

Work Performed by Others

16. When using work performed by another auditor or an expert, the auditor should be satisfied that such work is adequate for the pur-

დაგეგმვა

13 აუდიტორმა ისე უნდა დაგეგმოს თავისი სამუშაო, რომ შეასრულოს ძალაში შესული გარიგება.

14 ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის დაგეგმვის დროს აუდიტორმა უნდა შეიძინოს ან განაახლოს და შეავსოს თავისი ცოდნა სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის შესახებ, სახელდობრ, სამეურნეო სუბიექტის ორგანიზაციის, ბუღალტრული აღრიცხვის სისტემებისა და მისი საქმიანობის თავისებურებების, აგრეთვე მისი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ხასიათის შესახებ ინფორმაციის გაცნობით.

15 აუდიტორმა უნდა იცოდეს ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შემოადინებული საკითხები და სხვა საკითხებიც, მაგალითად, სამეურნეო სუბიექტის წარმოებისა და რეალიზაციის მეთოდები, პროდუქციის ტიპები, მისი საქმიანობის არეალი და დაკავშირებული მხარეები. ყოველივე ამის ცოდნა აუდიტორს საშუალებას აძლევს ჩაატაროს სათანადო გამოკითხვები და განსაზღვროს შესაფერისი პროცედურები, ასევე შეაფასოს მიღებული პასუხები და ხელთარსებული სხვა ინფორმაცია.

სხვათა მიერ ჩატარებული სამუშაო

16 სხვა აუდიტორის ან ექსპერტის მიერ შესრულებული სამუშაოს გამოყენების დროს აუდიტორი დარწმუნებული უნდა

poses of the review.

იყოს, რომ ეს სამუშაო მიმოხილვის მიზნების ადეკვატურია.

Documentation

დოკუმენტაცია

17. The auditor should document matters which are important in providing evidence to support the review report, and evidence that the review was carried out in accordance with this ISA.

17 აუდიტორმა დოკუმენტურად უნდა გააფორმოს ის საკითხები, რომელიც მნიშვნელოვანია მიმოხილვის დასკვნის განსამტკიცებლად საჭირო მტკიცებულებებისათვის, აგრეთვე მტკიცებულება, რომ მიმოხილვა ჩატარდა წინამდებარე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

Procedures and Evidence

პროცედურები და მტკიცებულებები

18. The auditor should apply judgment in determining the specific nature, timing and extent of review procedures. The auditor will be guided by such matters as:

18 აუდიტორი მიმოხილვის პროცედურების კონკრეტული ხასიათის, ვადებისა და მოცულობის განსაზღვრის დროს მიმართავს პროფესიულ განხილვას. მან უნდა გაითვალისწინოს

- Any knowledge acquired by carrying out audits or reviews of the financial statements for prior periods.
- The auditor’s knowledge of the business including knowledge of the accounting principles and practices of the industry in which the entity operates.
- The entity’s accounting systems.
- The extent to which a particular item is affected by management judgment.

- წინა პერიოდების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ან მიმოხილვის ჩატარების დროს შექმნილი ცოდნა;
- თავისი ცოდნა დამკვეთის საქმიანობის შესახებ, მათ შორის ინფორმაცია იმ დარგის ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და პრაქტიკის შესახებ, რომელშიც მოცემული სამეურნეო სუბიექტი ეწევა საქმიანობას;
- სამეურნეო სუბიექტის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემები;
- რა ხარისხით ასდენს გავლენას ანგარიშგების ცალკეულ მუხლებზე ხელმძღვანელობის მოსაზრებები და გადაწყვეტილებები;

- The materiality of transactions and account balances.

- ოპერაციებისა და ანგარიშთან დაკავშირებული არსებითობა;

19. The auditor should apply the same materiality considerations as would be applied if an audit opinion on the financial statements were being given. Although there is a greater risk that misstatements will not be detected in a review than in an audit, the judgment as to what is material is made by reference to the information on which the auditor is reporting and the needs of those relying on that information, not to the level of assurance provided.

19 აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს არსებითობასთან დაკავშირებული იგივე მოსაზრებები, რასაც გაითვალისწინებდა ფინანსურ ანგარიშზე აუდიტორული დასკვნის გაცემის დროს. მართალია, ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის დროს, ვიდრე აუდიტში, უფრო დიდია იმის რისკი, რომ არსებითი უზუსტობები ვერ იქნება აღმოჩენილი, მაგრამ იმის გადაწყვეტა, თუ რა არის არსებითი, მაინც ეყარება იმ ინფორმაციას, რომელზედაც აუდიტორი წარადგენს დასკვნას და იმ პირთა მოთხოვნილებებს, ვინც ეყრდნობა ამ ინფორმაციას, და არა მიმოხილვის შედეგად მიღებული გარანტიის (რწმუნების) დონეს.

20. Procedures for the review of financial statements will ordinarily include:

20 ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვისათვის საჭირო პროცედურები ჩვეულებრივ მოიცავს

- Obtaining an understanding of the entity's business and the industry in which it operates.
- Inquiries concerning the entity's accounting principles and practices.
- Inquiries concerning the entity's procedures for recording, classifying and summarizing transactions, accumulating information for disclosure in the financial statements and preparing financial statements.

- სამეურნეო სუბიექტის საქმიანობისა და იმ დარგის შესახებ ცოდნის შექმნას, რომელშიც იგი ეწევა საქმიანობას;
- სამეურნეო სუბიექტის ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და პრაქტიკის შესახებ გამოკითხვებს;
- გამოკითხვებს სამეურნეო სუბიექტის იმ პროცედურების შესახებ, რომლებიც გამოიყენება ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვისთვის, მათი კლასიფიცირებისა და საბოლოო შედეგების გამოსაყვანად, ფინანსურ ან-

გარიგებაში ახსნა-განმარტებუბისთვის საჭირო ინფორმაციის შესაკრებად და ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად;

- Inquiries concerning all material assertions in the financial statements.
- Analytical procedures designed to identify relationships and individual items that appear unusual. Such procedures would include:

- Comparison of the financial statements with statements for prior periods.
- Comparison of the financial statements with anticipated results and financial position.
- Study of the relationships of the elements of the financial statements that would be expected to conform to a predictable pattern based on the entity's experience or industry norm.

In applying these procedures, the auditor would consider the types of matters that required accounting adjustments in prior periods.

- Inquiries concerning actions taken

- გამოკითხვებს, რომლებიც ეხება ფინანსური ანგარიშგების ყველა არსებით მტკიცებას;

- ანალიზურ პროცედურებს, რომლებიც განკუთვნილია ცალკეული არაორდინალური მუხლებისა და კავშირურთიერთობების დასადგენად. ასეთი პროცედურები თავის მხრივ მოიცავს

ფინანსური ანგარიშგების შედარებას წინა საანგარიშგებო პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებებთან;

ფინანსური ანგარიშგების შედარებას პროგნოზირებულ შედეგებთან და ფინანსურ მდგომარეობასთან;

ფინანსური ანგარიშგების ელემენტების კავშირურთიერთობების გამოკვლევას, რომლებიც სავარაუდოა რომ შეესაბამება სამეურნეო სუბიექტის გამოცდილებებზე ან დარგის ნორმატივზე დაყრდნობით პროგნოზირებულ მოდელს.

აღნიშნული პროცედურების გამოყენების დროს აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს ისეთი საკითხები, რომლებიც მოითხოვს წინა საანგარიშგებო პერიოდების ბუღალტრულ აღრიცხვაში კორექტირებას:

- აქციონერთა, დირექტორთა საბ

at meetings of shareholders, the board of directors, committees of the board of directors and other meetings that may affect the financial statements.

- Reading the financial statements to consider, on the basis of information coming to the auditor's attention, whether the financial statements appear to conform with the basis of accounting indicated.
- Obtaining reports from other auditors, if any and if considered necessary, who have been engaged to audit or review the financial statements of components of the entity.
- Inquiries of persons having responsibility for financial and accounting matters concerning, for example:
 - Whether all transactions have been recorded.
 - Whether the financial statements have been prepared in accordance with the basis of accounting indicated.
 - Changes in the entity's business activities and accounting prin-

ჭოს, ღირებულებებისა და სხვა შეკრებებზე გადაწყვეტილი ისეთი ღონისძიებების შესახებ გამოკითხვების ჩატარება, რომელთაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსურ ანგარიშგებაზე;

- ფინანსური ანგარიშგების გაეცნობა აუდიტორისათვის მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით იმის გასათვალისწინებლად, შეესაბამება თუ არა ფინანსური ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის მითითებულ საფუძველს;
- სხვა აუდიტორების აუდიტორული დასკვნების მოპოვება (თუკი ასეთს ჰქონდა ადგილი და თუ ეს აუცილებელია), რომლებთანაც არსებობდა გარიგება სამეურნეო სუბიექტის კომპონენტების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ან მიმოხილვის თაობაზე;
- ისეთი პიროვნებების გამოკითხვების ჩატარება, რომელთაც დაკისრებული ჰქონდათ პასუხისმგებლობა ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებზე, რათა დაადგინოს

არის თუ არა ყველა ოპერაცია აღრიცხვაში ასახული;

არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის მითითებული საფუძვლების შესაბამისად;

სამეურნეო სუბიექტის სამეურნეო საქმიანობაში,

ciples and practices.

- Matters as to which questions have arisen in the course of applying the foregoing procedures.
- Obtaining written representations from management when considered appropriate.

Appendix 2 to this ISA provides an illustrative list of procedures which are often used. The list is not exhaustive, nor is it intended that all the procedures suggested apply to every review engagement.

- 21. The auditor should inquire about events subsequent to the date of the financial statements that may require adjustment of or disclosure in the financial statements. The auditor does not have any responsibility to perform procedures to identify events occurring after the date of the review report.**
- 22. If the auditor has reason to believe that the information subject to review may be materially misstated, the auditor should carry out additional or more extensive procedures as are necessary to be able to express negative assurance**

ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებსა და პრაქტიკაში მომხდარ ცვლილებები;

- ზემოხსენებული პროცედურების გამოყენებისას წამოჭრილ კითხვებთან დაკავშირებული საკითხები;
- ხელმძღვანელობისაგან წერილობითი ოფიციალური ინფორმაციის მიღების საჭიროება.

წინამდებარე სტანდარტის მე-2 დანართში მოცემულია იმ პროცედურების სანიმუშო ჩამონათვალი, რომლებიც ხშირად გამოიყენება. ეს სია არ არის ამოწმურავე და არც იმას გულისხმობს, რომ ყველა ეს პროცედურა აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული მიმოხილვის ყველა გარიგებაში.

- 21. აუდიტორმა უნდა ჩაატაროს გამოკითხვა ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი ისეთი მოვლენების შესახებ, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ ფინანსური ანგარიშგების შესწორება ან ახსნა-განმარტებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში. აუდიტორს არ ევალება პროცედურების ჩატარება მიმოხილვის დასკვნის დაწერის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების გამოსაყვანად.**
- 22. თუ აუდიტორს რაიმე მიზეზი აქვს იმის სავარაუდოდ, რომ მიმოხილვის დაქვემდებარებული ინფორმაცია შესაძლოა შეიცავდეს არსებით უზუსტობებს, აუდიტორმა უნდა ჩაატაროს დამატებითი ან უფრო გაფართოებული პროცედურები,**

or to confirm that a modified report is required.

რომლებიც აუცილებელია უარყოფითი რწმუნების მისაღებად ან იმის დასადასტურებლად, რომ საჭიროა მოდიფიცირებული დასკვნის გაცემა.

Conclusions and Reporting

დასკვნები და ანგარიშის წარდგენა

23. The review report should contain a clear written expression of negative assurance. The auditor should review and assess the conclusions drawn from the evidence obtained as the basis for the expression of negative assurance.

23. მიმოხილვის დასკვნა უნდა შეიცავდეს ნათლად და მკაფიოდ გამოხატულ წერილობით უარყოფით რწმუნებას. აუდიტორმა უნდა განიხილოს და შეაფასოს მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე გამოტანილი დასკვნები და დაუდოს საფუძველად უარყოფით რწმუნებას (მიმოხილვის დასკვნას).

24. Based on the work performed, the auditor should assess whether any information obtained during the review indicates that the financial statements do not give a true and fair view (or ‘are not presented fairly, in all material respects,’) in accordance with the identified financial reporting framework.

24. ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით აუდიტორმა უნდა შეაფასოს, მიუთითებს თუ არა მიმოხილვის დროს მოპოვებული ინფორმაცია, რომ ფინანსური ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი უტყუარი და სამართლიანი თვალსაზრისი (ან "ფინანსური ანგარიშგება არ არის წარდგენილი სამართლიანად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით") ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სტრუქტურის შესაბამისად.

25. The report on a review of financial statements describes the scope of the engagement to enable the reader to understand the nature of the work performed and make it clear that an audit was not performed and, therefore, that an audit opinion is not expressed.

25 ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის დასკვნაში ვარაუდების მასშტაბი იმისათვის არის აღწერილი, რომ გააგებინოს მკითხველს ჩატარებული სამუშაოს ხასიათი და ნათლად განუმარტოს, რომ არ ჩატარებულა აუდიტი და ამიგომ არ იქნა გაყემული აუდიტორული დასკვნა.

26. The report on a review of financial statements should contain the following basic elements, ordinarily in the following layout:

26. ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის დასკვნა უნდა შეიცავდეს შემდეგ ძირითად ელემენტებს, ჩვეულებრივ შემდეგი თანმიმდევრობით:

(a) title²;

(ა) სათაურს²,

(b) addressee;

(ბ) ადრესატს,

(c) opening or introductory paragraph including:

(გ) შესავალ აბზაცს, რომელიც მოიცავს

(i) identification of the financial statements on which the review has been performed; and

(გ¹) იმ ფინანსური ანგარიშგების მითითებას, რომლის მიმოხილვაც ჩატარდა და

(ii) a statement of the responsibility of the entity’s management and the responsibility of the auditor;

(გ²) სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობისა და აუდიტორის პასუხისმგებლობის სფეროების მითითებას;

(d) scope paragraph, describing the nature of a review, including:

(დ) მიმოხილვის მასშტაბის აღმწერ აბზაცს (მიმოხილვის ხასიათის აღწერა), რომელიც მოიცავს:

(i) a reference to this International Standard on Auditing applicable to review engagements, or to relevant national standards or practices;

(დ¹) მითითებას აუდიტის წინამდებარე საერთაშორისო სტანდარტზე ან შესაბამის ეროვნულ სტანდარტებსა თუ მიღებულ პრაქტიკაზე, რომლებიც გამოიყენება მიმოხილვის გარიგების დროს;

(ii) a statement that a review is limited primarily to inquiries

(დ²) იმის აღნიშვნას, რომ მიმოხილვა შეზღუდულია ძირით-

² It may be appropriate to use the term “Independent” in the title to distinguish the auditor’s report from reports that might be issued by others, such as officers of the entity, or from the reports of other auditors who may not have to abide by the same ethical requirements as an independent auditor.

² უზრუნველყოს სათაურში გამოიყენებოდეს ტერმინი “დამოუკიდებელი”, რათა აუდიტორის დასკვნა განსხვავდებოდეს სხვა დასკვნებისაგან, როგორც: სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობის ან სხვა აუდიტორების დასკვნები, რომელთა მიმართაც ვერ იქნება წყაენებულნი დამოუკიდებელი აუდიტორების ეთიკური მოთხოვნები.

and analytical procedures; and

თადად გამოკითხვებისა და ანალიზური პროცედურების ჩატარებით და

(iii) a statement that an audit has not been performed, that the procedures undertaken provide less assurance than an audit and that an audit opinion is not expressed;

(დ³) იმის აღნიშვნას, რომ აუდიტი არ ჩატარებულა, ჩატარებული პროცედურები უზრუნველყოფენ უფრო დაბალი დონის გარანტიას, ვიდრე აუდიტი, და რომ არ გაცემულა აუდიტორული დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე;

(e) statement of negative assurance;

(ე) უარყოფითი რწმუნების ფორმულირებას;

(f) date of the report;

(ვ) მიმოხილვის დასკვნის თარიღს;

(g) auditor’s address; and

(ზ) აუდიტორის მისამართსა და

(h) auditor’s signature.

(თ) აუდიტორის ხელმოწერას.

Appendices 3 and 4 to this ISA contain illustrations of review reports.

წინამდებარე სტანდარტის მე-3 და მე-4 დანართებში განხილულია მიმოხილვის დასკვნის ნიმუშები.

27. The review report should:

27. მიმოხილვის დასკვნაში აღნიშნული უნდა იყოს

(a) state that nothing has come to the auditor’s attention based on the review that causes the auditor to believe the financial statements do not give a true and fair view (or ‘are not presented fairly, in all material respects,’) in accordance with the identified financial reporting framework (negative assurance); or

(ა) რომ აუდიტორს მიმოხილვის საფუძველზე არაფერი შეხვედრია ისეთი, რაც მას დაარწმუნებდა, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი უტყუარი და სამართლიანი თვალსაზრისი (ან “ფინანსური ანგარიშგება არ არის წარმოდგენილი სამართლიანად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით”) ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სტრუქტურის შესაბამისად (უარყოფითი რწმუნება) ან

(b) if matters have come to the

(ბ) თუ აუდიტორის ყურადღება მო-

auditor’s attention, describe those matters that impair a true and fair view (‘or a fair presentation, in all material respects,’) in accordance with the identified financial reporting framework, including, unless impracticable, a quantification of the possible effect(s) on the financial statements, and either:

(i) express a qualification of the negative assurance provided; or

(ii) when the effect of the matter is so material and pervasive to the financial statements that the auditor concludes that a qualification is not adequate to disclose the misleading or incomplete nature of the financial statements, give an adverse statement that the financial statements do not give a true and fair view (or ‘are not presented fairly, in all material respects,’) in accordance with the identified financial reporting framework; or

(c) if there has been a material scope limitation, describe the limitation and either:

იქცია რომელიმე საკითხმა, მან უნდა აღწეროს, რამ დაამახინჯა ფინანსური ანგარიშგების უტყუარი და სამართლიანი თვალსაზრისი (ან “სამართლიანი წარდგენა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით”) ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სტრუქტურის შესაბამისად, მათ შორის მათი შესაძლო რაოდენობრივი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე (თუკი ეს შესაძლებელია) და

(ბ¹) შეადგინოს პირობითი დასკვნა ან

(ბ²) შეადგინოს უარყოფითი დასკვნა და განაცხადოს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარდგენილი უტყუარი და სამართლიანი თვალსაზრისი (ან “ფინანსური ანგარიშგება არ არის წარდგენილი სამართლიანად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით”) ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სტრუქტურის შესაბამისად, თუ აუდიტორის გადაწყვეტილებით მოცემული საკითხის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე იმდენად არსებითი და ძლიერია, რომ პირობითი დასკვნის გაცემით აღეკვატურად ვერ აიხსნება წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების მცდარი და არასრულყოფილი ხასიათი, ან

(გ) თუკი აღგილი ექნება სამუშაოს მასშტაბის არსებითი ხასიათის შეზღუდვას, აუდიტორმა უნდა აღწეროს ეს შეზღუდვა და

(i) express a qualification of the negative assurance provided regarding the possible adjustments to the financial statements that might have been determined to be necessary had the limitation not existed; or

(ii) when the possible effect of the limitation is so significant and pervasive that the auditor concludes that no level of assurance can be provided, not provide any assurance.

(გ¹) შეადგინოს პირობითი დასკვნა ფინანსური ანგარიშგების იმ შესაძლო შესწორებების გამო, რაც შესაძლებელია აუცილებელი იქნებოდა, თუ სამუშაოს მასშტაბის შეზღუდვას არ ექნებოდა ადგილი ან

(გ²) საერთოდ არ გამოხატოს არავითარი რწმუნება (არ გასცეს მიმოხილვის დასკვნა), როდესაც აუდიტორის გადაწყვეტილებით სამუშაოს შეზღუდვის შესაძლო გავლენა იმდენად მნიშვნელოვანი და ძლიერია, რომ შეუძლებელია რომელიმე დონის რწმუნების გამოხატვა (რომელიმე ტიპის დასკვნის გაცემა).

28. The auditor should date the review report as of the date the review is completed, which includes performing procedures relating to events occurring up to the date of the report. However, since the auditor's responsibility is to report on the financial statements as prepared and presented by management, the auditor should not date the review report earlier than the date on which the financial statements were approved by management.

28. აუდიტორმა მიმოხილვის დასკვნა უნდა დაათარიღოს იმ რიცხვით, როდესაც დასრულდება მიმოხილვა, რომელიც შეიცავს დასკვნის გაცემის თარიღამდე მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით ჩატარებულ პროცედურებს. ამასთან, რადგან აუდიტორს ევალება დასკვნის შედგენა სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ და წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე, აუდიტორმა არ უნდა დაათარიღოს მიმოხილვის დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღის წინა რიცხვით.

Appendix 1

დანართი 1

Example of an Engagement Letter for a Review of Financial Statements

The following letter is for use as a guide in conjunction with the consideration outlined in paragraph 10 of this ISA and will need to be varied according to individual requirements and circumstances.

To the Board of Directors (or the appropriate representative of senior management):

This letter is to confirm our understanding of the terms and objectives of our engagement and the nature and limitations of the services we will provide.

We will perform the following services:

We will review the balance sheet of ABC Company as of December 31, 19XX, and the related statements of income and cash flows for the year then ended, in accordance with the International Standard on Auditing (or refer to relevant national standards or practices) applicable to reviews. We will not perform an audit of such financial statements and, accordingly, we will not express an audit opinion on them. Accordingly, we expect to report on the financial statements as follows:

ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის შესახებ გარიგების წერილის ნიმუში

შემდეგი წერილი გამოიყენება მოცემული სტანდარტის მე-10 პუნქტის საკითხებთან დაკავშირებით; მისი შეცვლა საჭირო იქნება ინდივიდუალური მოთხოვნებისა და გარემოებების შესაბამისად.

დირექტორთა საბჭოს (ან ხელმძღვანელობის სხვა შესაფერისი წარმომადგენელს):

ამ წერილით ვადასტურებთ, რომ ჩვენთვის გასაგებია ჩვენი გარიგების პირობები და მიზნები, აგრეთვე ჩვენს მიერ შესასრულებელი მომსახურების ხასიათი და შეზღუდვები.

ჩვენ შევასრულებთ შემდეგი სახის მომსახურებას:

ჩვენ ჩავატარებთ კომპანიის ბუღალტრული ბალანსის მიმოხილვას 19XX წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიმოხილვას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით მიმოხილვისთვის შესაფერისი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის (ან შესაბამისი ეროვნული სტანდარტებისა თუ მიღებული პრაქტიკის) მიხედვით. ჩვენ არ ჩავატარებთ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს და, შესაბამისად, არ გავცემთ მასზე

აუდიტორულ დასკვნას. ამრიგად ჩვენ ვეარაუდობთ, რომ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი დასკვნა შეზღვევი სახის იქნება:

(see Appendix 3 to this ISA)

(იხ. სტანდარტის მე-3 დანართი)

Responsibility for the financial statements, including adequate disclosure, is that of the management of the company. This includes the maintenance of adequate accounting records and internal controls and the selection and application of accounting policies. (As part of our review process, we will request written representations from management concerning assertions made in connection with the review³.)

ფინანსურ ანგარიშგებაზე და მისი ახსნა-განმარტებების ადეკვატურობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის ხელმძღვანელობას. ეს ითვალისწინებს ადეკვატური ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებას და შიდა კონტროლის განხორციელებას, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის შერჩევასა და გამოყენებას (როგორც ჩვენი მიმოხილვის პროცესის ნაწილი, ხელმძღვანელობისაგან მოვითხოვთ მიმოხილვასთან დაკავშირებული ოფიციალური ინფორმაციის წერილობით წარდგენას ფინანსური ანგარიშგების მტკიცებების შესახებ³).

This letter will be effective for future years unless it is terminated, amended or superseded (if applicable).

ეს წერილი მომავალშიც დარჩება ძალაში იმ დრომდე, ვიდრე არ გაუქმდება, შესწორდება ან არ შეიცვლება სხვა წერილით.

Our engagement cannot be relied upon to disclose whether fraud or errors, or illegal acts exist. However, we will inform you of any material matters that come to our attention.

ეს გარიგება არ გულისხმობს იმის გამოვლენას, ჰქონდა თუ არა ადგილი თაღლითობას ან შეცდომებს ან სამართალდარღვევის შემთხვევებს. მიუხედავად ამისა, ჩვენ გაცნობებთ ნებისმიერი არსებითი საკითხის შესახებ, რომელიც მიიქცევს ჩვენ ყურადღებას.

Please sign and return the attached copy of this letter to indicate that it

გთხოვთ ხელი მოაწეროთ წერილს და დაგვიბრუნოთ ასლი

³ This sentence should be used at the discretion of the auditor.

³ ამ წინადადების გამოყენება აუდიტორის გადასაწყვეტია.

ENGAGEMENTS TO REVIEW FINANCIAL STATEMENTS

გარიგებები ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის შესახებ

is in accordance with your understanding of the arrangements for our review of the financial statements.

- (გ) პროფესიული კომპეტენტურობა და სათანადო ყურადღება,
- (დ) კონფიდენციალურობა,
- (ე) პროფესიული ქცევა და
- (ფ) ტექნიკური სტანდარტები.

დამოუკიდებლობა შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარი-

ments; however, the terms or objectives of an engagement or national standards may require the auditor to comply with the independence requirements of IFAC's Code of Ethics. Where the auditor is not independent, a statement to that effect would be made in the report of factual findings.

გების მოთხოვნა არ არის; მიუხედავად ამისა, გარიგების პირობებით ან მიზნებით, ან ეროვნული სტანდარტებით აუდიტორს შესაძლოა მოეთხოვებოდეს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოცემული "პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის" მოთხოვნების დაცვა დამოუკიდებლობის შესახებ. თუ აუდიტორი არ არის დამოუკიდებელი, ამის შესახებ უნდა აღინიშნოს აღმოჩენილი ფაქტების შესახებ დასკვნაში.

8. The auditor should conduct an agreed-upon procedures engagement in accordance with this ISA and the terms of the engagement.

8. აუდიტორმა შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგება უნდა წარმართოს წინამდებარე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტისა და გარიგების პირობების შესაბამისად.

Defining the Terms of the Engagement

გარიგების პირობების დადგენა

9. The auditor should ensure with representatives of the entity and, ordinarily, other specified parties who will receive copies of the report of factual findings, that there is a clear understanding regarding the agreed procedures and the conditions of the engagement. Matters to be agreed include the:

9. ჩვეულებრივ აუდიტორმა სამეურნეო სუბიექტის წარმომადგენლებთან და სხვა კონკრეტულ მხარეებთან ერთად, რომლებიც მიიღებენ აღმოჩენილი ფაქტების შესახებ დასკვნის ასლებს, უნდა უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ შეთანხმებულ პროცედურებსა და გარიგების პირობებთან დაკავშირებით უცვლადფერი ნათლად არის გარკვეული. შესათანხმებელ საკითხებში უნდა შედიოდეს

- Nature of the engagement including the fact that the procedures performed will not constitute an audit or a review and that accordingly no assurance will be expressed.

- გარიგების ხასიათისა და იმ ფაქტის დაფიქსირება, რომ ჩატარებული პროცედურები არ წარმოადგენს აუდიტს და არც მიმოხილვას და, შესაბამისად, არანაირი რწმუნების

(გარანტიის) გამოხატვას არ
ექნება ადგილი;

- Stated purpose for the engagement.
 - Identification of the financial information to which the agreed-upon procedures will be applied.
 - Nature, timing and extent of the specific procedures to be applied.
 - Anticipated form of the report of factual findings.
 - Limitations on distribution of the report of factual findings. When such limitation would be in conflict with the legal requirements, if any, the auditor would not accept the engagement.
- გარიგების მიზნის ფორმულირება;
 - იმ ფინანსური ინფორმაციის მითითება, რომლის მიმართაც გამოყენებული იქნება შეთანხმებული პროცედურები;
 - ჩასატარებელი კონკრეტული პროცედურების ხასიათის, ვადებისა და მოცულობის აღწერა;
 - აღმოჩენილი ფაქტების შესახებ დასკვნის სავარაუდო ფორმის აღწერა;
 - აღმოჩენილი ფაქტების შესახებ დასკვნის გაერცელების შეზღუდვა. როდესაც ასეთი შეზღუდვები წინააღმდეგობაში მოვა კანონმდებლობის მოთხოვნებთან, აუდიტორი არ უნდა დაეთანხმოს გარიგებას.

10. In certain circumstances, for example, when the procedures have been agreed to between the regulator, industry representatives and representatives of the accounting profession, the auditor may not be able to discuss the procedures with all the parties who will receive the report. In such cases, the auditor may consider, for example, discussing the procedures to be applied with appropriate representatives of the parties involved, reviewing relevant correspondence from such parties or sending them a draft of the type of report that will be issued.

10. ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, როდესაც პროცედურები შეთანხმებულია სათანადო მარეგულირებელი ორგანოების, დარგის წარმომადგენლებსა და ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიის წარმომადგენლებს შორის, აუდიტორმა შეიძლება ვერ შეძლოს პროცედურების განხილვა ყველა მიხრესთან, რომელთანც უნდა მიიღონ მისი დასკვნა. ასეთ შემთხვევებში აუდიტორს შეუძლია საჭიროდ ჩათვალოს, რომ, მაგალითად, გამოსაყენებელი პროცედურების შესახებ იმსჯელოს გარიგებაში მონაწილე მხარეთა შესაფერის წარმომადგენლებთან, განიხ-

ილოს ამ მხარეებისაგან მიღებული სათანადო წერილი ან გაუგზავნოს მათ წარსადგენი დასკვნის გიჰის პროექტი.

11. It is in the interests of both the client and the auditor that the auditor send an engagement letter documenting the key terms of the appointment. An engagement letter confirms the auditor's acceptance of the appointment and helps avoid misunderstanding regarding such matters as the objectives and scope of the engagement, the extent of the auditor's responsibilities and the form of reports to be issued.

11. ორივეს, დამკვეთსაც და აუდიტორსაც, აინტერესებს, რომ აუდიტორმა გააგზავნოს გარიგების წერილი, რომელშიც დოკუმენტურად გაფორმდება დანიშნვის ძირითადი პირობები. გარიგების წერილი ადასტურებს აუდიტორის თანხმობას დანიშნვის პირობებზე და ხელს უწყობს იმას, რომ თავიდან იქნეს აცილებულ გაუგებრობა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა: გარიგების მიზნები და მასშტაბი, აუდიტორის პასუხისმგებლობის ხარისხი და წარსადგენი დასკვნის ფორმა.

12. Matters that would be included in the engagement letter include:

- A listing of the procedures to be performed as agreed upon between the parties.
- A statement that the distribution of the report of factual findings would be restricted to the specified parties who have agreed to the procedures to be performed.

12. გარიგების წერილში შეტანილი უნდა იქნეს შემდეგი საკითხები:

- შესასრულებელი პროცედურების ჩამონათვალი ისე, როგორც შეთანხმებული იქნება მხარეთა შორის;
- იმის აღნიშვნა, რომ აღმოჩენილ ფაქტებზე დასკვნის გაერყელება უნდა შეიზღუდოს იმ კონკრეტული მხარეებით, რომლებიც შეთანხმდნენ პროცედურების ჩატარებაზე.

In addition, the auditor may consider attaching to the engagement letter a draft of the type of report of factual findings that will be issued. An example of an engagement letter appears in Appendix 1 to this ISA.

გარდა ამისა, აუდიტორმა შეიძლება გარიგების წერილს დაურთოს აღმოჩენილ ფაქტებზე წასადგენი დასკვნის გიჰის პროექტი. გარიგების წერილის ნიმუში მოცემულია სტანდარტის I დანართში.

Planning

13. The auditor should plan the work so that an effective engagement will be performed.

დაგეგმვა

13. აუდიტორმა ისე უნდა დაგეგმოს სამუშაო, რომ შესრულდეს მოქმედი გარიგება.

Documentation

14. The auditor should document matters which are important in providing evidence to support the report of factual findings, and evidence that the engagement was carried out in accordance with this ISA and the terms of the engagement.

დოკუმენტაცია

14. აუდიტორმა დოკუმენტურად უნდა გააფორმოს ის საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია აღმოჩენილ ფაქტებზე წარსადგენი დასკვნის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოსაპოვებლად, აგრეთვე მტკიცებულება იმის შესახებ, რომ გარიგება შესრულდა წინამდებარე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტისა და გარიგების პირობების შესაბამისად.

Procedures and Evidence

15. The auditor should carry out the procedures agreed upon and use the evidence obtained as the basis for the report of factual findings.

პროცედურები და მტკიცებულებები

15. აუდიტორმა უნდა შეასრულოს შეთანხმებული პროცედურები და მოპოვებული მტკიცებულებები გამოიყენოს აღმოჩენილ ფაქტებზე წარსადგენი დასკვნის საფუძველად.

16. The procedures applied in an engagement to perform agreed-upon procedures may include:

16. შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგების დროს შესაძლებელია შემდეგი პროცედურების გამოყენება:

- Inquiry and analysis.
- Recomputation, comparison and other clerical accuracy checks.
- Observation.
- Inspection.
- Obtaining confirmations.

- გამოკითხვა და ანალიზი;
- ხელახალი გამოთვლა, შედარება და სხვა გეჟნიკური შესრულების სიმუსტის შემოწმება;
- დაკვირვება;
- დათვალიერება;
- დასტურის მოპოვება.

Appendix 2 to this ISA is an example report which contains an illustrative list of procedures which may be used as one part of a typical agreed-upon procedures engagement.

სტანდარტის მე-2 დანართში მოცემულია დასკვნის ნიმუში, რომელიც შეიცავს პროცედურების სანიმუშო ჩამონათვალს; ეს პროცედურები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც შეთანხმებული პროცედურების ტიპური გარიგების ერთი ნაწილი.

Reporting

ანგარიშის წარდგენა

17. The report on an agreed-upon procedures engagement needs to describe the purpose and the agreed-upon procedures of the engagement in sufficient detail to enable the reader to understand the nature and the extent of the work performed.

17. შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგების დასკვნაში გარიგების მიზანი და შეთანხმებული პროცედურები საკმარის დეტალებზე უნდა იყოს აღწერილი, რათა მკითხველმა შეძლოს შესრულებულ სამუშაოს ხასიათისა და მოცულობაში გარკვევა.

18. The report of factual findings should contain:

18. აღმიჩენილ ფაქტებზე წარსადგენი დასკვნა უნდა შეიცავდეს

(a) title;

(ა) სათაურს;

(b) addressee (ordinarily the client who engaged the auditor to perform the agreed-upon procedures);

(ბ) ადრესატს (ჩვეულებრივ დამკვეთი, ვინც აუდიტორი დაიქირავა შეთანხმებული პროცედურების შესასრულებლად);

(c) identification of specific financial or non-financial information to which the agreed-upon procedures have been applied;

(გ) კონკრეტული ფინანსური ან არაფინანსური ინფორმაციის იდენტიფიკაციას, რომლისთვისაც გამოიყენეს შეთანხმებული პროცედურები;

(d) a statement that the procedures performed were those agreed upon with the recipient;

(დ) იმის აღნიშვნას, რომ შესრულებული პროცედურები შეთანხმებული იყო დასკვნის მიმღებთან;

(e) a statement that the engagement was performed in accordance with the International Standard on Auditing appli-

(ე) იმის დაფიქსირებას, რომ გარიგება შესრულებულია იმ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის ან ეროვნული სტანდარტ-

cable to agreed-upon procedures engagements, or with relevant national standards or practices;

ებისა თუ პრაქტიკის შესაბამისად, რომლებიც მისაღება შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგებისთვის;

(f) when relevant a statement that the auditor is not independent of the entity;

(ვ) საქიროების შემთხვევაში იმის აღნიშვნას, რომ აუდიტორი არ არის დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტისაგან;

(g) identification of the purpose for which the agreed-upon procedures were performed;

(გ) იმ მიზნის მითითებას, რისთვისაც ჩატარდა შეთანხმებული პროცედურები;

(h) a listing of the specific procedures performed;

(თ) შესრულებული კონკრეტული პროცედურების ჩამონათვალი;

(i) a description of the auditor's factual findings including sufficient details of errors and exceptions found;

(ი) აუდიტორის მიერ აღმოჩენილი ფაქტების აღწერას, მათ შორის ნაპოვნი შეცდომებისა და სადაო საკითხების დეტალურ აღწერას;

(j) statement that the procedures performed do not constitute either an audit or a review and, as such, no assurance is expressed;

(ქ) იმის აღნიშვნას, რომ აუდიტორის მიერ შესრულებული პროცედურები არ წარმოადგენს არც აუდიტს, და არც მიმოხილვას, ამიტომაც არავითარი გარანტიის (რწმუნების) გამონატვა არ ხდება;

(k) a statement that had the auditor performed additional procedures, an audit or a review, other matters might have come to light that would have been reported;

(ლ) იმის აღნიშვნას, რომ, თუ აუდიტორი ჩატარებდა დამატებით პროცედურებს, აუდიტს ან მიმოხილვას, შესაძლოა გამოვლინდებოდა სხვა ისეთი საკითხებიც, რაზედაც საქირო იქნებოდა ანგარიშის გაკეთება;

(l) a statement that the report is restricted to those parties that have agreed to the procedures to be performed;

(მ) იმის მითითებას, რომ დასკვნა შეზღუდულად განკუთვნილია იმ მხარეთათვის, რომლებიც შეთანხმდნენ პროცედურების შესრულებაზე;

(m) a statement (when applicable) that the report relates only to the elements, accounts, items or financial and non-financial information specified and that it does not extend to the entity's financial statements taken as a whole;

(n) date of the report;

(o) auditor's address; and

(p) auditor's signature.

Appendix 2 to this ISA contains an example of a report of factual findings issued in connection with an engagement to perform agreed-upon procedures regarding financial information.

Public Sector Perspective

1. *The report in a public sector engagement may not be restricted only to those parties that have agreed to the procedures to be performed, but made available also to a wider range of entities or people (for example, a parliamentary investigation about a specific public entity or governmental department).*

2. *It also has to be noted that public sector mandates vary significantly*

(ბ) საჭიროების შემთხვევაში იმის აღნიშვნას, რომ დასკვნა ეხება მხოლოდ ცალკეულ ელემენტებს, ანგარიშებს, საკითხებს ან კონკრეტულ ფინანსურსა თუ არაფინანსურ ინფორმაციას და არ ვრცელდება სამეურნეო სუბიექტის მთლიან ფინანსურ ანგარიშგებაზე;

(ო) დასკვნის დაწერის თარიღს;

(პ) აუდიტორის მისამართს და

(ჟ) აუდიტორის ხელმოწერას.

წინამდებარე სტანდარტის მე-2 დანართში მოცემულია აღმოჩენილ ფაქტებზე წარსადგენი დასკვნის ნიმუში, რომელიც ეხება ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებული შეთანხმებული პროცედურების გარიგებას.

სახელმწიფო სექტორის პერსპექტივა

1. *სახელმწიფო სექტორში ამგვარი დასკვნა შესაძლოა არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ იმ მხარეებით, რომლებიც შეთანხმდნენ პროცედურების ჩატარებაზე, არამედ შესაძლოა დასკვნა ხელმისაწვდომი იყოს სამეურნეო სუბიექტების უფრო ფართო წრისა და მასებისათვის (მაგალითად, პარლამენტის მიერ ჩატარებული გამოკვლევა სახელმწიფო სექტორის რომელიმე სამეურნეო სუბიექტის ან სამთავრობო ორგანიზაციის შესახებ).*

2. *აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფო სექტორის უფლებამ-*

ENGAGEMENTS TO PERFORM
AGREED-UPON PROCEDURES REGARDING
FINANCIAL INFORMATION

and caution has to be taken to distinguish engagements that are truly “agreed upon procedures” from engagements that are expected to be audits of financial information, such as performance reports.

გარიგებაში ფინანსური ინფორმაციასთან დაკავშირებით შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე

ოსილება მნიშვნელოვნად განსხვავებულია და საჭიროა წინდახედულების გამოჩენა, რათა გარიგებები, რომლებიც ნამდვილად შეთანხმებულ პროცედურებს შეეხება, განვასხვავოთ იმ გარიგებებისაგან, რომლებიც მიიჩნევა ფინანსური ანგარიშგების აუდიტად, მაგალითად, საქმიანობის შედეგების შესახებ დასკვნები.

Appendix 1

დანართი 1

Example of an Engagement Letter for an Agreed-upon Procedures Engagement

The following letter is for use as a guide in conjunction with paragraph 9 of this ISA and is not intended to be a standard letter. The engagement letter will need to be varied according to individual requirements and circumstances.

აუდიტორული გარიგების წერილის ნიმუში შეთანხმებული პროცედურების ჩატარებზე გარიგებისთვის

შემდეგი წერილი გამოიყენება მოცემული სტანდარტის მე-9 პუნქტის თვალსაჩინოებისთვის და არ არის გამიზნული იმისთვის, რომ მიიჩნიონ წერილის სტანდარტად. გარიგების წერილი უნდა იცვლებოდეს ინდივიდუალური მოთხოვნებისა და ვითარების შესაბამისად.

Date

თარიღი

To the Board of Directors or other appropriate representatives of the client who engaged the auditor.

დირექტორთა საბჭოს ან დამკვეთის სხვა შესაბამის წარმომადგენლებს, ვინც დაიქირავა აუდიტორი

This letter is to confirm our understanding of the terms and objectives of our engagement and the nature and limitations of the services that we will provide. Our engagement will be conducted in accordance with the International Standard on Auditing (or refer to relevant national standards or practices) applicable to agreed-upon procedures engagements and we will indicate so in our report.

ამ წერილით ვადასტურებთ, რომ ჩვენთვის გასაგებია გარიგების პირობები, მიზანი, აგრეთვე ჩვენს მიერ შესასრულებელი მომსახურების ხასიათი და მოცულობა. ჩვენი საქმიანობა წარმართება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის (ან შესაბამისი ეროვნული სტანდარტებისა თუ პრაქტიკის) შესაბამისად, რომელიც გამოიყენება შეთანხმებული პროცედურების გარიგებისათვის, რაც აღნიშნული იქნება ჩვენს დასკვნაშიც.

We have agreed to perform the following procedures and report to you the factual findings resulting from our work:

ჩვენ შევთანხმდით შემდგომი პროცედურების შესრულებაზე და იმაზე, რომ წარმოგიდგინოთ დასკვნა ჩვენი საქმიანობის შედეგად აღმოჩენილი ფაქტობრივი მონაცემების შესახებ:

(describe the nature, timing and extent of the procedures to be performed, including specific reference, where applicable, to the identity of documents and records to be read, individuals to be contacted and parties from whom confirmations will be obtained.)

The procedures that we will perform are solely to assist you in (state purpose). Our report is not to be used for any other purpose and is solely for your information.

The procedures that we will perform will not constitute an audit or a review made in accordance with International Standards on Auditing (or refer to relevant national standards or practices) and, consequently, no assurance will be expressed.

We look forward to full cooperation with your staff and we trust that they will make available to us whatever records, documentation and other information requested in connection with our engagement.

Our fees, which will be billed as work progresses, are based on the time required by the individuals assigned to the engagement plus out-of-pocket expenses. Individual hour-

(აღწერეთ შესასრულებელი პროცედურების ხასიათი, ვადები და მოცულობა, საჭიროების შემთხვევაში ფაქტებიც მოიშველიეთ, მაგალითად, მიუთითეთ ის მონაცემები და დოკუმენტაციაც, რომლის გაყნობასაც აპირებთ, აგრეთვე ის ცალკეული პირები და მხარეები, რომელთაც უნდა დაუკავშირდეთ დასტურის მისაღებად).

პროცედურები, რომელთა ჩატარებასაც ჩვენ ვაპირებთ, გამიზნულია მხოლოდ თქვენს დასახმარებლად (მიუთითეთ გარიგების მიზანი). ჩვენი დასკვნა არ უნდა გამოიყენონ სხვა მიზნებისთვის. ეს ინფორმაცია განკუთვნილია მხოლოდ თქვენთვის.

პროცედურები, რომლის ჩატარებასაც ვაპირებთ, არაა განკუთვნილი არც აუდიტისთვის და არც მიმოხილვისთვის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ან შესაბამისი ეროვნული სტანდარტებისა თუ პრაქტიკის) შესაბამისად და ამდენად არც გარანტიის (რწმუნების) გამოხატვას ექნება ადგილი.

მოუთმენლად ველით თანამშრომლობას თქვენს პერსონალთან და ვიმედოვნებთ, რომ ისინი ჩვენთვის ხელმისაწვდომს გახდიან ყველა მონაცემს, დოკუმენტაციასა და სხვა ინფორმაციას, რომელსაც მოვითხოვთ გარიგებასთან დაკავშირებით.

ჩვენი გასამრჯელო, რომელსაც ანგარიშფაქტურის სახით წარმოგიდგენთ სამუშაოს მიმდინარეობასთან ერთად, დამოკიდებული იქნება იმ დროზე, რომელიც

ENGAGEMENTS TO PERFORM
AGREED-UPON PROCEDURES REGARDING
FINANCIAL INFORMATION

ly rates vary according to the degree of responsibility involved and the experience and skill required.

Please sign and return the attached copy of this letter to indicate that it is in accordance with your understanding of the terms of the engagement including the specific procedures which we have agreed will be performed.

XYZ & Co

Acknowledged on behalf of
ABC Company by

(signed)

Name and Title

Date

გარიგებაში ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე

დასჭირდებით ამ საქმეში დაკავებული პირებს, აგრეთვე იმ ყოველდღიურ ხარჯებზე, რომელსაც გაეწევთ. ცალკეული საათობრივი განაკვეთები განსხვავდება პასუხისმგებლობის ხარისხის, გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.

გთხოვთ ხელი მოაწეროთ და დაგიბრუნოთ ამ წერილის ასლი იმის დასტურად, რომ იგი შეესაბამება თქვენს თვალსაზრისს გარიგების პირობების შესახებ, მათ შორის იმ კონკრეტული პროცედურების შესახებ, რომელთა ჩატარებამაც შევთანხმდით.

XYZ და კომპანია

... კომპანიის სახელით
ვადასტურებ

ხელმოწერა

სახელი, გვარი, თანამდებობა

თარიღი

Appendix 2

დანართი 2

Example of a Report of Factual Findings in Connection with Accounts Payable

დასკვნის ნიმუში მოწოდებ-
ბიდან და მომსახურებიდან
წარმოშობილ ვალდებულე-
ბებთან დაკავშირებული
აღმოჩენილი ფაქტობრივი
მონაცემების შესახებ

REPORT OF FACTUAL FINDINGS

დასკვნა აღმოჩენილ
ფაქტობრივ მონაცემებზე

To (those who engaged the auditor)

(ეინც აუდიტორი დაიქირავა)
...თვის

We have performed the procedures agreed with you and enumerated below with respect to the accounts payable of ABC Company as at (date), set forth in the accompanying schedules (not shown in this example). Our engagement was undertaken in accordance with the International Standard on Auditing (or refer to relevant national standards or practices) applicable to agreed-upon procedures engagements. The procedures were performed solely to assist you in evaluating the validity of the accounts payable and are summarized as follows:

ჩავატარეთ თქვენთან შეთანხმებული პროცედურები – კომპანიის მოწოდებ-
ბიდან და მომსახურებიდან წარ-
მოშობილ ვალდებულებებთან დაკავ-
შირებული მონაცემების ჩამონათვა-
ლი – დღისათვის დაერთვის დასკვ-
ნას დანართის სახით (დანართი ამ
ნიმუშში არ არის მოცემული). გარი-
გება შეეასრულეთ აუდიტის იმ საერ-
თაშორისო სტანდარტის (ან ეროვნუ-
ლი სტანდარტებისა თუ პრაქტიკის)
მიხედვით, რომელიც ეხება შეთანხმე-
ბული პროცედურების ჩატარებაზე
გარიგებას. პროცედურები შესრულე-
ბულია მხოლოდ იმისათვის, რომ
დაგეხმართ მოწოდებიდან და მომ-
სახურებიდან წარმოშობილი ვალდე-
ბულებების სისწორის შეფასებაში და
შეჯამებულია შემდეგნაირად:

1. We obtained and checked the addition of the trial balance of accounts payable as at (date) prepared by ABC Company, and we compared the total to the balance in the related general ledger account.

1. ჩვენ მივიღეთ და შევამოწმეთ –
კომპანიის მიერ მოწოდებიდან და
მომსახურებიდან წარმოშობილი
ვალდებულებების ანგარიშები –
დღისათვის. საცდელი ბალანსის
მაგების თანხა და მთლიანი ჯამი
შეაადარეთ მთავარი დაუთრის შე-
საბამისი ანგარიშის ნაშთთან.

2. We compared the attached list (not shown in this example) of major suppliers and the amounts owing at (date) to the related names and amounts in the trial balance.
3. We obtained suppliers' statements or requested suppliers to confirm balances owing at (date).
4. We compared such statements or confirmations to the amounts referred to in 2. For amounts which did not agree, we obtained reconciliations from ABC Company. For reconciliations obtained, we identified and listed outstanding invoices, credit notes and outstanding checks, each of which was greater than \$xxx. We located and examined such invoices and credit notes subsequently received and checks subsequently paid and we ascertained that they should in fact have been listed as outstanding on the reconciliations.

2. შევედარეთ მთავარ მომწოდებელთა თანდართული სია (ამ ნიმუშში არ არის მოცემული) და ცალკეული კრედიტორების დავალიანების თანხები - დღისათვის საცდელი ბალანსის თანხებთან.
3. მივიღეთ მომწოდებლების დასტური მათი კუთვნილი ნაშთების შესახებ ... დღისათვის.
4. ჩვენ შევედარეთ ეს უწყისები ან მიღებული დასტურები მე-2 პუნქტში აღწერილ თანხებს. იმ თანხებზე, რომლებიც არ ედრებოდა ერთმანეთს, მივიღეთ შედარების უწყისები კომპანიისაგან. შედარების უწყისისათვის ჩვენ დავადგინეთ გაუნაღლებელი ანგარიშვაჭტურები და შევადგინეთ ყველა გაუნაღლებელი ანგარიშვაჭტურების სია, საკრედიტო ბარათებისა და გაუნაღლებელი ქვითრების სია, რაც კი აღემატებოდა XXX აშშ დოლარს. ჩვენ თანმიმდევრობით დავალაგეთ და შევამოწმეთ შემდგომში მიღებული ანგარიშვაჭტურები, აგრეთვე შემდგომში გადახდილი საკრედიტო ბარათები და დავადგინეთ, რომ ისინი ფაქტობრივად ჩართული უნდა ყოფილიყო შედარების უწყისის დაუფარავი თანხების ჩამონათვალში.

We report our findings below:

გთავაზობთ აღმოჩენილი ფაქტობრივი მონაცემების შესახებ დასკვნას:

a) With respect to item 1 we found the addition to be correct and the total amount to be in agreement.

ა) პირველ პუნქტთან დაკავშირებული საცდელი ბალანსის მაგების თანხა სწორია და ემთხვევა მთლიან ჯამს;

b) With respect to item 2 we found the

ბ) მეორე პუნქტთან დაკავშირებუ

amounts compared to be in agreement.

ლი შესადარისი თანხები ასევე
ემთხვევა ერთმანეთს;

- c) With respect to item 3 we found there were suppliers' statements for all such suppliers.
- d) With respect to item 4 we found the amounts agreed, or with respect to amounts which did not agree, we found ABC Company had prepared reconciliations and that the credit notes, invoices and outstanding checks over \$xxx were appropriately listed as reconciling items with the following exceptions:

- გ) მესამე პუნქტთან დაკავშირებით მივიღეთ დასტური ყველა არსებული მომწოდებლისაგან;
- დ) მეოთხე პუნქტთან დაკავშირებული თანხები ემთხვეოდა ერთმანეთს. ხოლო იმ თანხებისთვის, რომლებიც არ ედრებოდა, კომპანიას მომზადებული ქქონდა შედარების უწყისები და XXX აშშ დოლარზე მეტი ღირებულების საკრედიტო ბარათების, გაუნაღდებული ანგარიშგაქვრებისა და ქეითრებისათვის შესაბამისად გაკეთებული იყო შესაბამისობაში მოსაყვანი მუხლების სია შემდეგი გამონაკლისებით:

(Detail the exceptions)

(დეგალურად აღწერეთ
გამონაკლისები)

Because the above procedures do not constitute either an audit or a review made in accordance with International Standards on Auditing (or relevant national standards or practices), we do not express any assurance on the accounts payable as of (date).

რადგან ზემოთ ჩამოთვლილი პროცედურები არც აუდიტის და არც მიმოხილვისთვის არაა განკუთვნილი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ან ეროვნული სტანდარტებისა თუ პრაქტიკის) შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ არანაირ რწმუნებას მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოშობილ ვალდებულებებთან დაკავშირებით... დღისათვის.

Had we performed additional procedures or had we performed an audit or review of the financial statements in accordance with International Standards on Auditing (or relevant national standards or practices), other matters might have come to our attention that would have been reported to you.

რომ ჩაგვეტარებინა დამატებითი პროცედურები ან ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და მიმოხილვა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ან ეროვნული სტანდარტებისა თუ პრაქტიკის) შესაბამისად, ჩვენ ყურადღებას გაეამახვილებდით სხვა საკითხებზე, რასაც

წარმოვადგენდით სათანადო
დასკვნის სახით.

Our report is solely for the purpose set forth in the first paragraph of this report and for your information and is not to be used for any other purpose or to be distributed to any other parties. This report relates only to the accounts and items specified above and does not extend to any financial statements of ABC Company, taken as a whole.

ჩვენი დასკვნა მხოლოდ იმ მიზანს ემსახურება, რაზეც საუბარია დასკვნის პირველ პუნქტში და განკუთვნილია თქვენი ინფორმირებისათვის. ეს დასკვნა არ უნდა იქნეს გამოყენებული სხვა მიზნით, არც რომელიმე სხვა მხარეს არ უნდა გაეგზავნოს. ჩვენი დასკვნა ეხება მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ ბუღალტრულ ანგარიშებსა და მუხლებს და არ ეხება კომპანიის არც ერთ მთლიან ფინანსურ ანგარიშგებას.

AUDITOR

აუდიტორი

Date

თარიღი

Address

მისამართი

CONTENTS

შინაბარსი

	Paragraphs		პუნქტები
Introduction	1-2	შესავალი	1-2
Objective of a Compilation Engagement	3-4	კომპილაციური გარიგების მიზანი	3-4
General Principles of a Compilation Engagement.....	5-6	კომპილაციური გარიგების ზოგადი პრინციპები	5-6
Defining the Terms of the Engagement	7-8	გარიგების პირობების დახასიათება	7-8
Planning	9	დაგეგმვა	9
Documentation	10	დოკუმენტაცია	10
Procedures	11-17	პროცედურები	11-17
Reporting on a Compilation Engagement	18-19	ანგარიშის წარდგენა კომპილაციური გარიგების შესახებ	18-19
Appendix 1: Example of an Engagement Letter for a Compilation Engagement		დანართი 1: კომპილაციური გარიგების წერილის ნიმუში	
Appendix 2: Examples of Compilation Reports		დანართი 2: კომპილაციური გარიგების შესახებ დასკვნის ნიმუშები	

International Standards on Auditing (ISAs) are to be applied in the audit of financial statements. ISAs are also to be applied, adapted as necessary, to the audit of other information and to related services.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ISAs—International Standards on Auditing) იყენებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს. ადაპტირებული სახით ეს სტანდარტები გამოიყენება სხვა ინფორმაციის აუდიტისთვისაც და აუდიტთან დაკავშირებული მომსახურებისათვის.

ISAs contain the basic principles and essential procedures (identified in bold type black lettering) together with related guidance in the form of explanatory and other material. The basic principles and essential procedures are to be interpreted in the context of the explanatory and other material that provide guidance for their application.

To understand and apply the basic principles and essential procedures together with the related guidance, it is necessary to consider the whole text of the ISA including explanatory and other material contained in the ISA not just that text which is black lettered.

In exceptional circumstances, an auditor may judge it necessary to depart from an ISA in order to more effectively achieve the objective of an audit. When such a situation arises, the auditor should be prepared to justify the departure.

ISAs need only be applied to material matters.

The Public Sector Perspective (PSP) issued by the Public Sector Committee of the International Federation of Accountants is set out at the end of an ISA. Where no PSP is added, the ISA is applicable in all material respects to the public sector.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებში (ISAs) მოცემულია ძირითადი პრინციპები და აუცილებელი პროცედურები (გუქსგმი გამოყოფილია მუქი შრიფტით), აგრეთვე ამასთან დაკავშირებული მითითებები ახსნა-განმარტებების და სხვა მასალის სახით. ეს ძირითადი პრინციპები და პროცედურები აღქმული უნდა იქნეს იმ ახსნა-განმარტებებისა და სხვა მასალების კონტექსტში, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი გამოყენების წესებს.

ძირითადი პრინციპებისა და აუცილებელი პროცედურების, აგრეთვე მათთან დაკავშირებული მითითებების გასაგებად და გამოსაყენებლად საჭიროა სტანდარტების მთელი ტექსტის, მათ შორის ამ სტანდარტებში ჩართული ახსნა-განმარტებებისა და სხვა მასალის, გათვალისწინება და არა მხოლოდ იმ ტექსტისა, რომელიც გამოყოფილია მუქი შრიფტით.

გამონაკლის შემთხვევებში აუდიტორმა შეიძლება საჭიროდ ჩათვალოს სტანდარტებიდან გადახვევა, რათა უფრო ეფექტურად განახორციელოს აუდიტის მიზანი. ამგვარ სიტუაციაში აუდიტორი მზად უნდა იყოს ასეთი გადახვევის დასასაბუთებლად.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები ეხება მხოლოდ არსებით საკითხებს.

სტანდარტის ბოლოს განხილულია სახელმწიფო სექტორის პერსპექტივა, რომელიც გამოსცა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის სახელმწიფო სექტორის კომიტეტმა. სადაც სახელმწიფო სექტორი არ არის წარმოდგენილი, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი მისაღებია სახელმწიფო სექტორთან დაკავშირებული ყველა არსებითი ასპექტისათვის.

Introduction

1. The purpose of this International Standard on Auditing (ISA) is to establish standards and provide guidance on the accountant's¹ professional responsibilities when an engagement to compile financial information is undertaken and the form and content of the report the accountant issues in connection with such a compilation.
2. This ISA is directed toward the compilation of financial information. However, it is to be applied to the extent practicable to engagements to compile non-financial information, provided the accountant has adequate knowledge of the subject matter in question. Engagements to provide limited assistance to a client in the preparation of financial statements (for example, on the selection of an appropriate accounting policy), do not constitute an engagement to compile financial information. This ISA is to be read in conjunction with ISA 120 "Framework of International Standards on Auditing."

¹For the purposes of this ISA and to distinguish between an audit and a compilation engagement the term 'accountant' (rather than 'auditor') has been used throughout to refer to a professional accountant in public practice.

შესავალი

1. წინამდებარე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის მიზანია ბუღალტრის¹ პროფესიული მოვალეობის სტანდარტებისა და მითითებების დადგენა ფინანსური ინფორმაციის კომპილაციის შესახებ გარიგების დროს, აგრეთვე იმ დასკვნის ფორმასა და შინაარსზე, რომელსაც ბუღალტერი გასცემს ამგვარ კომპილაციასთან დაკავშირებით.
2. წინამდებარე სტანდარტი ეხება ფინანსური ინფორმაციის კომპილაციას, თუმცა მისი გამოყენება შესაძლებელია არაფინანსური ინფორმაციის კომპილაციური გარიგებებისთვისაც, თუ, რასაკვირველია, ბუღალტერს გააჩნია მოქმედი საკითხის შესაფერისი ცოდნა. გარიგებები, რომლებიც გულისხმობენ დამკვეთისათვის შეზღუდული დახმარების გაწევას ფინანსური ანგარიშების მომზადებაში (მაგალითად, შესაფერისი ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის შერჩევამდე), არ წარმოადგენენ ფინანსური ინფორმაციის კომპილაციურ გარიგებებს. წინამდებარე სტანდარტი წაკითხულ უნდა იქნეს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტ 120-თან "აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების სტრუქტურული საფუძვლები" ერთად.

¹წინამდებარე სტანდარტის მიზნებისათვის, აგრეთვე აუდიტსა და კომპილაციურ საქმიანობას შორის განსხვავების წარმოსაჩენად, პროფესიონალი ბუღალტრის აღსანიშნავად საჯარო სამსახურში უფრო იყენებენ ცნებას ბუღალტერს, ვიდრე აუდიტორს.

Objective of a Compilation Engagement

კომპილაციური გარიგების მიზანი

3. The objective of a compilation engagement is for the accountant to use accounting expertise, as opposed to auditing expertise, to collect, classify and summarize financial information. This ordinarily entails reducing detailed data to a manageable and understandable form without a requirement to test the assertions underlying that information. The procedures employed are not designed and do not enable the accountant to express any assurance on the financial information. However, users of the compiled financial information derive some benefit as a result of the accountant's involvement because the service has been performed with professional competence and due care.

3. კომპილაციური გარიგების მიზანია ბუღალტერმა გამოიყენოს ბუღალტრული ცოდნა და გამოცდილება აუდიტორული ცოდნისა და გამოცდილების ნაცვლად, ფინანსური ინფორმაციის შესაგროვებლად, დასახარისხებლად და დასჯამებლად. ამ პროცესს ჩვეულებრივ მოჰყვება დეტალური მონაცემების შეკვეცა და ადვილად სამართავი და გასაგები ფორმით წარმოდგენა იმ მტკიცებების ტესტირების მოთხოვნის გარეშე, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ ინფორმაციას. გამოყენებული პროცედურები არ არის გაბიძნული და არც აძლევს ბუღალტერს საშუალებას, გამოხატოს რაიმე გარანტია (რწმუნება) ფინანსურ ინფორმაციაზე მიუხედავად ამისა, კომპილაციური ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლები მაინც ღებულობენ გარკვეულ სარგებელს ბუღალტერთა მიერ შესრულებული სამუშაოდან, რადგან მომსახურება სრულდება სათანადო პროფესიონალიზმითა და გულსხმიერებით.

4. A compilation engagement would ordinarily include the preparation of financial statements (which may or may not be a complete set of financial statements) but may also include the collection, classification and summarization of other financial information.

4. კომპილაციური გარიგება ჩვეულებრივ ითვალისწინებს ფინანსური ანგარიშგების მომზადებას (ეს შესაძლებელია იყოს ფინანსური ანგარიშგების სრული ან არასრული კომპლექტი), მაგრამ შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს სხვა ფინანსური ინფორმაციის შეგროვებას, კლასიფიცირებასა და დაჯამებას.

General Principles of a Compilation Engagement

კომპილაციური გარიგების ზოგადი პრინციპები

5. The accountant should comply with the “Code of Ethics for Professional Accountants” issued by IFAC. Ethical principles governing the accountant’s professional responsibilities for this type of engagement are:

5. ბუღალტერი უნდა იცავდეს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოცემულ “პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსს”. ამგვარი გიპის გარიგებებთან დაკავშირებით ბუღალტრების პროფესიული მოვალეობების განმსაზღვრელი ძირითადი ეთიკური პრინციპებია:

- (a) integrity;
- (b) objectivity;
- (c) professional competence and due care;
- (d) confidentiality;
- (e) professional behavior, and
- (f) technical standards.

- (ა) პატიოსნება,
- (ბ) ობიექტურობა,
- (გ) პროფესიული კომპეტენცია და სათანადო ყურადღება,
- (დ) კონფიდენციალურობა,
- (ე) პროფესიული ქცევა,
- (ვ) ტექნიკური სტანდარტები.

Independence is not a requirement for a compilation engagement. However, where the accountant is not independent, a statement to that effect would be made in the accountant’s report.

დამოუკიდებლობა არ არის კომპილაციური გარიგების მოთხოვნა. მიუხედავად ამისა, თუ ბუღალტერი დამოუკიდებელი არ არის, მან უნდა განაცხადოს ამის შესახებ ბუღალტრულ დასკვნაში.

6. In all circumstances when an accountant’s name is associated with financial information compiled by the accountant, the accountant should issue a report.

6. ყველა შემთხვევაში, როდესაც ბუღალტრის სახელი ასოცირდება ბუღალტრის მიერ კომპილირებულ ფინანსურ ინფორმაციასთან, ბუღალტერმა უნდა გასცეს დასკვნა.

Defining the Terms of the Engagement

გარიგების პირობების დანახსიათება

7. The accountant should ensure that there is a clear understanding between the client and the accoun-

7. ბუღალტერი უნდა დარწმუნდეს, რომ დამკვეთსა და ბუღალტერს შორის გარკვეულია გარიგების

Procedures

პროცედურები

11. The accountant should obtain a general knowledge of the business and operations of the entity and should be familiar with the accounting principles and practices of the industry in which the entity operates and with the form and content of the financial information that is appropriate in the circumstances.

11. ბუღალტერი ზოგადად უნდა გაეცნოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობას და ოპერაციებს, უნდა იცნობდეს იმ დარგის ბუღალტრულ პრინციპებსა და პრაქტიკას, რომელშიც საქმიანობს. სამეურნეო სუბიექტი, აგრეთვე მისი ფინანსური ინფორმაციის შესაფერის ფორმასა და შინაარსს.

12. To compile financial information, the accountant requires a general understanding of the nature of the entity's business transactions, the form of its accounting records and the accounting basis on which the financial information is to be presented. The accountant ordinarily obtains knowledge of these matters through experience with the entity or inquiry of the entity's personnel.

12. ფინანსური ინფორმაციის კომპილაციისთვის ბუღალტერი უნდა ერკვეოდეს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის ხასიათში, მისი ბუღალტრული დოკუმენტაციის ფორმასა და ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლებში, რის მიხედვითაც უნდა იყოს წარდგენილი ფინანსური ინფორმაცია. ბუღალტერი ამგვარ ცოდნას ჩვეულებრივ სამეურნეო სუბიექტთან მუშაობის გამოცდილებით ან მისი თანამშრომლების გამოკითხვით მოიპოვებს.

13. Other than as noted in this ISA, the accountant is not ordinarily required to:

13. გარდა წინამდებარე სტანდარტში განხილული შემთხვევებისა, ბუღალტერს არ მოეთხოვება:

(a) make any inquiries of management to assess the reliability and completeness of the information provided;

(ა) ხელმძღვანელობის გამოკითხვა, რათა შეაფასოს მიღებული ინფორმაციის საიმედოობა და სისრულე;

(b) assess internal controls;

(ბ) შიდა კონტროლის შეფასება;

(c) verify any matters; or

(გ) რაიმე საკითხის გადამოწმება და

(d) verify any explanations.

(დ) რაიმე ახსნა-განმარტების გადამოწმება.

14. If the accountant becomes aware

14. თუ ბუღალტრისათვის ცნობილი

that information supplied by management is incorrect, incomplete, or otherwise unsatisfactory, the accountant should consider performing the above procedures and request management to provide additional information. If management refuses to provide additional information, the accountant should withdraw from the engagement, informing the entity of the reasons for the withdrawal.

განდება, რომ მისთვის მიწოდებული ინფორმაცია არასწორია, არასრულია ან სხვაგვარად არის არაღამაკმაყოფილებელი, ბუღალტერმა უნდა განიხილოს ზემოთ ჩამოთვლილი პროცედურების ჩატარების საჭიროება და მოსთხოვოს ხელმძღვანელობას დამატებითი ინფორმაცია. თუ ხელმძღვანელობა უარს იტყვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდებაზე, ბუღალტერი უნდა გამოვიდეს გარიგებიდან და აცნობოს სამეურნეო სუბიექტს გარიგებიდან გასვლის მიზეზები.

15. The accountant should read the compiled information and consider whether it appears to be appropriate in form and free from obvious material misstatements. In this sense, misstatements include:

15. ბუღალტერი უნდა გაეცნოს კომპილაციურ ინფორმაციას და განიხილოს, არის თუ არა იგი შესაფერისი ფორმით წარდგენილი და შეიცავს თუ არა აშკარა არსებით უზუსტობებს. ამ თვალსაზრისით უმჯობესებში იგულისხმება შემდეგი:

- Mistakes in the application of the identified financial reporting framework.
- Nondisclosure of the financial reporting framework and any known departures therefrom.
- Nondisclosure of any other significant matters of which the accountant has become aware.

- შეცდომები ფინანსური ანგარიშგებისთვის დადგენილი სტრუქტურის გამოყენებაში;
- ახსნა-განმარტებების არქონა ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურისა და მისგან რაიმე ცნობილი გადახვევის შესახებ;
- ახსნა-განმარტებების არქონა ნებისმიერი სხვა მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ, რომელიც ცნობილი გახდა ბუღალტრისათვის.

The identified financial reporting framework and any known departures therefrom should be disclosed within the financial information, though their effects need not be quantified.

ფინანსური ანგარიშგებისთვის დადგენილი სტრუქტურა და მისგან გადახვევის ნებისმიერი გამოვლენილი შემთხვევა ახსნილი უნდა იყოს ფინანსურ ინფორმაციაზე თანდართულ ახსნა-განმარტებით

შენიშვნებში, თუმცა არ არის აუცილებელი მათი შედეგების გაანგარიშება.

16. If the accountant becomes aware of material misstatements, the accountant should try to agree appropriate amendments with the entity. If such amendments are not made and the financial information is considered to be misleading, the accountant should withdraw from the engagement.

16. თუ ბუღალტერი აღმოაჩენს არსებით უზუსტობას, მან უნდა სცადოს შესაფერისი შესწორებების შეთანხმება სამეურნეო სუბიექტთან. თუ ასეთი შესწორებები არ გაკეთდება და ფინანსური ინფორმაცია მიჩნეული იქნება მცდარად, ბუღალტერი უნდა გამოვიდეს გარიგებიდან.

Responsibility of Management

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

17. The accountant should obtain an acknowledgment from management of its responsibility for the appropriate presentation of the financial information and of its approval of the financial information. Such acknowledgment may be provided by representations from management which cover the accuracy and completeness of the underlying accounting data and the complete disclosure of all material and relevant information to the accountant.

17. ბუღალტერისათვის ცნობილი უნდა იყოს, რომ ხელმძღვანელობა აცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას ფინანსური ინფორმაციის წარდგენასთან დაკავშირებით და ადასტურებს ფინანსურ ინფორმაციას. ამგვარი პასუხისმგებლობის გაცნობიერება შეიძლება ჩანდეს ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ისეთი ოფიციალური ინფორმაციიდან, რომელიც ეხება ბუღალტრისათვის წარდგენილი ამოსაუღლი ბუღალტრული მონაცემების სიზუსტეს, აგრეთვე ყველა არსებითი და ღირებულ ინფორმაციის სრულ ახსნა-განმარტებას.

Reporting on a Compilation Engagement

ანგარიშის წარდგენა კომპილაციური გარიგების შესახებ

18. Reports on compilation engage- ments should contain² the follow- ing:

(a) title;

(b) addressee;

(c) a statement that the engage-
ment was performed in accor-
dance with the ISA applicable to
compilation engagements, or
with national standards and
practices;

(d) when relevant, a statement that
the accountant is not indepen-
dent of the entity;

(e) identification of the financial
information noting that it is
based on information provided
by management;

(f) a statement that management
is responsible for the financial in-
formation compiled by the ac-
countant;

(g) a statement that neither an au-
dit nor a review has been car-
ried out and that accordingly no

18. ფინანსური ინფორმაციის კო-
მპილაციურ გარიგებებზე დასკვნა² შეიცავს

(ა) სათაურს;

(ბ) აღრესატს;

(გ) მითითებას, რომ გარიგება შეს-
რულდა კომპილაციური გარიგე-
ბის შესაბამისი აუდიტის საერ-
თაშორისო სტანდარტის ან ერ-
ოვნული სტანდარტებისა თუ
პრაქტიკის მიხედვით;

(დ) საჭიროების შემთხვევაში იმის
აღნიშვნას, რომ ბუღალტერი არ
არის დამოუკიდებელი;

(ე) ფინანსური ინფორმაციის იდენ-
ტიფიკაციას იმის მითითებით,
რომ იგი ეყრდნობა ხელმძღვ-
ანელობის მიერ მოწოდებულ
ინფორმაციას;

(ვ) იმის აღნიშვნას, რომ ბუღალტრის
მიერ კომპილირებულ ფინანსურ
ინფორმაციაზე პასუხისმგებელია
ხელმძღვანელობა;

(გ) იმის მითითებას, რომ არ ჩატარე-
ბულა არც აუდიტი და არც მი-
მოხილვა, ამიტომ არ არის

² It may also be appropriate for the accountant to refer to the special purpose for which or party for whom the information has been prepared. Alternatively, or in addition, the accountant may add some form of caution designed to ensure that it is not used for purposes other than those intended.

¹ ბუღალტრისათვის ასევე შეიძლება მიმართუ-
წონილი იყოს იმ კონკრეტული მიზნის ან მხ-
არის მითითება, რომლისთვისაც მზადდება ინ-
ფორმაცია. ამის ნაცვლად, ან ამასთან ერთად,
ბუღალტერმა შეიძლება დაამატოს გაფრთხი-
ლების რაიმე ფორმა იმისათვის, რომ ინფორ-
მაცია არ იქნეს გამოყენებული სხვა მიზნე-
ბისათვის.

assurance is expressed on the financial information;

გამოხატული რაიმე გარანტია (რწმუნება) ფინანსურ ინფორმაციაზე;

(h) a paragraph, when considered necessary, drawing attention to the disclosure of material departures from the identified financial reporting framework;

(თ) საჭიროების შემთხვევაში ისეთ აბზაცს, სადაც ყურადღება გამაზვილებული იქნება ფინანსური ანგარიშგებისთვის დადგენილი ჩარჩოებიდან არსებით გადახვევებზე;

(i) date of the report;

(ი) დასკვნის თარიღს;

(j) accountant's address; and

(ქ) ბუღალტრის მისამართსა და

(k) accountant's signature.

(ლ) ბუღალტრის ხელმოწერას.

Appendix 2 to this ISA contains examples of compilation reports.

წინამდებარე სტანდარტის მე-2 დანართში განხილულია კომპილაციური დასკვნის ნიმუშები.

19. The financial information compiled by the accountant should contain a reference such as “Un-audited,” “Compiled without Audit or Review” or “Refer to Compilation Report” on each page of the financial information or on the front of the complete set of financial statements.

19. ბუღალტრის მიერ კომპილირებული ფინანსურ ინფორმაციაში ფინანსური ინფორმაციის ყოველ გვერდზე ან ფინანსური ანგარიშების სრული კრებულის თავში მითითებული უნდა იყოს, რომ: “არ ჩატარებულა აუდიტი”, “კომპილირებულია აუდიტის ან მიმოხილვის გარეშე” ან “იხილეთ კომპილაციაზე დასკვნა”.

Appendix 1

დანართი 1

Example of an Engagement Letter for a Compilation Engagement

კომპილაციური გარიგების წერილის ნიმუში

The following letter is for use as a guide in conjunction with the considerations outlined in paragraph 7 of this ISA and will need to be varied according to individual requirements and circumstances. This example is for the compilation of financial statements.

მე-7 პუნქტში განხილული საკითხებისთვის შეიძლება იხელმძღვანელოთ შემდეგი წერილით, რომელიც საჭიროებს შეცვლას ინდივიდუალური მოთხოვნებისა და ვითარების შესაბამისად. ეს ნიმუში გათვალისწინებულია ფინანსური ანგარიშგების კომპილაციისთვის.

(Date)

(თარიღი)

To the Board of Directors or the appropriate representatives of senior management:

დირექტორთა საბჭოს ამ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის შესაფერის წარმომადგენლებს

This letter is to confirm our understanding of the terms of our engagement and the nature and limitations of the services we will provide.

ამ წერილით ვადასტურებთ, რომ ჩვენთვის გასაგებია გარიგების პირობები, აგრეთვე იმ მომსახურების ხასიათი და შეზღუდვები, რომელიც უნდა გაგიწიოთ.

You have requested that we perform the following services:

თქვენ ჩვენგან ითხოვთ შემდეგი მომსახურების გაწევას:

On the basis of information you provide, we will compile, in accordance with the International Standard on Auditing (or refer to relevant national standards or practices) applicable to compilation engagements, the balance sheet of ABC Company as of December 31, 19XX and related statements of income and cash flows for the year then ended on a cash basis. We will not carry out audit or review engagement procedures in relation to such financial statements. Consequently, no assurance on the

თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ფინანსური ინფორმაციის კომპილაციური გარიგების შესაბამისი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის (ან მიუთითეთ შესაბამისი ეროვნული სტანდარტები, ანდა მიღებული პრაქტიკა) მიხედვით ჩვენ შევადგენთ – კომპანიის ბუღალტრულ ბალანსს 19XX წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებულ მოგებისა და გარალის ანგარიშგებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას

financial statements will be expressed. Our report on the financial statements of ABC Company is presently expected to read as follows:

(see Appendix 2 to this ISA)

Management is responsible for both the accuracy and completeness of the information supplied to us and is responsible to users for the financial information compiled by us. This includes the maintenance of adequate accounting records and internal controls and the selection and application of appropriate accounting policies. Our engagement cannot be relied upon to disclose whether fraud or errors, or illegal acts exist. However, we will inform you of any such matters which come to our attention.

The information will be prepared in accordance with [identified financial reporting framework]. Any known departures from this framework will be disclosed within the financial statements and when considered necessary will be referred to in our com-

საკასო მეთოდით იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით. ჩვენ არ ჩაეგაგრებოთ აუდიტს და არც მიმოხილვის გარიგების პროცედურებს აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით. შესაბამისად ამისა, არ გამოვხატავთ რაიმე რწმუნებას ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნა – კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, ვეარაულობთ, შემდეგი სახის იქნება:

(იხილეთ დანართი 2)

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე, ასევე აგებს პასუხს მომხმარებლის წინაშე ჩვენ მიერ კომპილირებულ ფინანსურ ინფორმაციაზე. კომპილაციური საქმიანობა გულისხმობს შესაფერისი ბუღალტრული ჩანაწერებისა და შიდა კონტროლის წარმოებას, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და გამოყენებას. ჩვენი გარიგება არ გამოდგება იმის დასადასტურებლად, ჰქონდა თუ არა ადგილი თაღლითობას ან შეცდომას, ან რაიმე უკანონო ქმედებას. მიუხედავად ამისა, თუკი რომელიმე ამგვარი მოვლენა მიიპყრობს ჩვენს ყურადღებას, გაცნობებთ ამის შესახებ.

ინფორმაცია მომზადდება [ფინანსური ანგარიშგებისთვის დადგენილი სტრუქტურული საფუძვლები]-ს შესაბამისად, აღნიშნული სტრუქტურული საფუძვლებიდან ნებისმიერი გამოვლენილი გადახვევა ახსნილი იქნება ფინანსური ანგარიშგების

pilation report.

We understand that the intended use and distribution of the information we have compiled is [specify] and that should this change in a material respect, that you will inform us.

We look forward to full cooperation with your staff and we trust that they will make available to us whatever records, documentation and other information requested in connection with our compilation.

Our fees, which will be billed as work progresses, are based on the time required by the individuals assigned to the engagement plus out-of-pocket expenses. Individual hourly rates vary according to the degree of responsibility involved and the experience and skill required.

This letter will be effective for future years unless it is terminated, amended or superseded.

Please sign and return the attached copy of this letter to indicate that it

თანდართულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებში და საჭიროების შემთხვევაში – მითითებული კომპილაციის შესახებ ჩვენს მიერ შედგენილ დასკვნაში.

ჩვენთვის გასაგებია, რომ თქვენ აპირებთ ჩვენს მიერ კომპილირებული ფინანსური ინფორმაციის შემდეგნაირად [განმარტეთ, როგორ] გამოყენებასა და გაერცელებას და, თუ ეს პირობა არსებითად შეიცვლება, გვაცნობებთ ამის შესახებ.

ველით თქვენს პერსონალთან სრულ თანამშრომლობას და ვიმედოვნებთ, რომ ისინი ხელმისაწვდომს გახდიან ჩვენთვის ნებისმიერ ჩანაწერს, დოკუმენტაციასა თუ სხვა ინფორმაციას, რომელსაც მოვითხოვთ კომპილაციასთან დაკავშირებით.

essential to the effective control of a large computer environment, may not be viewed by the developer, the user or management as being as important or cost-effective in a microcomputer environment. However, because the data are being processed on a computer, users of such data may tend to place unwarranted reliance on the financial information stored or generated by a microcomputer. Since microcomputers are oriented to individual end-users, the degree of accuracy and dependability of financial information produced will depend upon the internal controls prescribed by management and adopted by the user. For example, when there are several users of a single microcomputer, without appropriate controls, programs and data stored on non-removable storage media by one user may be susceptible to unauthorized access, use, alteration or theft by other users.

შემთხვევაში პროგრამების სისტემური დამუშავების კონტროლი (მაგალითად, ადეკვატური დოკუმენტაცია) და ფუნქციონირება (მაგალითად, მონაცემებში შესვლის კონტროლის პროცედურები), რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მსხვილ კომპიუტერულ გარემოში უფექტური კონტროლის განხორციელებისათვის, შეიძლება ვერ დაინახოს პროგრამისგმა, მომხმარებელმა ან ხელმძღვანელობამ ისეთ ღონეზე, როგორი მნიშვნელობაც აქვს მას მიკროკომპიუტერული გარემოსთვის. მიუხედავად ამისა, იმის გამო რომ მონაცემთა დამუშავება ხდება კომპიუტერზე, ამ მონაცემების მომხმარებელი შესაძლოა გარანტიის გარეშე დაეყრდნოს მიკროკომპიუტერში შენახულ ინფორმაციას ან იმ ინფორმაციას, რომლის გენერირებაც მიკროკომპიუტერის საშუალებით ხდება. რადგან მიკროკომპიუტერები ორიენტირებულია ინდივიდუალურ საბოლოო მომხმარებელზე, კომპიუტერზე წარმოებული ფინანსური ინფორმაციის სიმუსის ხარისხი და საიმედოობა დამოკიდებული იქნება ხელმძღვანელობის მიერ დაწესებულ და მომხმარებლის მიერ შესასრულებელ შიდა კონტროლზე, მაგალითად, როდესაც ერთ მიკროკომპიუტერს რამდენიმე მომხმარებელი ჰყავს, პროგრამები და მონაცემები, რომელთაც ერთი მომხმარებელი ინახავს სტაციონარულ დამამახსოვრებელ საშუალებებზე შესაფერისი კონტროლის გარეშე, შესაძლოა ექვემდებარებოდნენ სხვა მომხმარებლის მხრი-

დან მონაცემებში უნებართვოდ
შესვლას, მათ გამოყენებას, შეუ-
ვლას ან მოპარვას.

14. In a typical microcomputer environment, the distinction between general CIS controls and CIS application controls may not be easily ascertained. Paragraphs 15-32 describe security and control procedures that can help improve the overall level of internal control.

14. ტიპურ მიკროკომპიუტერულ გარემოში, კის საერთო კონტროლსა და გამოყენებით კონტროლს შორის არსებული განსხვავებების გამოვლენა შეუძლებელია არ იყოს ადვილი. პ.პ. 15-32-ში აღწერილია დაცვისა და კონტროლის ისეთი პროცედურები, რომლებიც ხელს შეუწყობენ შიდა კონტროლის საერთო დონის გაუმჯობესებას.

Management Authorization for Operating Microcomputers

ხელმძღვანელობის უფლებამოსილება მიკროკომპიუტერების ფუნქციონირებაზე

15. Management can contribute to the effective operation of stand-alone microcomputers by prescribing and enforcing policies for their control and use. Management's policy statement may include:

15. ხელმძღვანელობას შეუძლია ხელი შეუწყოს მიკროკომპიუტერების ეფექტურ ფუნქციონირებას მათი კონტროლისა და გამოყენების პოლიტიკის შემუშავებითა და პრაქტიკაში დანერგვით. ხელმძღვანელობის პოლიტიკის განმსაზღვრელი დებულება შეიძლება მოიცავდეს

- management responsibilities;
- instructions on microcomputer use;
- training requirements;
- authorization for access to programs and data;
- policies to prevent unauthorized copying of programs and data;

- ხელმძღვანელობის მოვალეობებს;
- მიკროკომპიუტერების გამოყენების ინსტრუქციებს;
- სწავლების მოთხოვნებს;
- პროგრამებითა და მონაცემებით სარგებლობის უფლებამოსილების განსაზღვრას;
- პროგრამებისა და მონაცემების უნებართვო გადაწერის აკრძალვის პოლიტიკას;

- security, back-up and storage requirements;
- application development and documentation standards;
- standards of report format and report distribution controls;
- personal usage policies;
- data integrity standards;
- responsibility for programs, data and error correction; and
- appropriate segregation of duties.

- დაცვის, დუბლირებისა და შენახვის მოთხოვნებს;
- პროგრამების დამუშავებისა და დოკუმენტაციის სტანდარტებს;
- ანგარიშის ფორმატის სტანდარტებსა და ანგარიშის გაერთიანებაზე კონტროლს;
- პერსონალური გამოყენების პოლიტიკას;
- მონაცემთა მთლიანობის სტანდარტებს;
- პასუხისმგებლობის დაკისრებას პროგრამების, ასევე მონაცემების გამოყენებაზე და შეცდომების შესწორებაზე;
- მოვალეობების სათანადო დანაწილებას.

Physical Security—Equipment

ფიზიკური უსაფრთხოება – მოწყობილობები

16. Because of their physical characteristics, microcomputers are susceptible to theft, physical damage, unauthorized access or misuse. This may result in the loss of information stored in the microcomputer, for example, financial data vital to the accounting system.

16. მათი ფიზიკური მახასიათებლების გამო, მიკროკომპიუტერები შეიძლება მოიპარონ, ფიზიკურად დაზიანდნენ, უნებართვოდ ან არასწორად გამოიყენონ. ამან შეიძლება გამოიწვიოს მიკროკომპიუტერებში არსებული ინფორმაციის, მაგალითად, ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში არსებული ფინანსური მონაცემების, დაკარგვა.

17. One method of physical security is to restrict access to microcomputers when not in use by using door locks or other security protection during non-business hours. Additional physical security over microcomputers can be established, for

17. ფიზიკური უსაფრთხო დაცვის ერთ-ერთი მეთოდია მიკროკომპიუტერების ხელმისაწვდომობის შემლუღვა კარის ჩაკეცილობით, მაშინ როდესაც არ იყენებს მას მომხმარებელი, ან სხვა სახის უსაფრთხოების ღონისძიების გატარება

example, by:

- locking the microcomputer in a protective cabinet or shell;
- using an alarm system that is activated any time the microcomputer is disconnected or moved from its location;
- fastening the microcomputer to a table; or
- installing a locking mechanism to control access to the on/off switch. This may not prevent microcomputer theft, but may be effective in controlling unauthorized use.

არასამუშაო საათებში. მიკროკომპიუტერების დამატებითი ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა შესაძლებელია:

- მიკროკომპიუტერების ჩაკეცილ დამცველ კარადაში ან გისოსებიან ოთახში;
- სიგნალიზაციის ისეთი სისტემის გამოყენებით, რომელიც ამოქმედდება ნებისმიერ დროს-მიკროკომპიუტერების გათიშვის ან სხვა ადგილას გადატანისას;
- მიკროკომპიუტერების დაბაგრებით მაგიდაზე;
- ჩამკეცი მექანიზმის გამოყენებით კომპიუტერის გათიშვის/ჩართვის კონტროლის მიზნით. ამან შეიძლება ხელი ვერ შეუშალოს მიკროკომპიუტერის ქურდობას, მაგრამ ბევრად ეფექტური იყოს მისი უნებართვო გამოყენების გასაკონტროლებლად.

Physical Security—Removable and Non-Removable Media

ფიზიკური უსაფრთხოება-სტაციონარული და არასტაციონარული დამამახსოვრებელი საშუალებები

18. Programs and data used on a microcomputer can be stored on removable storage media or non-removable storage media. Diskettes and cartridges can be removed physically from the microcomputer, while hard disks are normally sealed in the microcomputer or in a stand-alone unit attached to the microcomputer. When a microcomputer is used by many individuals, users may develop a casual attitude to-

18. მიკროკომპიუტერში გამოყენებული მონაცემებისა და პროგრამების შენახვა შეიძლება სტაციონარულ და არასტაციონარულ დამამახსოვრებელ საშუალებებში. დისკეტები და კასეტები ფიზიკურად განცალკევებულია მიკროკომპიუტერებისგან, მაშინ როდესაც ხისტი დისკები ჩვეულებრივ ჩადგმულია მიკროკომპიუტერში ან მიკროკომპიუტერზე მიმაგრებულ განცალკევებულ

ward the storage of the application diskettes or cartridges for which they are responsible. As a result, critical diskettes or cartridges may be misplaced, altered without authorization or destroyed.

მოწყობილობაში. როდესაც მიკროკომპიუტერს იყენებენ სხვადასხვა პიროვნებები, მაშინ მომხმარებელმა შეიძლება შემთხვევით უყურადღებობა გამოიჩინოს გამოყენებითი პროგრამების დისკეტებისა თუ მაგნიტური კასეტების მიმართ, რომელზეც მათ ექონსრებათ პასუხისმგებლობა. ამის შედეგად მნიშვნელოვანი დისკეტები ან კასეტები შეიძლება არ მოთაესდეს თავის ადგილას, შეიცვალოს უნებართვოდ ან განადგურდეს.

19. Control over removable storage media can be established by placing responsibility for such media under personnel whose responsibilities include duties of software custodians or librarians. Control can be further strengthened when a program and data file check-in and check-out system is used and designated storage locations are locked. Such internal controls help ensure that removable storage media are not lost, misplaced or given to unauthorized personnel. Physical control over non-removable storage media is probably best established with locking devices.

19. არასტაციონარულ დამამახსოვრებელ საშუალებებზე კონტროლის დაწესება შეიძლება თვითველ მათგანზე პასუხისმგებელი პერსონალის დანიშვნით, რომელთაც დაევალებათ პროგრამული უზრუნველყოფის დაცემა ან ბიბლიოთეკარის უფუნქციების შესრულება. კონტროლის შემდგომი გაძლიერება შესაძლებელი ხდება, როდესაც გამოიყენება პროგრამისა და მონაცემთა ფაილების ხელმოწერითი ჩაბარებისა და გამორთმევის სისტემა და დამამახსოვრებელი მოწყობილობა ბლოკირდება. ამგვარი შიდა კონტროლი უზრუნველყოფს იმას, რომ არასტაციონარული დამამახსოვრებელი საშუალება არ დაიკარგოს, სხვა ადგილას არ მოთაესდეს ან არ ჩაუვარდეს ხელში არაუფლებამოსილ პერსონალს. სტაციონარული დამამახსოვრებელი საშუალებების ფიზიკური კონტროლის სუკეთესო საშუალებაა ჩამკეცი მოწყობილობის გამოყენება.

20. Depending on the nature of the program and data files, it is appro-

20. პროგრამებისა და მონაცემების ფაილების ხასიათიდან გამომ-

ropriate to keep current copies of diskettes, cartridges and hard disks in a fireproof container, either onsite, offsite or both. This applies equally to operating system and utility software and backup copies of hard disks.

დინარე, მისაღებია დისკეტების, კასეტებისა და ხისტი დისკების ასლების შენახვა გარედან, შიგნიდან ან ორივე მხრიდან ცეცხლგამძლე სათავსოებში. ეს თანაბრად ეხება როგორც საოპერაციო სისტემას, ისე დამხმარე პროგრამულ უზრუნველყოფასა და ხისტი დისკების დუბლიკატებს.

Program and Data Security

პროგრამისა და მონაცემების უსაფრთხოება

21. When microcomputers are accessible to many users, there is a risk that programs and data may be altered without authorization.

21. როდესაც მიკროკომპიუტერი ხელმისაწვდომია მრავალი მომხმარებლისთვის, მაშინ წარმოიშევა იმის რისკი, რომ პროგრამები და მონაცემები ვინმემ უნებართვოდ შეცვალოს.

22. Because microcomputer operating system software may not contain many control and security features, there are several internal control techniques which can be built into the application programs to help ensure that data are processed and read, as authorized and that accidental destruction of data is prevented. These techniques, which limit access to programs and data to authorized personnel, include:

22. რადგან მიკროკომპიუტერების სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა შესაძლოა არ შეიცავდეს კონტროლისა და დაცვის ბევრ საშუალებას, არსებობს შიდა კონტროლის რამდენიმე ისეთი მეთოდი, რომელთა ჩადება შესაძლებელია გამოყენებით პროგრამებში იმის უზრუნველსაყოფად, რომ მონაცემების დამუშავება და წაკითხვა სათანადო ნებართვით ხდებოდეს და თავიდან იქნეს აცილებული მონაცემების შემთხვევითი განადგურება. მეთოდები, რომლებიც ზღუდავს მონაცემებითა და პროგრამებით უნებართვო სარგებლობას, მოიცავს

- segregating data into files organized under separate file directories;
- using hidden files and secret file names;

- მონაცემების განაწილებას ფაილებში, სხვადასხვა კატეგორიებში;
- დამალული ფაილებისა და ფაილების საიდუმლო სახელ-

- employing passwords; and
- using cryptography.

23. The use of a file directory allows the user to segregate information on removable and non-removable storage media. For critical and sensitive information, this technique can be supplemented by assigning secret file names and "hiding" the files.

24. When microcomputers are used by multiple users, an effective internal control technique is the use of passwords, which determine the degree of access granted to a user. The password is assigned and monitored by an employee who is independent of the specific system to which the password applies. Password software can be developed by the entity, but in most instances it will be purchased. In either case, internal controls can be strengthened by installing software that has a low likelihood of being thwarted by users.

25. Cryptography can provide an effective control for protecting confiden-

წოდების გამოყენებას;

- პაროლების გამოყენებას;
- შიფრების გამოყენებას.

23. ფაილების კატალოგის გამოყენება საშუალებას აძლევს მომხმარებელს გაანაწილოს ინფორმაცია სტაციონარულ და არასტაციონარულ დამამახსოვრებელ საშუალებებზე. მნიშვნელოვანი და მგრძობიარე ინფორმაციისათვის ამ მეთოდს შეიძლება დაემატოს ფაილების საიდუმლო სახელწოდების შემოღება და ფაილების „დამალვა“.

24. როდესაც მიკროკომპიუტერებს იყენებენ სხედასხვა მომხმარებლები, ეფექტურ შიდა კონტროლის მეთოდად ითვლება პაროლების გამოყენება, რითაც განისაზღვრება ინფორმაციით სარგებლობაზე მომხმარებლის ნებართვის ხარისხი. პაროლს აწესებს და ამოწმებს ისეთი მოსამსახურე, რომელიც დამოუკიდებელია იმ კონკრეტული სისტემებისგან, რომელსაც ეხება პაროლი. პაროლების პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება შეუძლია თვითონ სამეურნეო სუბიექტს, მაგრამ უფრო მეტად მას ყიდულობენ. ზოგ შემთხვევაში შიდა კონტროლის გაძლიერება შესაძლებელია ისეთი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვით, რომელსაც პაგარა ალბათობა აქვს იმისათვის, რომ მომხმარებელმა მოშალოს.

25. შიფრებს შეუძლიათ კონფიდენციალური ან მგრძობიარე პრო-

tial or sensitive programs and information from unauthorized access and modification by users. It is generally used when sensitive data are transmitted over communication lines, but it can also be used on information processed by a microcomputer. Cryptography is the process of transforming programs and information into an unintelligible form. Encryption and decryption of data require the use of special programs and a code key known only to those users to whom the programs or information is restricted.

გრამებისა და ინფორმაციის ეფექტური კონტროლის უზრუნველყოფა, რათა დაიცვან მომხმარებლის მიერ უნებართვო სარგებლობისა და შეცვლისგან. შიფრებს, როგორც წესი, მაშინ იყენებენ, როდესაც მგრძობიარე ინფორმაცია გადაეცემა საკომუნიკაციო ხაზებით, მაგრამ მათი გამოყენება ასევე უნდა იყოს შესაძლებელი მიკროკომპიუტერის მიერ. დაშიფრვა არის პროგრამებისა და ინფორმაციის გაუგებარ ფორმაში გარდაქმნის პროცესი. მონაცემების დაშიფრვა და გაშიფრვა საჭიროებს სპეციალური პროგრამების გამოყენებას და შიფრის კოდი ცნობილია მხოლოდ იმ მომხმარებლისთვის, ვისთვისაც ნებადართულია პროგრამებით ან ინფორმაციით სარგებლობა.

26. Directories and hidden files, user authentication software and cryptography can be used for microcomputers that have both removable and non-removable storage media. For microcomputers that have removable storage media, an effective means of program and data security is to remove diskettes and cartridges from the microcomputer and place them in custody of the users responsible for the data or the file librarians.

26. ფაილების კატალოგისა და დამალული ფაილების გამოყენება, მომხმარებლის იდენტიფიკაციის პროგრამული უზრუნველყოფისა და დაშიფრვის გამოყენება შესაძლებელია ისეთი მიკროკომპიუტერებისათვის, რომელთაც აქვთ როგორც სტაციონარული, ისე არასტაციონარული დამამახსოვრებელი საშუალებები. ისეთი მიკროკომპიუტერებისათვის, რომელთაც გააჩნიათ არასტაციონარული დამამახსოვრებელი საშუალებები, პროგრამისა და მონაცემების დაცვის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა დისკეტებისა და კასეტების მოხსნა მიკროკომპიუტერებისაგან და ფაილების ბიბლიოთეკარისთვის ან იმ მომხმარებლისთვის ჩაბარება, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა

მონაცემების დაცვაზე.

27. An additional access control for confidential or sensitive information stored on non-removable storage media is to copy the information to a diskette or cartridge and delete the files on the non-removable storage media. Control over the diskette or cartridge can then be established in the same manner as over other sensitive or confidential data stored on diskettes or cartridges. The user should be aware that many software programs include an "erase" or "delete" function, but that such a function may not actually clear erased or deleted files from the hard disk. Such functions may merely clear the file name from the hard disk's directory. Programs and data are in fact removed from the hard disk only when new data are written over the old files or when special utility programs are used to clear the files.

27. სტაციონარული დამამახსოვრებელი საშუალებების მეხსიერებაში არსებული კონფიდენციალური თუ მგრძობიარე ინფორმაციით სარგებლობაზე დამატებითი კონტროლის მეთოდი ინფორმაციის გადაწერა დისკეტაზე ან კასეტაზე და ფაილების წაშლა სტაციონარულ დამამახსოვრებელ საშუალებებში. დისკეტებისა და კასეტების კონტროლისთვის შეიძლება იგივე მეთოდის გამოყენება, რაც გამოიყენება დისკეტებსა და კასეტებზე დამახსოვრებული კონფიდენციალური თუ მგრძობიარე მონაცემების კონტროლისთვის. მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რომ პროგრამული უზრუნველყოფის ბევრ პროგრამას გააჩნია წაშლის ფუნქცია; მაგრამ ამ ფუნქციამ სინამდვილეში შესაძლოა სუფთად არ წაშალოს ან არ გაანადგუროს ფაილები ხისტ დისკებში. ამ ფუნქციებით შესაძლოა სუფთად წაიშალოს მარტო ფაილის სახელწოდება ხისტი დისკების კატალოგში. პროგრამები და მონაცემები სუფთად მხოლოდ მაშინ წაიშლება ხისტი დისკებში, როდესაც ძველ ფაილებზე ახალი მონაცემები ჩაიწერება ან თუ ფაილების გასაწმენდად გამოიყენებენ სპეციალურ პროგრამებს.

Software and Data Integrity

პროგრამული უზრუნველყოფისა და მონაცემთა მთლიანობა

28. Microcomputers are oriented to end-users for development of application programs, entry and process-

28. მიკროკომპიუტერები ორიენტირებულია საბოლოო მომხმარებელზე გამოყენებითი პროგრამების შე-

ing of data and generation of reports. The degree of accuracy and dependability of financial information produced will depend on the internal controls prescribed by management and adopted by users, as well as on controls included in the application programs. Software and data integrity controls may ensure that processed information is free of errors and that software is not susceptible to unauthorized manipulation (i.e., that authorized data are processed in the prescribed manner).

29. Data integrity can be strengthened by incorporating internal control procedures such as format and range checks and cross checks of results. A review of purchased software may determine whether it contains appropriate error checking and error trapping facilities. For user developed software, including electronic spreadsheet templates and database applications, management may specify in writing the procedures for developing and testing application programs. For certain critical applications, the person who processes the data may be expected to demonstrate that appropriate data were used and that calculations and

მუშაებისათვის, მონაცემთა შეგანისა და დამუშავების, აგრეთვე ანგარიშების შედგენისთვის. დამუშავებული ფინანსური ინფორმაციის სიზუსტისა და საიმედოობის ხარისხი დამოკიდებული იქნება ხელმძღვანელობის მიერ დაწესებულ და მომხმარებლის მიერ დაკულ შიდა კონტროლის მეთოდებზე ისევე, როგორც გამოყენებით პროგრამებში ჩადებულ კონტროლის მეთოდებზე. პროგრამული უზრუნველყოფისა და მონაცემთა მთლიანობის კონტროლმა შესაძლოა უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ დამუშავებულ ინფორმაციაში არ იქნება დაშვებული შეცდომები და პროგრამული უზრუნველყოფა არ დაექვემდებარება უნებართვო მანიპულაციებს (ე.ი. ნებადართული მონაცემების დამუშავება ხდება დადგენილი წესით).

29. მონაცემთა მთლიანობის გაძლიერება შესაძლებელია შიდა კონტროლის ისეთი პროცედურების ჩართვით, როგორცაა გამოკვეთილი საბოლოო ფორმაცისა და ნომენკლატურის კონტროლი, აგრეთვე შედეგების ჯეარედინი შემოწმება. ნაყიდი პროგრამული უზრუნველყოფის განხილვით შესაძლოა დადგინდეს, შეიცავს თუ არა იგი შეცდომების სათანადო კონტროლისა და მათი თავიდან აცილების შესაძლებლობებს. პროგრამული უზრუნველყოფის, მათ შორის ელექტრონული გამოთვლითი ცხრილებისა და მონაცემთა ბაზის გამოყენებითი პროგრამებისთვის, ხელმძღვანელობამ მომხ-

other data handling operations were performed properly. The end-user could use this information to validate the results of the application.

მარბელისთვის შეიძლება წერილობით განსაზღვროს პროცედურები გამოყენებითი პროგრამების დამუშავებისა და გესტირებისთვის. კონკრეტული მნიშვნელოვანი გამოყენებითი პროგრამებისთვის იმ პიროვნებას, რომელიც ამუშავებს მონაცემებს, შესაძლოა დასჭირდეს იმის დემონსტრირება რომ იყენებდა შესაფერის მონაცემებს, აგრეთვე გაანგარიშებები და სხვა ოპერაციები შესრულებული იყო სათანადო დონეზე. საბოლოო მომხმარებელს ამ ინფორმაციის გამოყენება შეუძლია პროგრამული დამუშავებით მიღებული შედეგების დასადასტურებლად.

30. Adequate written documentation of applications that are processed on the microcomputer can strengthen software and data integrity controls further. Such documentation may include step-by-step instructions, a description of reports prepared, source of data processed, a description of individual reports, files and other specifications, such as calculations.

30. მიკროკომპიუტერზე დამუშავებული გამოყენებითი პროგრამებისთვის ადეკვატური წერილობითი დოკუმენტაციის დადგენას შეუძლია პროგრამული უზრუნველყოფისა და მონაცემთა მთლიანობის კონტროლის შემდგომი გაძლიერება. ასეთი დოკუმენტაცია შესაძლოა მოიცავდეს დეტალურ ინსტრუქციებს, მოსამზადებელი ანგარიშის ფორმის აღწერას, დასამუშავებელი წყაროების მითითებას, ცალკეული ანგარიშის აღწერას, ფაილებისა და სხვა სახის ინსტრუქციების, მაგალითად, გაანგარიშებების აღწერას.

31. If the same accounting application is used at various locations, application software integrity and consistency may be improved when application programs are developed and maintained at one place rather than by each user dispersed throughout an entity.

31. თუ ერთი და იმავე გამოყენებით პროგრამას სხვადასხვა ადგილას იყენებენ, პროგრამული უზრუნველყოფის მთლიანობა და სტაბილურობა შესაძლოა უფრო გაუმჯობესდეს, თუ გამოყენებითი პროგრამების დამუშავება და ექსპლუატაცია ერთი და იმავე ადგილას

მოდება, ვიდრე მაშინ, როცა ამას
განახორციელებს სამეურნეო სუბ-
იექტის სხვადასხვა მომხმარებელი
სხვადასხვა ადგილას.

Hardware, Software and Data Back-Up

ტექნიკური და პროგრამული უმრუნველყოფა, მონაცემების დუბლირება

32. Back-up refers to plans made by the entity to obtain access to comparable hardware, software and data in the event of their failure, loss or destruction. In a microcomputer environment, users are normally responsible for processing, including identifying important programs and data files to be copied periodically and stored at a location away from the microcomputers. It is particularly important to establish back-up procedures for users to perform on a regular basis. Purchased software packages from third-party vendors generally come with a back-up copy or with a provision to make a back-up copy.

32. დუბლირება ეხება სამეურნეო სუბ-იექტის გეგმებს იმის შესახებ, რომ ხელმისაწვდომი იყოს შესაღარი-სი ტექნიკური და პროგრამული უმრუნველყოფა და მონაცემები წარუმატებლობის ან მათი დაკარგვისა და განადგურების შემთხვევაში. მიკროკომპიუტერულ გარემოში ჩვეულებრივ მომხმარებელს ეკისრება პასუხისმგებლობა იმაზე, რომ პერიოდულად გააზრავლოს და მიკროკომპიუტერისგან მოშორებულ ადგილას შეინახოს მნიშვნელოვანი პროგრამები და მონაცემთა ფაილები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მომხმარებლისთვის დუბლირების პროცედურების განსაზღვრას, რაც რეგულარულად უნდა სრულდებოდეს. მესამე მხარისგან ნაყიდ პროგრამული უმრუნველყოფის პაკეტს ჩვეულებრივ თან მოჰყვება დუბლიკატი ან იმის გარანტია, რომ დუბლიკატს მიაწოდებენ.

The Effect of Microcomputers on the Accounting System and Related Internal Controls

მიკროკომპიუტერების გავლენა ბუღალტრული აღრიცხვის სისტემასა და მასთან დაკავ- შირებულ შიდა კონტროლზე

33. The effect of microcomputers on the accounting system and the associated risks will generally depend on:

33. მიკროკომპიუტერების გავლენა ბუღალტრული აღრიცხვის სისტემასა და მასთან დაკავშირებულ რისკებზე სამოგალოდ დამოკიდებულია

- the extent to which the microcomputer is being used to process accounting applications;
 - the type and significance of financial transactions being processed; and
 - the nature of files and programs utilized in the applications.
34. The characteristics of microcomputer systems, described earlier in this Statement, illustrate some of the considerations in designing cost-effective control procedures for stand-alone microcomputers. A summary of some of the key considerations and their effects on general CIS and CIS application controls is described below.

- მიკროკომპიუტერების გამოყენების ხარისხზე ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამებში;
 - დასამუშავებელი ფინანსური ოპერაციების ტიპსა და მნიშვნელობაზე და
 - გამოყენებითი პროგრამებისა და ფაილების ხასიათზე.
34. ამ დებულებაში აღწერილი მიკროკომპიუტერული სისტემების მახასიათებლებიდან გამომდინარეობს ზოგიერთი მოსაზრება, რომელიც ეხება დანახარჯების თვალსაზრისით ეფექტური კონტროლის პროცედურებს განცალკევებული მიკროკომპიუტერებისათვის. ძირითადი მოსაზრებები და მათი გავლენა კსს საერთო და გამოყენებით კონტროლზე შეჯამებული სახით განხილულია ქვემოთ.

General CIS Controls—Segregation of Duties

*კსს საერთო კონტროლი –
მოვალეობების დანაწილება*

35. In a microcomputer environment, it is common for users to be able to perform two or more of the following functions in the accounting system:
- initiating and authorizing source documents;
 - entering data into the system;
 - operating the computer;
 - changing programs and data files;

35. მიკროკომპიუტერულ გარემოში ჩვეულებრივ მომხმარებელს შეუძლია ქვემოთ ჩამოთვლილი ორი ან მეტი ფუნქციის შესრულება ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში:
- პირველადი დოკუმენტების მიღება და სანქციონირება;
 - მონაცემების შეტანა სისტემაში;
 - კომპიუტერის მართვა;
 - პროგრამებისა და მონაცემთა ფაილების შეცვლა;

- using or distributing output; and
- modifying the operating systems.

In other CIS environments, such functions would normally be segregated through appropriate general CIS controls. This lack of segregation of functions in a microcomputer environment may:

- allow errors to go undetected; and
- permit the perpetration and concealment of fraud.

CIS Application Controls

36. The existence and use of appropriate access controls over software, hardware and data files, combined with controls over input, processing and output of data may, in coordination with management policies, compensate for some of the weaknesses in general CIS controls in microcomputer environments. Effective controls may include:

- a system of transaction logs and batch balancing;
- direct supervision; and
- reconciliation of record counts or

- შედეგების გამოყენება ან განაწილება და
- საოპერაციო სისტემების მოდიფიცირება.

სხვა გიპის კსს გარემოში ამგვარი ფუნქციები ჩვეულებრივ განაწილებულია კსს შესაბამისი საერთო კონტროლის მეშვეობით. მიკროკომპიუტერულ გარემოში ფუნქციების დანაწილების არარსებობის გამო შესაძლოა:

- აღმოუჩენელი დარჩეს შეცდომები და
- ხელი შეეწყოს თაღლითობის ჩადენასა და დაფარვას.

კსს გამოყენებითი კონტროლი

36. შემაჯავლი მონაცემების, მათი დამუშავებისა და საბოლოო შედეგების კონტროლთან ერთად პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფის, ასევე მონაცემთა ფაილებით სარგებლობაზე სათანადო კონტროლის დაწესებამ და განხორციელებამ, რაც კოორდინირებული იქნება ხელმძღვანელობის პოლიტიკასთან, შესაძლოა გარკვეულად მოახდინოს კსს საერთო კონტროლის ნაკლოვანებების კომპენსაცია მიკროკომპიუტერულ გარემოში. ეფექტური კონტროლი შესაძლოა მოიცავდეს

- ოპერაციების ჩაწერასა და დამაბალანსებელ სისტემას;
- უშუალო ზედამხედველობის განხორციელებას და
- მონაცემთა გაანგარიშებისა

hash totals.

თუ შუალდური (საკონტრო-
ლო) ჯამების შეჯერებას.

Control may be established by an independent function which would normally:

კონტროლი შესაძლოა დაწესდეს
დამოუკიდებელი ფუნქციის სახ-
ითაც, რომელიც ჩვეულებრივ უნდა

- receive all data for processing;
- ensure that all data are authorized and recorded;
- follow up all errors detected during processing;
- verify the proper distribution of output; and
- restrict physical access to application programs and data files.

- უზრუნველყოფდეს ყველა დასა-
მუშავებელი მონაცემის მიღებას;
- უზრუნველყოფდეს იმის გარან-
ტიას, რომ ყველა მონაცემი ავგო-
რინებულია და აღრიცხულია;
- თვალყურს ადევნებს და-
მუშავების პროცესში დაშვე-
ბულ ყველა შეცდომას;
- ამოწმებდეს საბოლოო შედე-
გების სათანადო განაწილებ-
ის პროცესს და
- ზღუდავდეს გამოყენებითი პრო-
გრამებისა და მონაცემთა ფაი-
ლების ფიზიკურ ხელმისაწვდო-
მობას.

The Effect of a Microcomputer Environment on Audit Procedures

მიკროკომპიუტერული
გარემოს გავლენა აუდი-
ტორულ პროცედურებზე

37. In a microcomputer environment, it may not be practicable or cost-effective for management to implement sufficient controls to reduce the risks of undetected errors to a minimum level. Thus, the auditor may often assume that control risk is high in such systems.

37. მიკროკომპიუტერის გარემოში ხელმძღვანელობისათვის შეი-
ძლება არაპრაქტიკული ან დან-
ახარჯების თვალსაზრისით არაეფექტური იყოს სათანადო კონტროლის განხორციელება აღმოუჩენილი შეცდომების რისკების მინიმალურ დონემდე შემცირების მიზნით, ამდენად, აუდიტორმა შესაძლოა ხშირად დაუშვას, რომ ასეთ სისტემაში მაღალია კონტროლის რისკი.

38. In this situation, the auditor may

38. ასეთ შემთხვევაში აუდიტორმა

find it more cost-effective, after obtaining an understanding of the control environment and flow of transactions, not to make a review of general CIS controls or CIS application controls, but to concentrate the audit efforts on substantive tests at or near the end of the year. This may entail more physical examination and confirmation of assets, more tests of details, larger sample sizes and greater use of computer-assisted audit techniques, where appropriate.

შესაძლოა დანახარჯების თვალსაზრისით უფრო ეფექტურად მიიჩნიოს, რომ კონტროლის გარემოსა და ოპერაციების მოძრაობის გაცნობის შემდეგ არ განიხილოს კის საერთო ან გამოყენებითი კონტროლი, მაგრამ აუდიტორული შემოწმების კონცენტრაცია მოახდინოს ძირითადი გესტების ჩატარებაზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან მის მახლობელ პერიოდში. ამან შესაძლოა გამოიწვიოს აქტივების უფრო მეტად ფიზიკური შემოწმება და დადასტურება, ფინანსური ანგარიშგების ქვეშეხლების გესტირება, უფრო დიდი მოცულობის შერჩევითი ერთობლიობის გამოყენება და კომპიუტერული აუდიტის მეთოდის ფართოდ გამოყენება საჭიროების შემთხვევაში.

39. Computer-assisted audit techniques may include the use of client software (database, electronic spreadsheet or utility software), which has been subjected to review by the auditor, or the use of the auditor's own software programs. Such software may be used by the auditor, for example, to add transactions or balances in the data files for comparison with control records or ledger account balances, to select accounts or transactions for detail testing or confirmation or to examine databases for unusual items.

39. აუდიტის ჩატარების მეთოდიკა კომპიუტერის მეშვეობით შესაძლოა მოიცავდეს დამკვეთის პროგრამული უზრუნველყოფის (მონაცემთა ბაზის, ელექტრონული გამოთვლითი ცხრილების ან მომსახურე პროგრამული უზრუნველყოფის) გამოყენებას, რაც აუდიტორმა უნდა განიხილოს და გაანალიზოს, ან თვითონ აუდიტორის საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფის პროგრამების გამოყენებას. აუდიტორს შეუძლია ასეთი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, მაგალითად, ოპერაციების ან ნაშთების დასამატებლად მონაცემთა ფაილებში საკონტროლო მონაცემებთან ან მთავარი დავთრის ანგარიშების ნაშთებთან შედარების მიზნით, ანგარიშების ან ოპერ-

აციების შესარჩევად ღეტალური გესტირებისთვის ან დასადასტურებლად, ან მონაცემთა ბაზების არა-ორდინალური მუხლების შესამოწმებლად.

40. In certain circumstances, however, the auditor may decide to take a different approach. These circumstances may include microcomputer systems that process a large number of transactions when it would be cost-effective to perform audit work on the data at a preliminary date. For example, an entity processing a large number of sales transactions on a stand-alone microcomputer may establish control procedures which reduce control risk; the auditor may decide, on the basis of a preliminary review of controls, to develop an audit approach which includes testing of those controls on which he intends to rely.

40. მიუხედავად ამისა, კონკრეტულ შემთხვევებში აუდიტორმა შესაძლოა გადაწყვიტოს სხედასხვა მიდგომის გამოყენება. ეს შემთხვევები შეიძლება მოიცავდეს ისეთ მიკროკომპიუტერულ სისტემებს, სადაც ღიდი რაოდენობის ოპერაციების დამუშავება ხდება და დანახარჯების თვალსაზრისით უფრო ეფექტური შეიძლება იყოს მონაცემებზე აუდიტორული პროცედურების ჩატარება მოსამზადებელ პერიოდში; მაგალითად, სამეურნეო სუბიექტს, რომელიც ღიდი რაოდენობის რეალიზაციის ოპერაციებს ამუშავებს განსაკუთრებულ მიკროკომპიუტერებზე, შეუძლია კონტროლის პროცედურების დაწესება, რაც ამცირებს კონტროლის რისკს. აუდიტორმა კონტროლის წინასწარი ანალიზის საფუძველზე შესაძლოა გადაწყვიტოს ისეთი აუდიტორული მიდგომის გატარება, რომელიც მოიცავს კონტროლის იმ მეთოდების ტესტირებას, რომელზედაც აპირებს დაყრდნობას.

41. The following are examples of control procedures that an auditor may consider when he intends to rely on internal accounting controls related to stand-alone microcomputers:

41. ქვემოთ განხილული იქნება აუდიტორის მიერ შესასრულებელი კონტროლის ისეთი პროცედურები, რომელიც მან შესაძლოა გაითვალისწინოს, თუ დააპირებს ბუღალტრული აღრიცხვის შიდა კონტროლზე დაყრდნობას განსაკუთრებულ მიკროკომპიუტერულ გარემოში:

(a) Segregation of duties and balancing controls:

- Segregation of functions as listed in paragraph 36.
- Rotation of duties among employees.
- Reconciliation of system balances to general ledger control accounts.
- Periodic review by management of the processing schedule and reports which identify individuals that used the system.

(b) Access to the microcomputer and its files:

- Placement of the microcomputer within sight of the individual responsible for controlling access to it.
- The use of key locks on the computer and terminals.
- The use of passwords for access to the microcomputer's programs and data files.
- Restriction on the use of utility programs.

(c) Use of third-party software:

(ა) მოვალეობების დანაწილება და შემჯავამებელი კონტროლი:

- ფუნქციების დანაწილება, როგორც ნაჩვენებია 36-ე პუნქტში;
- მოვალეობების შენაცულება მომუშავეთა შორის;
- სისტემის ნაშთების შეჯერება მთავარი დაეთრის საკონტროლო ანგარიშებთან;
- ხელმძღვანელობის მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და ანგარიშების შედგენის განრიგის პერიოდული გადასინჯვა, საიდანაც ჩანს ის პიროვნებები, რომლებიც იყენებენ სისტემას.

(ბ) მიკროკომპიუტერისა და მისი ფაილების ხელმისაწვდომობა

- მიკროკომპიუტერის მოთაქება იმ პირთა თვალთახედვის არეში, რომელთაც აკისრიათ კომპიუტერისა და მისი ფაილებით სარგებლობაზე კონტროლის პასუხისმგებლობა;
- კომპიუტერისა და გერმინალებისათვის ჩასაკეტი სისტემის გამოყენება;
- მიკროკომპიუტერის პროგრამებისა და მონაცემთა ფაილებისთვის პაროლების გამოყენება;
- შემღუღვა მომსახურე პროგრამების გამოყენებაზე.

(გ) მესამე მხარის პროგრამული

უმრუნველყოფის გამოყენება

- Review of application software prior to purchasing, including functions, capacity and controls.
 - Adequate testing of the software and the modifications to it prior to use.
 - Ongoing assessment of the adequacy of the software to meet user requirements.
- გამოყენებითი პროგრამების უმრუნველყოფის გადასინჯვა მის შესყიდვამდე, მათ შორის მისი ფუნქციების, სიმძლავრისა და კონტროლის მეთოდების გაცნობა;
 - გამოყენებამდე პროგრამული უმრუნველყოფისა და მისი მოდიფიკაციის ადეკვატური ტესტირების ჩატარება;
 - პროგრამული უმრუნველყოფის ადეკვატურობის შეფასება მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების კუთხით.

CONTENTS

შინაარსი

	Paragraphs		პუნქტები
Introduction	1	შესავალი	1
On-Line Computer Systems	2-6	ოპერატიულ რეჟიმში მომუშავე კომპიუტერული სისტემები ...	2-6
Types of On-Line Computer Systems	7-12	ოპერატიულ რეჟიმში მომუშავე კომპიუტერული სისტემების ტიპები	7-12
Characteristics of On-Line Computer Systems	13-17	ოპერატიულ რეჟიმში მომუშავე კომპიუტერული სისტემების მახასიათებლები	13-17
Internal Control in an On-Line Computer System	18-19	შიდა კონტროლი ოპერატიულ რეჟიმში მომუშავე კომპიუტერულ სისტემებში	18-19
Effect of On-Line Computer Systems on the Accounting System and Related Internal Controls	20-23	კომპიუტერული სისტემების გავლენა ბუღალტრული აღრი ცხვის სისტემასა და მასთან დაკავშირებულ შიდა კონტროლზე	20-23
Effect of On-Line Computer Systems on Audit Procedures	24-28	ოპერატიულ რეჟიმში მომუშავე კომპიუტერული სისტემების გავლენა აუდიტორულ პროცედურებზე	24-28

This International Auditing Practice Statement was approved by the International Auditing Practices Committee in June 1987 for publication in October 1987.

წინამდებარე აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის დებულება დამტკიცებულია აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის კომიტეტის მიერ 1987 წლის ივნისში 1987 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებლად.

The auditor should understand and consider the characteristics of the CIS environment because they affect the design of the accounting system and related internal controls, the selection of internal controls upon which he intends to rely, and the nature, timing and extent of his procedures.

This Statement is issued as a supplement to ISA 400 "Risk Assessments and Internal Control." It does not form a part of the ISA or International Auditing Practice Statement 1008 "Risk Assessments and Internal Control—CIS Characteristics and Considerations," and is not intended to have the authority of an ISA.

This Statement forms part of a series intended to help the auditor implement the ISA and the Statement referred to above by describing various CIS environments and their effect on the accounting system and related internal controls and on audit procedures.

აუდიტორი უნდა იცნობდეს და ითვალისწინებდეს კის გარემოს მახასიათებლებს, რადგან ისინი ვაულებას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვისა და შესაბამისი შიდა კონტროლის მეთოდებზე, შიდა კონტროლის მეთოდების შერჩევაზე, რომლებსაც უნდა დაეყრდნოს იგი, აგრეთვე აუდიტორული პროცედურების ხასიათზე, ვადებზე და მოცულებაზე.

აღნიშნული დებულება გამოცემულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტ 400-ის – 'რისკის შეფასება და შიდა კონტროლი' შეესებებს მიზნით. იგი არ წარმოადგენს აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის დებულება 1008-ის – 'რისკის შეფასება და შიდა კონტროლი – კომპიუტერული საინფორმაციო სისტემების მახასიათებლები და მათი განხილვა' შემადგენელ ნაწილს და არ არის გამიზნული იმისათვის, რომ სარგებლობდეს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის უფლებამოსილებით.

ეს დებულება ერთ-ერთი იმ დებულებათაგანია, რომელიც გამოწვეულია იმისათვის, რომ დაეხმაროს აუდიტორს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და დებულებების განხორციელებაში სხვადასხვა სახის კომპიუტერული საინფორმაციო სისტემების გარემოს აღწერის გზით, აგრეთვე აღნიშნული სისტემების შემოქმედების აღწერით ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაზე, მასთან დაკავშირებულ შიდა კონტროლსა და აუდიტორულ პროცედურებზე.

Introduction

1. The purpose of this Statement is to help the auditor implement ISA 400 “Risk Assessments and Internal Control,” and International Auditing Practice Statement 1008 “Risk Assessments and Internal Control— CIS Characteristics and Considerations,” by describing on-line computer systems. The Statement describes the effects of an on-line computer system on the accounting system and related internal controls and on audit procedures.

On-Line Computer Systems

2. Computer systems that enable users to access data and programs directly through terminal devices are referred to as on-line computer systems. Such systems may be based on mainframe computers, minicomputers or microcomputers structured in a network environment.
3. On-line systems allow users to initiate various functions directly. Such functions include:

შესავალი

1. წინამდებარე დებულების მიზანია დაეხმაროს აუდიტორს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტ 400-ის—“რისკის შეფასება და შიდა კონტროლი” და აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის დებულება 1008-ის—“რისკის შეფასება და შიდა კონტროლი— კომპიუტერული საინფორმაციო სისტემების მახასიათებლები და მათი გათვალისწინება” განხორციელებაში ოპერატიულ რეჟიმში მოქმედავ კომპიუტერული სისტემების აღწერით. დებულებაში აღწერილია ოპერატიულ რეჟიმში მოქმედავ კომპიუტერული სისტემის გავლენა ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაზე, მასთან დაკავშირებულ შიდა კონტროლსა და აუდიტორულ პროცედურებზე.

ოპერატიულ რეჟიმში მოქმედავ კომპიუტერული სისტემები

2. კომპიუტერული სისტემები, რომლებიც მომხმარებელს მონაცემებისა და პროგრამებისადმი მიმართვის საშუალებას აძლევს გერმინალური მოწყობილობებიდან, ცნობილია ოპერატიულ რეჟიმში მოქმედავ კომპიუტერული სისტემების სახელწოდებით. ასეთი სისტემები შეიძლება ეფუძნებოდეს ერთ ქსელურ გარემოში მოქმედავ საბაზო (უნივერსალურ), მინი და მიკრო კომპიუტერებს.
3. ოპერატიულ რეჟიმში მოქმედავ კომპიუტერული სისტემები მომხმარებელს ერთდროულად სხვადასხვა ფუნქციების განხორ-

ციელების საშუალებას აძლევს.
ეს ფუნქციებია:

- entering transactions (e.g., sales transactions in a retail store, cash withdrawals in a bank and shipment of goods in a plant);
 - making inquiries (e.g., current customer account or balance information);
 - requesting reports (e.g., a list of inventory items with negative “on hand” quantities); and
 - updating master files (e.g., setting up new customer accounts and changing general ledger codes).
- ოპერაციების ჩაწერა(შეტანა) სისტემაში (მაგალითად: რეალიზაციის ოპერაციები საცალო ეპრობის საწყობში, ფულადი სახსრების მოხსნა ბანკიდან და საქონლის გაგზავნა საწარმოში);
 - გამოკითხვების ჩატარება (მაგალითად, მომხმარებელთა მიმდინარე ანგარიშის ან ნაშთების შესახებ);
 - ანგარიშების მოთხოვნა (მაგალითად, სასაქონლო მაგერიალური მარაგის სიის მოთხოვნა უარყოფით “სახეზე არსებულ” რაოდენობასთან ერთად) და
 - მთავარი ფაილების განახლება (მაგალითად: ახალი მომხმარებლების ანგარიშების შეტანა და მთავარი დაფთრის კოდების შეცვლა).

4. Many different types of terminal devices may be used in on-line computer systems. The functions performed by these terminal devices vary widely depending on their logic, transmission, storage and basic computer capabilities. Types of terminal devices include:

4. ოპერატიულ რეჟიმში მომუშავე კომპიუტერულ სისტემებში შეიძლება გამოყენებული იყოს სხვადასხვა ტიპის ტერმინალური მოწყობილობები. ასეთი ტერმინალებით შესრულებული ფუნქციები დიდად არის დამოკიდებული მათ ლოგიკაზე, გადაცემაზე, შენახვასა და საბაზო კომპიუტერულ სიმძლავრეზე. ტერმინალური მოწყობილობის ტიპებია:

(a) General Purpose Terminals, such as:

(ა) საერთო მიზნების ტერმინალი, როგორცაა:

- Basic keyboard and screen—used for entering data without any
- საბაზო კლავიატურა და ეკრანი, რომელზეც გამოიყენება მო-

validation within the terminal and for displaying data from the computer system on the screen. For example, in entering a sales order, the product code is validated by the main computer and the result of the validation is displayed on the terminal screen.

- **Intelligent terminal**—used for the functions of the basic keyboard and screen with the additional functions of validating data within the terminal, maintaining transaction logs and performing other local processing. In the above sales order example, the correct number of characters in the product code is verified by the intelligent terminal and existence of the product code master file is verified by the main computer.
- **Microcomputers**—used for all of the functions of an intelligent terminal with additional local processing and storage capabilities. Continuing the above example, all verification of the product code may be performed on the microcomputer.

ნაცემების შესატანად ტერმინალში მათი ყოველგვარი უფლებამოსილების შემოწმების გარეშე და კომპიუტერული სისტემებიდან ეკრანზე მონაცემების ვიზუალურად გამოსახვისთვის, მაგალითად, სისტემაში გაყიდვის შეკვეთის შეტანის დროს პროდუქციის კოდის უფლებამოსილების შემოწმება ხდება მთავარი კომპიუტერის მიერ და შემოწმების შედეგი ნაჩვენები იქნება ეკრანზე;

- “**გონიერი**” ტერმინალი, რომელიც მონაცემთა უფლებამოსილების შემოწმების სხვა დამატებით ფუნქციებთან ერთად გამოიყენება საბაზო კლავიატურისა და ეკრანის ფუნქციების შესასრულებლად, როგორცაა: მონაცემთა დამტკიცება ტერმინალში, ოპერაციების სიის შენახვა, აგრეთვე სხვა ლოკალური ფუნქციების შესრულება. გაყიდვის შეკვეთის მაგალითზე პროდუქციის კოდში სიმბოლოთა სწორ რაოდენობას ადასტურებს გონიერი ტერმინალი, ხოლო პროდუქციის კოდის არსებობას მთავარ ფაილში ადასტურებს საბაზო კომპიუტერი;
- მიკროკომპიუტერები — გამოიყენება “გონიერი” ტერმინალის ყველა ფუნქციის შესასრულებლად და დამატებითი ლოკალური დამუშავებისა და ინფორმაციის შესანახად. მემოთ განხილული მაგალითის გაგრძელებაა ის, რომ პროდუქციის ყველა კოდის შემოწმე-

ბა და დადასტურება შესაძლებელია შესრულდეს მიკროკომპიუტერზე.

(b) Special Purpose Terminals, such as:

- Point of sale devices—used to record sales transactions as they occur and to transmit them to the main computer. On-line cash registers and optical scanners used in the retail trade are typical point of sale devices.
- Automated teller machines—used to initiate, validate, record, transmit and complete various banking transactions. Depending on the design of the system, certain of these functions are performed by the automated teller machine and others are performed on-line by the main computer.

(ბ) სპეციალური დანიშნულების ტერმინალები, როგორცაა:

- სალაროს მოწყობილობა – რეალიზაციის ოპერაციების ბუღალტრული გაგარებების ჩასაწერად და ამ მონაცემების საბაზო კომპიუტერში გადასაცემად. ოპერატიული ნაღდი ფულის რეგისტრატორები და ოპტიკური სკანერები, რომლებიც გამოიყენება საცალო ვაჭრობაში სალაროს ტერმინალი მოწყობილობების მაგალითია;
- სალაროს ავტომატური მანქანები – გამოიყენება სხვადასხვა საბანკო ოპერაციების განსახორციელებლად, უფლებამოსილების შესამოწმებლად, ჩასაწერად, აღრიცხვაში ასახვად, გასაგებუნად და ბანკის ოპერაციების დასასრულებლად. იმისდა მიხედვით, როგორი კონსტრუქცია აქვს სისტემას, ამ ფუნქციებს სალაროს ავტომატური მანქანები ან თვითონ ახორციელებენ, ან საბაზო კომპიუტერის საშუალებით.

5. Terminal devices may be located either locally or at remote sites. Local terminal devices are connected directly to the computer through cables, whereas remote terminal devices require the use of telecommunications to link them to the computer. Terminal devices may be used by many users, for different pur-

5. ტერმინალური მოწყობილობა შეიძლება განლაგებული იყოს ადგილზე ან მოშორებულად. ლოკალური ტერმინალები კომპიუტერთან დაკავშირებულია კაბელებით, ხოლო მოშორებულად განთავსებულ ტერმინალურ მოწყობილობას კომპიუტერთან დასაკავშირებლად სჭირდება

poses, in different locations, all at the same. time. Users may be within the entity or outside, such as customers or suppliers. In such cases, application software and data are kept on-line to meet the needs of the users. These systems also require other software, such as access control software and software which monitors on-line terminal devices.

ტელეკომუნიკაციის გამოყენება. გერმინალი შეიძლება გამოიყენოს მრავალმა მომხმარებელმა სხვადასხვა ადგილზე სხვადასხვა მიზნებისთვის, ყველა ერთად ერთსა და იმავე დროს. მომხმარებელი შეიძლება იყოს სამეურნეო სუბიექტში ან მის გარეთ, მაგალითად, შემკვეთები და მომწოდებლები. ასეთ შემთხვევებში გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა და მონაცემები ქსელში ინახება მომხმარებლის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ასეთი სისტემები საჭიროებს სხვა სახის პროგრამულ უზრუნველყოფასაც, მაგალითად, სისტემისადმი მიმართვის (დაშვების) კონტროლის პროგრამულ უზრუნველყოფას და ისეთ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ახორციელებს ქსელის გერმინალური მოწყობილობის მონიტგორინგს.

6. In addition to the users of these systems, programmers may use the on-line capabilities through terminal devices to develop new programs and maintain existing programs. Computer supplier personnel may also have on-line access to provide maintenance and support services.

6. გარდა ამისა, ამ სისტემის მომხმარებლებს და პროგრამისტებს გერმინალური მოწყობილობების დახმარებით ოპერატიული ქსელის შესაძლებლობების გამოყენება შეუძლიათ ახალი პროგრამების დასამუშავებლად და არსებული პროგრამების მოდიფიკაციისათვის. ქსელის მიმართვის უფლება ასევე შეიძლება ჰქონდეს კომპიუტერის მომწოდებელ პერსონალს ქსელის ტექნიკური მომსახურების უზრუნველსაყოფად.

Types of On-Line Computer Systems

ოპერატიულ რეჟიმში მომუშავე კომპიუტერული სისტემების ტიპები

7. On-line computer systems may be classified according to how informa-

7. ოპერატიულ რეჟიმში მომუშავე კომპიუტერული სისტემების კლას-

tion is entered into the system, how it is processed and when the results are available to the user. For purposes of this Statement, on-line computer systems functions are classified as follows:

- On-Line/Real Time Processing
- On-Line/Batch Processing
- On-Line/Memo Update (and Subsequent Processing)
- On-Line/Inquiry
- On-Line Downloading/Uploading Processing

On-Line/Real Time Processing

8. In an on-line/real time processing system, individual transactions are entered at terminal devices, validated and used to update related computer files immediately. An example is cash receipts which are applied directly to customers' accounts. The results of such processing are then available immediately for inquiries or reports.

იფიცირება შესაძლებელია იმის მიხედვით, თუ როგორ ხდება ინფორმაციის შეგანა სისტემებში, როგორ ხდება მათი დამუშავება და როდის არის შედეგები ხელმისაწვდომი მომხმარებლისათვის. ამ დებულების მიზნებისათვის ქსელური კომპიუტერული სისტემების ფუნქციები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

- ოპერატიული/რეალურ დროში დამუშავება;
- ოპერატიული/პაკეტური დამუშავება;
- ოპერატიული/მემო განახლება (და შემდგომი დამუშავება);
- ოპერატიული/გამოკითხვა;
- ოპერატიული გარედან შიგნით /შიგნიდან გარეთ ჩატვირთვების დამუშავება.

ოპერატიული/რეალურ დროში დამუშავება

8. ოპერატიული/რეალურ დროში დამუშავების სისტემებში ცალკეული ოპერაციები შეიგანება გერმონალით, შემოწმდება უფლებამოსილება და მაშინვე გამოიყენება შესაბამისი კომპიუტერული ფაილების განახლებისთვის. მაგალითად, სალაროს შემოსავლის ორდერები პირდაპირ აისახება - დამკვეთის ანგარიშებში. ასეთი დამუშავების პროცესის შედეგები უფრო მეტად ხელმისაწვდომია იმისათვის, რომ მაშინვე ჩატვირდეს გამოკითხვები ან მომზადდეს ანგარიშები.

On-Line/Batch Processing

9. In a system with on-line input and batch processing, individual transactions are entered at a terminal device, subjected to certain validation checks and added to a transaction file that contains other transactions entered during the period. Later, during a subsequent processing cycle, the transaction file may be validated further and then used to update the relevant master file. For example, journal entries may be entered and validated on-line and kept on a transaction file, with the general ledger master file being updated on a monthly basis. Inquiries of, or reports generated from, the master file will not include transactions entered subsequent to the last master file update.

On-Line/Memo Update (and Subsequent Processing)

10. On-line input with memo update processing, also known as shadow update, combines on-line/real time processing and on-line/batch processing. Individual transactions immediately update a memo file containing information which has been extracted from the most recent version

ოპერატიული/პაკეტური დამუშავება

15. Generally, internal control in a database environment requires effective controls over the database, the DBMS and the applications. The effectiveness of internal controls depends to a great extent on the nature of the database administration tasks, described in paragraphs 11-14, and how they are performed.

15. როგორც წესი, მონაცემთა ბაზის გარემოში, შიდა კონტროლს მოეთხოვება ეფექტური კონტროლის განხორციელება მონაცემთა ბაზაზე, მზმს-სა და გამოყენებით პროგრამებზე. შიდა კონტროლის ეფექტურობა დიდად არის დამოკიდებული მონაცემთა ბაზის ადმინისტრაციული ამოცანების ხასიათზე, რომელიც განსაზღვრულია 11-14 პუნქტებში და იმაზე, როგორ სრულდება ისინი.

16. Due to data sharing, data independence and other characteristics of data-base systems, general computer information systems (CIS)² controls normally have a greater influence than CIS application controls on database systems. General CIS controls over the database, the DBMS and the activities of the database administration function have a pervasive effect on application processing. The general CIS controls of particular importance in a database environment can be classified into the following groups:

16. მონაცემთა განაწილების, მათი დამოუკიდებლობისა და მონაცემთა ბაზის სხვა მახასიათებლების წყალობით, ჩვეულებრივ კსს-ის საერთო კონტროლი უფრო დიდ გავლენას ახდენს მონაცემთა ბაზის სისტემებზე, ვიდრე კსს-ის გამოყენებითი კონტროლი. კსს-ის საერთო კონტროლი მონაცემთა ბაზაზე, მზმს-სა და მონაცემთა ბაზის ადმინისტრაციული მართვის ფუნქციის საქმიანობაზე ძლიერ გავლენას ახდენს პროგრამულ პროცესებზე. კსს-ის საერთო კონტროლის განსაკუთრებული მნიშ-

² This term is used throughout this Statement in place of electronic data processing (EDP) used in prior Statement “EDP Environments—Database Systems.”

2 ეს ცნება მოყმულ დებულებაში გამოიყენება მონაცემთა ელექტრონული დამუშავების ცნების ნაცვლად, რომელიც გამოიყენებოდა წინა დებულებაში „მონაცემთა ელექტრონული დამუშავების გარემო — მონაცემთა ბაზის სისტემები“.

ენელობა მონაცემთა ბაზის გარე-
მოში შეიძლება კლასიფიცირებუ-
ლი იყოს შემდეგი სახელწოდების
ჯგუფებში:

- standard approach for development and maintenance of application programs;
- data ownership;
- access to the database; and
- segregation of duties.
- სტანდარტული მიდგომა გამოყენებითი პროგრამების დამუშავებასა და მათ გექნიკურ მომსახურებაში;
- მონაცემებზე საკუთრების უფლება;
- მონაცემთა ბაზისადმი მიმართვა (მონაცემთა ბაზაში შესვლა);
- მოვალეობების დანაწილება.

Standard Approach for Development and Maintenance of Application Programs

გამოყენებითი პროგრამების დამუშავებისა და შენახვის სტანდარტული მიდგომა

17. Since data are shared by many users, control may be enhanced when a standard approach is used for developing each new application program and for application program modification. This includes following a formalized, step-by-step approach that requires adherence by all individuals developing or modifying an application program, it also includes performing an analysis of the effect of new and existing transactions on the database each time a modification is required. The resulting analysis would indicate the effects of the changes on the security and integrity of the database. Implementing a standard approach to develop and modify application programs is a technique that can help improve the accuracy, integrity and completeness of the database.

17. რადგან მონაცემები განაწილებულია მრავალ მომხმარებელზე, კონტროლის გაძლიერება შესაძლებელია მაშინაც, როდესაც ახალი გამოყენებითი პროგრამების დამუშავებისა და მოდიფიცირებისათვის გამოიყენება სტანდარტული მიდგომა. ეს ითვალისწინებს პროგრამისათვის გარკვეული ფორმის მიცემას ეტაპობრივად, რისთვისაც საჭიროა პროგრამისგის მიერ გარკვეული პრინციპების მკაცრად დაცვა გამოყენებითი პროგრამების დამუშავებისა თუ მოდიფიკაციის დროს. ეს აგრეთვე გულისხმობს მონაცემთა ბაზაზე ახალი და არსებული ოპერაციების გავლენის ანალიზის ჩატარებას იმ მომენტში, როდესაც საჭირო ხდება პროგრამის მოდიფიკაცია. საბოლოო

ანალიზმა უნდა გვიჩვენოს ამ ცვლილების გავლენა მონაცემთა ბაზის უსაფრთხოებასა და მთლიანობაზე. გამოყენებითი პროგრამების დამუშავებისა და მოდიფიცირებისათვის სტანდარტული მიდგომის გამოყენება გულისხმობს გარკვეული მეთოდის არსებობას, რომელიც ხელს უწყობს მონაცემთა ბაზის სიმუსის, მთლიანობისა და სისრულის გაუმჯობესებას.

Data Ownership

18. In a database environment, where many individuals may use programs to input and modify data, a clear and definite assignment of responsibility is required from the database administrator for the accuracy and integrity of each item of data. A single data owner should be assigned responsibility for defining access and security rules, such as who can use the data (access) and what functions they can perform (security). Assigning specific responsibility for data ownership helps to ensure the integrity of the database. For example, the credit manager may be the designated “owner” of a customer’s credit limit and would therefore be responsible for determining the authorized users of that information. If several individuals are able to make decisions affecting the accuracy and integrity of given data, the likelihood increases of the data becoming corrupted or improperly used.

მონაცემთა საკუთრების უფლება

18. მონაცემთა ბაზის გარემოში, სადაც ბევრ სხვადასხვა პიროვნებას შეუძლია გამოიყენოს პროგრამები ინფორმაციის შეგანისა და მონაცემთა შესაცვლელად, მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორს მოეთხოვება მოვალეობების ნათლად და მუსკად განსაზღვრა მონაცემების ყოველი პუნქტის მთლიანობისა და სიმუსის უზრუნველყოფის მიზნით. ცალკეული მონაცემების შესაკუთრეს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მონაცემებით სარგებლობისა და მათი უსაფრთხოების წესების დაცვაზე, მაგალითად, ვის შეუძლია მონაცემების გამოყენება (მონაცემთა ბაზაში შესვლა) და რა ფუნქციები უნდა შეასრულოს მან (უსაფრთხოება). კონკრეტული პასუხისმგებლობის დაკისრება მონაცემთა საკუთრების უფლებაზე ხელს შეუწყობს მონაცემთა ბაზის მთლიანობას, მაგალითად, კრედიტის მენეჯერს შეუძლია განსაზღვროს კლიენტის კრედიტის ლიმიტის “მე-საკუთრე” და ამიგომ პასუხისმგე-

ბელია ამ ინფორმაციის უფლება-
მოსილი მომხმარებლის დანიშ-
ნაზე. თუ რამდენიმე ცალკეულ
პიროვნებას შეეძლება არსებული
მონაცემების სიზუსტისა და
მთლიანობის შესახებ გადაწ-
ყეტილებების მიღება, მაშინ
გაიზრდება მონაცემების დამაზ-
ინჯებულად და არასწორად
გამოყენების ალბათობა.

Access to the Database

19. User access to the database can be restricted through the use of passwords. These restrictions apply to individuals, terminal devices and programs. For passwords to be effective, adequate procedures are required for changing passwords, maintaining secrecy of passwords and reviewing and investigating attempted security violations. Relating passwords to defined terminal devices, programs and data helps to ensure that only authorized users and programs can access, amend or delete data. For example, the credit manager may give salesmen authority to refer to a customer's credit limit, whereas a warehouse clerk may not have such authorization.

მონაცემთა ბაზისადმი მიმართვა (მონაცემთა ბაზაში შესვლა)

19. მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობის შემლუღვა შესაძლებელია პაროლების გამოყენებით. ეს შემლუღვები მიმართულია ცალკეულ პიროვნებებზე, ტერმინალურ აპარატურასა და პროგრამებზე. პაროლების გამოყენება მაშინ არის ეფექტური, თუ მოითხოვება ადეკვატური პროცედურები პაროლების შეცვლის, მათი გასაიდუმლებისა და პაროლების გადამოწმების, აგრეთვე მათი დარღვევის მცდელობის გამოსარკვევად. ტერმინალურ მოწყობილობასთან, პროგრამებთან და მონაცემებთან დაკავშირებული პაროლები უზრუნველყოფენ იმას, რომ მხოლოდ უფლებამოსილი მომხმარებლისა და პროგრამებისათვის იქნება ხელმისაწვდომი მონაცემების შეცვლა ან წაშლა, მაგალითად, კრედიტის მენეჯერს შეუძლია კომისიონერს მისცეს უფლებამოსილება განიხილოს მომხმარებლის კრედიტის ლიმიტი, მაშინ როდესაც საწყობის მოსამსახურეს ამის უფლებამოსილება არ გააჩნია.

20. User access to the various elements of the database may be further controlled through the use of authorization tables. Improper implementation of access procedures can result in unauthorized access to the data in the database.
20. მომხმარებლის მიერ მონაცემთა ბაზის სხვადასხვა ელემენტებით სარგებლობის უფლება შეიძლება გაკონტროლდეს სათანადო სააგროცო ცხრილების საშუალებით. მონაცემთა ბაზისადმი მიმართვის პროცედურების დარღვევა შეიძლება გამოწვეული იყოს მონაცემთა ბაზაში უნებართვო შესვლით.

Segregation of Duties

მოვალეობების დანაწილება

21. Responsibilities for performing the various activities required to design, implement and operate a database are divided among technical, design, administrative and user personnel. Their duties include system design, database design, administration and operation. Maintaining adequate segregation of these duties is necessary to ensure the completeness, integrity and accuracy of the database. For example, those persons responsible for modifying personnel database programs should not be the same persons who are authorized to change individual pay rates in the database.
21. სხვადასხვა სახის საქმიანობის შესრულების მოვალეობები, რომლებიც საჭიროა მონაცემთა ბაზის შექმნის, გამოყენებისა და მართვისათვის, დანაწილებულია ტექნიკურ, დამპროექტებელ, ადმინისტრაციულ და მომხმარებელ პერსონალს შორის. მათ მოვალეობებში შედის სისტემისა და მონაცემთა ბაზის დამპროექტება (შექმნა), მათი ადმინისტრაციული და ოპერატიული მართვა. მოვალეობების ადეკვატური დანაწილება აუცილებელია მონაცემთა ბაზის სისრულის, მთლიანობისა და სიმუსტის უზრუნველსაყოფად, მაგალითად, იმ პირებს, რომელთაც ევალებათ მონაცემთა ბაზის პროგრამების მოდიფიცირება, არ შეიძლება ევალებოდეთ მონაცემთა ბაზაში ხელფასის განაკვეთების შეცვლა.

The Effect of Databases on the Accounting System and Related Internal Controls

მონაცემთა ბაზის გავლენა ბუღალტრულ სისტემასა და მასთან დაკავშირებულ შიდა კონტროლზე

22. The effect of a database system on the accounting system and the associated risks will generally depend on:
22. მონაცემთა ბაზის გავლენა ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაზე და მასთან დაკავშირებული რისკი დამოკიდებულია

- the extent to which databases are being used by accounting applications;
- the type and significance of financial transactions being processed;
- the nature of the database, the DBMS (including the data dictionary), the database administration tasks and the applications (e.g., batch or on-line update); and
- the general CIS controls which are particularly important in a database environment.

- ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამების მიერ მონაცემთა ბაზის გამოყენების ხარისხზე;
- დასამუშავებელი ფინანსური ოპერაციების ტიპზე და მნიშვნელობაზე;
- მონაცემთა ბაზის ხასიათზე, მემსზე (მათ შორის მონაცემთა კატალოგზე), მონაცემთა ბაზის აღმინისტრაციული მართვის ამოცანებზე და პროგრამების ხასიათზე (პაკეტურია ის თუ ოპერატიულია განახლებადი);
- კეს საერთო კონტროლის მეთოდებზე, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ მონაცემთა ბაზის გარემოში.

23. Database systems typically provide the opportunity for greater reliability of data than non-database systems. This can result in reduced risk of fraud or error in the accounting system where databases are used. The following factors, combined with adequate controls, contribute to this improved reliability of data:

- Improved consistency of data is achieved because data are recorded and updated only once, rather than in non-database systems, where the same data are stored in several files and updated at different times and by different programs.

23. მონაცემთა ბაზის სისტემები, როგორც წესი, მონაცემთა საიმედოობის უფრო დიდ შესაძლებლობას უზრუნველყოფენ, ვიდრე ისეთი სისტემები, სადაც არ არსებობს მონაცემთა ბაზა. მონაცემთა ბაზის მქონე სისტემებს შეუძლიათ თაღლითობისა და შეცდომების რისკის შემცირება ბუღალტრული აღრიცხვის სისტემებში. შემდეგი ფაქტორები ადეკვატურ კონტროლთან ერთად ხელს უწყობენ მონაცემთა საიმედოობის ამაღლებას:

- უმჯობესდება მონაცემთა სტაბილურობა, რადგანაც მონაცემების ჩაწერა და განახლება ხდება ერთხელ, იმ სისტემებისაგან განსხვავებით, სადაც არ არსებობს მონაცემთა ბაზა და სადაც ერთი და იგივე მონაცემები განაწილებულია სხვადასხვა ფაილებში და

მათი განახლება სხვადასხვა
დროს სხვადასხვა პროგრამით
ხდება;

- Integrity of data will be improved by effective use of facilities included in the DBMS, such as recovery, restart routines, generalized edit and validation routines, and security and control features.

- უზრუნველდება მონაცემთა მთლიანობა მმს-ის საშუალებების ეფექტური გამოყენებით. ეს საშუალებებია: მონაცემთა აღდგენა, მათი ხელმეორედ ჩართვა რეჟიმში, საერთო რელაქტირება და სხვადასხვა რეჟიმების რაგ-იფიკაცია, პროგრამული და აპარატურული საშუალებების კონტროლი;

- Other functions available with the DBMS can facilitate control and audit procedures. These functions include report generators, which may be used to create balancing reports, and query languages, which may be used to identify inconsistencies in the data.

- მმს-ს სხვა ფუნქციები გააჩნია, რომლებსაც შეუძლიათ კონტროლისა და აუდიტორული პროცედურების გააღვივება. ეს ფუნქციები მოიცავს: ანგარიშის პროგრამა-გენერატორს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს დაბალანსებული ანგარიშების შესაქმნელად; შეკითხვების ენებს, რომელთა გამოყენება შეიძლება მონაცემთა შეუთავსებლობის გამოსაწვლად.

24. Alternatively, risk of fraud or error may be increased if database systems are used without adequate controls. In a typical non-database environment, controls exercised by individual users may compensate for weaknesses in general CIS controls. However, in a database system, this may not be possible, as inadequate database administration controls cannot always be compensated for by the individual users. For example, accounts receivable personnel cannot effectively control accounts receivable data if other

24. ამის საპირისპიროდ თაღლითობის ან შეცდომის რისკი შეიძლება გაიზარდოს, თუ მონაცემთა ბაზის სისტემების გამოყენება ხდება ადეკვატური კონტროლის გარეშე. გიპურ გარემოში, სადაც არ არსებობს მონაცემთა ბაზა, ცალკეული მომხმარებლის მიერ განხორციელებულ კონტროლს შეუძლია კსს-ის საერთო კონტროლში არსებული ნაკლოვანებების კომპენსაცია. ამის მიუხედავად, მონაცემთა ბაზის მქონე სისტემაში ამის გაკეთება შესაძლოა შეუძლებელი იყოს, რადგან მონაცემ-

personnel are not restricted from modifying accounts receivable balances in the database.

თა ბაზის არააღკვეთად აღმინი- სტარციულ კონტროლს ყოველ- თვის ვერ შეცვლის ცალკეული მომხმარებლის მიერ განხორ- ცილებული კონტროლი, მაგალი- თად, პერსონალი, ვისაც ევალება მოთხოვნების ანგარიშებზე მუშაო- ბა, ეფექტურად ვერ გააკონ- ტროლებს მოთხოვნების ან- გარიშების მონაცემებს, თუ სხვა პერსონალს არ ექნება აკრძალუ- ლი მონაცემთა ბაზაში მოთხოვნებ- ის ანგარიშთა ნაშთების შეცვლა.

The Effect of Databases on Audit Procedures

მონაცემთა ბაზის გავლენა აუდიტორულ პროცედურებზე

25. Audit procedures in a database environment will be affected principally by the extent to which the data in the database are used by the accounting system. Where significant accounting applications use a common database, the auditor may find it cost-effective to utilize some of the procedures in the following paragraphs.

25. მონაცემთა ბაზის გარემოში აუ- დიტორული პროცედურები ძირი- თადად იმდენად განიცდიან მო- ნაცემთა ბაზის გავლენას, რამდენა- დაც ხდება ამ მონაცემების გამოყ- ენება ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის მიერ მონაცემთა ბაზა- ში. როდესაც ბუღალტრული აღ- რიცხვის მნიშვნელოვანი პრო- გრამების გამოყენება ხდება საერ- თო მონაცემთა ბაზაში, აუდიტორს ეძლევა იმის საშუალება, რომ უფრო ეფექტურად გამოიყენოს შემდეგ პუნქტებში განხილული გო- გიერთი პროცედურა.

26. In order to obtain an understanding of the database control environment and the flow of transactions, the auditor may consider the effect of the following on audit risk in planning the audit:

26. იმისათვის, რომ კარგად გაერკვეს მონაცემთა ბაზის კონტროლის გარემოსა და ოპერაციებში, აუდიტორს შეუძლია აუდიტის დაგეგმ- ვის დროს გაითვალისწინოს აუ- დიტორულ რისკზე შემდეგი ფაქ- ტორების გავლენა:

- the DBMS and the significant ac-

- მბმს და მნიშვნელოვანი ბუღალ-

counting applications using the database;

გრული აღრიცხვის პროგრამები, რომლებიც იყენებენ მონაცემთა ბაზას;

- the standards and procedures for development and maintenance of application programs using the database;
- the database administration function;
- job descriptions, standards and procedures for those individuals responsible for technical support, design, administration and operation of the database;
- the procedures used to ensure the integrity, security and completeness of the financial information contained in the database; and
- the availability of audit facilities within the DBMS.

- იმ გამოყენებითი პროგრამების დამუშავებისა და განხორციელების სტანდარტები და პროცედურები, რომლებიც იყენებენ მონაცემთა ბაზას;
- მონაცემთა ბაზის ადმინისტრაციული მართვის ფუნქციები;
- სამუშაოს აღწერა, იმ პირთა ქცევის ნორმები და პროცედურები, რომელთაც აკისრიათ პასუხისმგებლობა მონაცემთა ბაზის ტექნიკურ მომსახურებაზე, დაპროექტებაზე, მის ადმინისტრაციულ მართვასა და ფუნქციონირებაზე;
- პროცედურები, რომლებიც გამოიყენება მონაცემთა ბაზაში შემაჯავლი ფინანსური ინფორმაციის მთლიანობის, უსაფრთხოებისა და სისრულის უზრუნველსაყოფად;
- მბმს ფარგლებში აუდიტის შესაძლებლობები.

27. During the risk assessment process, in determining the extent of reliance on internal controls related to the use of databases in the accounting system, the auditor may consider how the controls described in paragraphs 17-21 are used in the system. If he subsequently decides to rely on these controls, he would design and perform appropriate compliance tests.

27. რისკის შეფასების დროს აუდიტორს შეუძლია განიხილოს, თუ როგორ ხდება 17-21 პუნქტებში განხილული კონტროლის მეტოღების გამოყენება სისტემაში, რათა დაადგინოს ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში მონაცემთა ბაზის გამოყენებასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის საიმედოობის ხარისხი. აუდიტორმა, თუ ამის შემდეგ გადაწყვიტეს დაეყრდნოს კონტროლის აღნიშნულ მე-

თოდებს, უნდა დაგეგმოს და შეასრულოს მათი შესაბამისობის ტესტირება.

28. Where the auditor decides to perform compliance or substantive tests related to the database system, audit procedures may include using the functions of the DBMS (see paragraph 23) to:

- generate test data;
- provide an audit trail;
- check the integrity of the database;
- provide access to the database or a copy of relevant parts of the database for the purpose of using audit software (see International Auditing Practice Statement 1009 “Computer-Assisted Audit Techniques”); or
- obtain information necessary for the audit.

When using the facilities of the DBMS, the auditor will need to obtain reasonable assurance regarding their correct functioning.

29. Where the auditor determines he cannot rely on the controls in the database system, he would consider whether performing additional sub-

28. თუ აუდიტორი გადაწყვეტს შესრულოს შესაბამისობის ტესტები ან ძირითადი ტესტები მონაცემთა ბაზის სისტემაზე, აუდიტორული პროცედურები შეიძლება ითვალისწინებდეს მბმს-ის ფუნქციების გამოყენებას (იხ. 23)

- ტესტური მონაცემების ფორმირებისთვის;
- აუდიტის კეალის უზრუნველსაყოფად;
- მონაცემთა ბაზის მთლიანობის შესამოწმებლად;
- მონაცემთა ბაზისადმი ან მისი სათანადო ნაწილების ასლისადმი მიმართვის უზრუნველსაყოფად აუდიტის ჩატარების პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების მიზნით (იხ. აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის დებულება 1009 — “აუდიტის ჩატარების მეთოდიკა კომპიუტერის მეშვეობით”);
- აუდიტორისთვის აუცილებელი ინფორმაციის მოსაპოვებლად.

როდესაც გამოიყენება მბმს-ის საშუალებები, აუდიტორს დასჭირდება მთლიანობის დასაბუთებული გარანტია მათი მართებული საქმიანობის შესახებ.

29. თუ აუდიტორი გადაწყვეტს, რომ მას არ შეუძლია დაეყრდნოს მონაცემთა ბაზის სისტემაში არსებულ კონტროლს, მან უნდა გან-

stantive tests on all significant accounting applications which use the database would achieve his audit objective, as inadequate database administration controls cannot always be compensated for by the individual users.

30. The characteristics of database systems may make it more effective for the auditor to perform a pre-implementation review of new accounting applications rather than to review the applications after installation. This pre-implementation review may provide the auditor with an opportunity to request additional functions, such as built-in audit routines, or controls within the application design. It may also provide the auditor with sufficient time to develop and test audit procedures in advance of their use.

კომპიუტერული სინფორმაციო სისტემების (სსს) გარეშე — მონაცემთა ბაზის სისტემები

საზღვროს, შეძლებს თუ არა აუდიტის მიზნის მიღწევას დამატებითი ძირითადი ტესტების შესრულებით ყველა მნიშვნელოვან ბუღალტრულ პროგრამაზე, რომელიც იყენებს მონაცემთა ბაზას, რადგან ცალკეული მომხმარებელი ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზის არაადეკვატური აღმინისგრაფიული კონტროლის კომპენსაციას.

30. მონაცემთა ბაზის მქონე სისტემების მახასიათებლები უფრო ეფექტური შეიძლება იყოს აუდიტორისთვის, რათა წინასწარ შეასრულოს ახალი ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამების განხილვა და არა კომპიუტერში მათი ჩაგვირთვის შემდეგ პროგრამების ამგვარი წინასწარი განხილვა აუდიტორს მისცემს საშუალებას საჭიროებისამებრ მოითხოვოს დამატებითი ფუნქციები, როგორცაა აუდიტორული რეკვიზის ან კონტროლის ჩართვა პროგრამის კონსტრუქციაში. ამან შეიძლება აუდიტორს აგრეთვე მისცეს საკმარისი დრო აუდიტორული პროცედურების შემუშავებისა და ტესტირებისათვის მათ გამოყენებამდე.

CONTENTS

შინაარსი

	Paragraphs
Introduction	1-6
The Responsibility of the Bank's Management	7-10
The Role of the Banking Supervisor	11-22
The Role of the Bank's External Auditor	23-33
The Relationship Between the Supervisor and the Auditor	34-42
Criteria for a Possible Extension of the Auditor's Role as a Contribution to the Supervisory Process	43-50
Specific Directions in Which the Auditor's Role Can Be Extended .	51-55
The Need for a Continuing Dialogue Between Supervisory Authorities and the Auditing Profession	56-58

	პუნქტები
შესავალი	1-6
ბანკის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	7-10
საბანკო საქმიანობის ზედამხედველის ფუნქციები	11-22
ბანკის გარე აუდიტორის ფუნქციები	23-33
ზედამხედველისა და აუდიტორის ურთიერთობა	34-42
კრიტერიუმები აუდიტორის ფუნქციების სავარაუდო გაფართოებისათვის ზედამხედველობის პროცესში წვლილის შეტანის მიზნით	43-50
აუდიტორის ფუნქციების გაფართოების განსაკუთრებული მიმართულებები	51-55
სამედამხედველო სამსახურებსა და აუდიტორის პროფესიას შორის უწყვეტი დიალოგის საჭიროება	56-58

This International Auditing Practice Statement has been prepared in association with the Committee on Banking Regulations and Supervisory Practices* ("the Basle Supervisors' Committee"). It

წინამდებარე აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის დებულება მომზადებულია საბანკო საქმის რეგულირებისა და სამედამხედველო პრაქტიკის კომიტეტის* ("ბაზელის ზედამხედველობის

*The Basle Supervisors' Committee comprises representatives of the central banks and supervisory authorities of the Group of Ten countries (Belgium, Canada, France, Germany, Italy, Japan, Netherlands, Sweden, Switzerland, United Kingdom, United States) and Luxembourg.

* ბაზელის ზედამხედველობის კომიტეტი შედგება ათი ქვეყნის (ბელგიის, კანადის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, იაპონიის, პოლანდიის, შვეიცარიის, შვედეთის, შვეიცარიის, გაერთიანებული სამეფოს, შვედეთის მტაგების) და ლუქსემბურგის ცენტრალური ბანკებისა და სამედამხედველო ორგანოების წარმომადგენლებისაგან.

was approved for publication by the International Auditing Practices Committee and by the Basle Supervisors' Committee at their respective meetings in March 1989. It has a common release date of July 1989.

Banks play a vital role in economic life and the continued strength and stability of the banking system is a matter of general public concern. The separate roles of bank supervisors and external auditors are important in this regard. The growing complexity of banking makes it necessary that there be greater mutual understanding and, where appropriate, more communication between the bank supervisors and external auditors.

The purpose of this Statement is to provide information and guidance on how the relationship between bank auditors and supervisors can be strengthened to mutual advantage. However, as the nature of this relationship varies significantly from country to country the guidance may not be applicable in its entirety to all countries. The International Auditing Practices Committee and the Basle Supervisors' Committee hope, however, that it will provide a useful clarification of the respective roles of the two professions in the many countries where the links are close or where the relationship is currently under study.

კომიტეტის) მონაწილეობით. იგი გამო-საქვეყნებლად დამტკიცდა აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის კომიტეტისა და ბაშელის ზედამხედველობის კომიტეტის მიერ მათ სხდომებზე 1989 წლის მარტში. დებულების ერთობლივი გამოქვეყნის თარიღია 1989 წლის ივლისი.

ბანკები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეკონომიკურ ცხოვრებაში და საბანკო სისტემის მუდმივი სიძლიერე და სტაბილურობა საზოგადოების მრუნვის საგანია. ამ შირიე მნიშვნელოვანია ბანკის ზედამხედველებისა და გარე აუდიტორების განსხვავებული ფუნქციები. საბანკო საქმის შმარდი სირთულე განაპირობებს ბანკის ზედამხედველებსა და გარე (დამოუკიდებელ) აუდიტორებს შორის ურთიერთგაგების გაღრმავებისა და, საჭიროების შემთხვევაში, მეტი კომუნიკაციის აუცილებლობას.

წინამდებარე დებულების მიზანია უმრუნველყოს ინფორმაცია და მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაღრმავდეს ბანკის აუდიტორებისა და ზედამხედველების ურთიერთობა ურთიერთსარგებლობის მიმნიით. თუმცა აღნიშნული ურთიერთობის ხასიათი მნიშვნელოვნად განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნებში, წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებები შესაძლებელია ყველა ქვეყნისათვის არც იყოს სრულად გამოსაღევი. აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის კომიტეტი და ბაშელის ზედამხედველობის კომიტეტი იმედოვნებენ, რომ ეს დებულება მაინც შეუწყობს ხელს ამ ორი პროფესიის შესაბამისი ფუნქციების გაშუქებას ბერე ქვეყანაში, სადაც უფრო მჭიდრო კავშირები არსებობს ან ამჟამად მიმდინარეობს აღნიშნული ურთიერთკავშირის შესწავლა.

Introduction

1. Banks play a central role in the economy. They hold the savings of the public, provide a means of payment for goods and services and finance the development of business and trade. To perform these functions securely and efficiently, individual banks must command the confidence of the public and those with whom they do business. The stability of the banking system, national and international, has therefore come to be recognized as a matter of general public interest. This public interest is reflected in the way banks in all countries, unlike most other commercial companies, are subject to supervision of their financial soundness (usually referred to as prudential supervision) by central banks and other official agencies. Banks' financial statements are also subject to examination by external auditors. The auditor's opinion lends credibility to such statements and thereby assists in promoting confidence in the banking system.

2. As the business of banking grows in complexity, both nationally and internationally, the tasks of both bank supervisors and external auditors are becoming more and more demanding. In many respects bank supervi-

შესავალი

1. ბანკები ცენტრალურ როლს თამაშობენ ეკონომიკაში. ბანკებში თავს იყრის საზოგადოების დანაზოგები, მათი მეშვეობით ხორციელდება საქონლისა და მომსახურებისათვის ანგარიშწორება, აგრეთვე მეწარმეობისა და ვაჭრობის განვითარების დაფინანსება. იმისათვის, რომ საიმედოდ და ეფექტურად განახორციელონ თავიანთი ფუნქციები, ბანკები უნდა იმსახურებდნენ საზოგადოებისა და იმ მხარეების ნდობას, რომლებთანაც საქმიანი ურთიერთობები აქვთ. ამდენად, ეროვნული თუ საერთაშორისო საბანკო სისტემის სტაბილურობა საერთო საზოგადოებრივი ინტერესის საგანია. ეს საზოგადოებრივი ინტერესი აისახება იმ ვებში, რომლებითაც ბანკები, სხვა კომერციული კომპანიებისაგან განსხვავებით, ყველა ქვეყანაში ექვემდებარებიან ცენტრალური ბანკებისა და სხვა ოფიციალური ორგანოების ზედამხედველობას (რასაც ჩვეულებრივ იურიდიულ ზედამხედველობას უწოდებენ) ფინანსურ სტაბილურობასთან მიმართებით. ბანკების ფინანსურ ანგარიშგებას ამოწმებენ აგრეთვე გარე აუდიტორებიც. აუდიტორის დასკვნა ამდლებს ასეთი ანგარიშგების სანდოობას და ამგვარად ხელს უწყობს საბანკო სისტემის მიმართ ნდობის ზრდასაც.

2. იმის გამო, რომ იზრდება საბანკო საქმიანობის მრავალფეროვნება როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო მასშტაბით, ბანკის ზედამხედველებისა და გარე აუდიტორების ამოცანები სულ უფრო

sors and external auditors face a similar challenge and increasingly their roles are being perceived as complementary. Not only are supervisors relying to a greater extent on the results of the auditors' work, but they are increasingly turning to the accounting profession to undertake additional tasks which contribute to the performance of their supervisory responsibilities. At the same time, auditors, in carrying out their functions, are looking to the supervisors for information which can help in discharging their functions more effectively.

3. The International Auditing Practices Committee and the Basle Supervisors' Committee share the view that greater mutual understanding and, where appropriate, communication would improve the effectiveness of bank audit and supervision to the benefit of both disciplines.
4. Three parties have roles and responsibilities in relation to the prudent conduct of a bank's business, namely, management of the bank itself, the bank's external auditors and the supervisory authorities. The roles and responsibilities of each participant in different countries derive from both law and custom. This Statement is not concerned with challenging or changing these roles

მომთხოვნი ხდება. მრავალ საკითხში ბანკის ზედამხედველები და გარე აუდიტორები ერთი და იმავე სირთულეების წინაშე დგანან და მათი ფუნქციებიც ურთიერთმემახებელ ფუნქციებად მიიჩნევა. ზედამხედველები არა მარტო ეყრდნობიან აუდიტორების მუშაობის შედეგებს, არამედ სულ უფრო მეტად მიმართავენ ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიას მათი საზედამხედველო მოვალეობების შესრულების ხელშეწყობი დამატებითი ამოცანების განსახორციელებლად. იმავე დროს აუდიტორები თავისი ფუნქციების განხორციელებისას მიმართავენ ზედამხედველებს იმ ინფორმაციისათვის, რომელიც მათი ფუნქციების რაც შეიძლება ეფექტიანად განხორციელებას უწყობს ხელს.

3. აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის კომიტეტი და ბაზელის ზედამხედველების კომიტეტი იზიარებენ მოსაზრებას, რომ მეტი ურთიერთგაცება და, საჭიროების შემთხვევაში, კომუნიკაცია აამაღლებს საბანკო აუდიტისა და ზედამხედველობის ეფექტიანობას ორივე დისციპლინის სასარგებლოდ.
4. ბანკის საქმიანობის მოწესრიგებულ განხორციელებაზე პასუხისმგებელია სამი მხარე, კერძოდ: თავად ბანკის ხელმძღვანელობა, ბანკის გარე აუდიტორები და საზედამხედველო სამსახურები. სხვადასხვა ქვეყნებში თითოეული მათგანის ფუნქციები და მოვალეობები კანონმდებლობისა და გრადიციებისაგან გამომდინარეობს. ეს დებულება არ ისახავს

or responsibilities. Rather, it is intended to provide a better understanding of the precise nature of the role of bank auditors and supervisors, since a misconception of such roles could lead to inappropriate reliance being placed by one on the work of the other.

მიზნად უარყოფს ან შეცვალავს არსებული კანონმდებლობა თუ გრადიციები. მისი მიზანია უფრო ისაა, რომ უკეთ წარმოაჩინოს ბანკის აუდიტორებისა და ზედამხედველების ფუნქციების მუსტი, პედანტიური ხასიათი, რადგან ამგვარი ფუნქციების არასწორმა გაგებამ შეიძლება გამოიწვიოს ერთი მხარის მიერ მეორე მხარის შესრულებულ სამუშაოზე ზედმეგად დაყრდნობა.

5. This Statement seeks to remove these possible misconceptions and to suggest how each might make more effective use of the work performed by the other. The Statement accordingly:

5. დებულება მიმართულია იქითკენ, რომ თავიდან იქნეს აცილებული ეს მოსალოდნელი გაუგებრობები და იძლევა რეკომენდაციებს, როგორ უნდა გამოიყენოს თითოეულმა მხარემ უფრო შედეგიანად მეორე მხარის მიერ შესრულებული სამუშაო. შესაბამისად ამისა, დებულება

- defines the primary responsibility of management (paragraphs 7-10);
- examines the essential features of the roles of supervisors and auditors (paragraphs 11-33);
- reviews the extent to which the roles overlap (paragraphs 34-42); and
- suggests a mechanism for more effective co-ordination between supervisors and auditors in the fulfillment of their separate tasks (paragraphs 43-58).

- განსაზღვრავს ხელმძღვანელობის უპირველეს მოვალეობებს (პ. 7-10);
- განიხილავს ბანკის ზედამხედველებისა და აუდიტორების ფუნქციების ძირითად თავისებურებებს (პ. 11-33);
- განიხილავს, რამდენად ემთხვევა მათი ფუნქციები ერთმანეთს (პ. 34-42) და
- იძლევა რეკომენდაციებს ზედამხედველებისა და აუდიტორების რაც შეიძლება უფექტური კოორდინაციის მექანიზმის შემუშავებისთვის მათი განსხვავებული, დამოუკიდებელი ამოცანების განსახორციელებლად (პ. 43-58).

6. The Statement has been drawn up in full awareness of the significant differences that exist in national institutional frameworks, notably in accounting standards, in supervisory techniques and in the extent to which, in some countries, the auditors currently perform tasks at the request of the supervisory authorities. It recognizes that in some countries bank supervisors and auditors already have closer relationships than are indicated in the Statement. The arrangements suggested in the Statement should be considered as being complementary to and not as replacing existing relationships. While the Statement is not intended to be prescriptive, it is hoped that the views expressed herein will have relevance for all situations, although they will obviously address the situations in some countries more directly than those in others.

6. დებულება შემუშავებულია იმ მნიშვნელოვანი განსხვავებების სრული გაცნობიერებით, რომლებიც არსებობს ეროვნულ ინსტიტუციონალურ ჩარჩოებში, განსაკუთრებით ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებსა და საზედამხედველო მეთოდებში, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთ ქვეყანაში აუდიტორები ამჟამად ასრულებენ დაეალელებს საზედამხედველო ორგანოების მოთხოვნით. იგი აღიარებს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ბანკის ზედამხედველებსა და აუდიტორებს შორის უკვე არსებობს იმაზე უფრო ახლო ურთიერთობა, ვიდრე ამ დებულებაშია გათვალისწინებული. ამ დებულებაში განხილული რეკომენდაციები ითვალისწინებს ამ ურთიერთობების შეესებას და არა არსებულის შეცვლას. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე დებულება არ არის საეალდებულო ხასიათის, ვიმედოვნებთ, რომ მასში გამოთქმული მოსაზრებები ყველა ვითარებისთვის გამოსადეგი იქნება, თუმცა ისინი ზოგიერთ ქვეყანაში არსებულ ვითარებას უფრო პირდაპირ შეეხება სხვა ქვეყნებთან შედარებით.

The Responsibility of the Bank’s Management

ბანკის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

7. The primary responsibility for the conduct of the business of a bank is vested in the board of directors and management appointed by it. This responsibility includes ensuring.

7. ბანკის საქმიანობაზე მთავარი პასუხისმგებლები არიან დირექტორთა საბჭო და მათ მიერ დანიშნული ხელმძღვანელობა. მათი მოვალეობაა იმის უზრუნველყოფა, რომ

- that those entrusted with banking tasks are professionally competent and that there are sufficiently ex-

- ისინი, ვისაც ევალება საბანკო საქმეები, იყვნენ პროფესიულად კომპეტენტური და მთავარ თან-

perienced staff in key positions;

- that proper control systems exist and are functioning;
- that the operations of the bank are conducted with due regard to prudence including the assurance that adequate provisions are maintained for losses;
- that statutory and regulatory directives, including directives regarding solvency and liquidity, are observed; and
- that the interests not only of the shareholders but also of the depositors and other creditors are adequately protected.

ამდებობის პირებს გააჩნდეთ საკმარისი გამოცდილება;

- არსებობდეს და ფუნქციონირებდეს კონტროლის სათანადო, შესაფერისი სისტემები;
- საბანკო ოპერაციები ხორციელდებოდეს გონივრულად, სათანადო წინდახედულობით, ზარალის ასანაზღაურებლად საკმარისი რეზერვების შექმნის ჩათვლით;
- დაცული იყოს საკანონმდებლო და მარეგულირებელი ღირებუებები, მათ შორის ის ღირებუებები, რომლებიც ეხება გადახდისუნარიანობას და ლიკვიდურობას და
- შესაბამისად დაცული იყოს არა მხოლოდ აქციონერთა, არამედ დეპოზიტორებისა (მენაბრეთა) და სხვა კრედიტორების ინტერესებიც.

8. Management is responsible for preparing financial statements in accordance with national law; such statements must give “a true and fair view of” (or “present fairly”) the bank’s financial position and the results of its operations in accordance with generally accepted national accounting principles as they apply to banks. This responsibility includes ensuring that the auditor who examines and reports on such statements is provided with all necessary information that can materially affect the financial statements and consequently his opinion thereon. The management also has the responsibility to provide all information to the supervisory

8. ხელმძღვანელობას ეკისრება იმის პასუხისმგებლობა, რომ ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად; ამგვარმა ანგარიშგებამ “უტყუარად და სამართლიანად უნდა ასახოს” (ან “სამართლიანად ასახოს”) ბანკის ფინანსური მდგომარეობა და მისი საქმიანობის შედეგები საყოველთაოდ აღიარებული ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნული პრინციპების შესაბამისად ისე, როგორც ბანკებისთვის არის გათვალისწინებული. ეს პასუხისმგებლობა იმასაც გულისხმობს, რომ აუდიტორი, რომელიც ამოწმებს ამ ანგარიშგებას და მასზე გასცემს დასკვნას, უზრუნვე-

agencies which such agencies are entitled by law or regulation to obtain. The information provided to supervisory agencies normally includes the financial statements which are often used by supervisors in their appraisal of the financial condition of the bank.

ლყოფილი იყოს მთელი საჭირო ინფორმაციით, რომელსაც შეუძლია არსებითი გავლენა იქონიოს აღნიშნულ ანგარიშგებაზე და, შესაბამისად, აუდიტორის დასკვნაზე. ხელმძღვანელობა ასევე ვალდებულია სრული ინფორმაცია მიაწოდოს სამხედამხედველო სამსახურებსაც, რომელთაც ამ ინფორმაციას ფლობის უფლება კანონით აქვთ მინიჭებული. ინფორმაცია, რომელიც მიეწოდება სამხედამხედველო სამსახურებს, ჩვეულებრივ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას, რომელსაც ზედამხედველები ხშირად იყენებენ ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად.

9. Management is responsible for the establishment and the efficient operation of an internal audit function in a bank appropriate to its size and to the nature of its operations. This function constitutes a separate component of internal control undertaken by specially assigned staff within the bank with the objective of determining whether, amongst other things, internal controls are well designed and properly operated. Management is responsible for ensuring that the internal audit function is adequately staffed with persons of the appropriate skills and technical competence who are free from operating responsibilities and who report to top management, and that timely and appropriate action is taken on their findings.

9. ხელმძღვანელობა პასუხს აგებს ბანკის სიდიდისა და საქმიანობისათვის შესაფერისი შიდა აუდიტის ფუნქციის ორგანიზებასა და ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე. ეს ფუნქცია წარმოადგენს შიდა კონტროლის ცალკე დამოუკიდებელ კომპონენტს, რომლის განხორციელებაც ევალება ბანკის სპეციალურ პერსონალს, რომელიც დანიშნულია იმ მიზნით, რომ, სხვა საკითხებთან ერთად, დაადგინოს კარგად არის თუ არა შიდა კონტროლი ორგანიზებული და სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა იგი. ხელმძღვანელობას ეკისრება პასუხისმგებლობა იმაზე, რომ შიდა აუდიტის ფუნქციას ასრულებდნენ შესაბამისი კვალიფიკაციისა და გეჟნიკური კომპეტენციის მქონე თანამშრომლები, რომლებიც არ არიან დაკავებული ბანკის საოპერაციო საქმიანობით, და ანგარიშვალდებული არიან უმაღლესი ხელმძღვანელობის

წინაშე; რომ მათ მიერ აღმოჩენილ ფაქტებს დროული და შესაფერისი რეაგირება მოჰყვება.

10. These responsibilities of the management are in no way diminished by the existence of a system for the supervision of banks by central banks or other official agencies or by a requirement for a bank's financial statements to be subject to audit by independent auditors.

10. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას არავითარ შემთხვევაში არ ამცირებს ცენტრალურ ბანკების ან სხვა ოფიციალური სამსახურების სახით არსებული ბანკების ზედამხედველობის სისტემა ან იმის მოთხოვნა, რომ ბანკის ფინანსური ანგარიშგება დამოუკიდებელი აუდიტორების შემოწმების ობიექტი იყოს.

The Role of the Banking Supervisor

საბანკო საქმის ზედამხედველის მოვალეობები

11. The customary role of the supervisor, and one that is often written into statute, is to protect the interests of bank depositors. In practice, however, this role has increasingly combined with a wider duty to safeguard the soundness and stability of the banking system. In some countries, supervision may also be directed towards ensuring compliance with monetary or exchange rate policies. However, in this Statement the focus is on the prudential aspect of the supervisor's role.

11. ზედამხედველის გრადიციული მოვალეობა, რომელიც ხშირად კანონმდებლობაშია ჩადებული, ბანკის მენაბრეთა ინტერესების დაცვაა. თუმცა პრაქტიკულად ეს მოვალეობა სულ უფრო და უფრო ერწყმის საბანკო სისტემის სიძვარისა და სტაბილურობის დაცვის უფრო ფართო მოვალეობას. ზოგიერთ ქვეყანაში ზედამხედველობა შეიძლება ასევე მიმართული იყოს ფულად-საკრედიტო ან სავალუტო გაცვლითი კურსის პოლიტიკის დაცვის უზრუნველყოფისკენ. თუმცა წინამდებარე დებულებაში ყურადღება გამახვილებულია ზედამხედველის როლის წინდახედულობის ასპექტზე.

12. The ultimate power on which the authority of most supervisors is based is the power to authorize or license an entity to conduct a banking business and to withdraw such authorization or license. In order to

12. ზემოქმედების ძირითადი წყარო, რომელზეც დაფუძნებულია ზედამხედველების უმრავლესობის უფლებამოსილება, არის სამეურნეო სუბიექტისათვის საბანკო საქმიანობის უფლების ან ლიცენზიის

qualify for and retain a banking license, entities must observe certain prudential requirements. These requirements may differ from country to country in their precise specification; some may be closely defined in regulation and others may be more broadly drawn, allowing the supervisory authority a measure of discretion in their interpretation. However, the following basic requirements for authorization are generally to be found in most systems of supervision:

- persons who control and manage the business of a bank must be honest and trustworthy and must possess appropriate skills and experience;
- the bank must have adequate capital to withstand the risks inherent in the nature and size of its business; and
- the bank must have sufficient liquidity to meet outflows of funds.

Further and more detailed requirements are often prescribed, including minimum numerical ratios for capital and liquidity adequacy. What-

მინიჭებისა და ჩამორთმევის უფლებამოსილება. იმისათვის, რომ მიიღონ და შეინარჩუნონ საბანკო საქმიანობის ლიცენზია, სამეურნეო სუბიექტებმა უნდა დაიცვან წინდახედულობის გარკვეული მოთხოვნები. ეს მოთხოვნები სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება განსხვავებული იყოს სპეციფიკაციის თვალსაზრისით; მოგიერთი მოთხოვნა შეიძლება დეტალურად იყოს განსაზღვრული მარეგულირებელი აქტებით, ზოგიც – უფრო მოგადად, რაც საშემდგომადელო სამსახურს მისცემს მათი განმარტების მეტ თავისუფლებას. მიუხედავად ამისა, საშემდგომადელო უფლებამოსილების შემდეგი ზოგადი მოთხოვნები საშემდგომადელო სისტემების უმრავლესობაში გვხვდება:

- პიროვნებები, რომლებიც აკონტროლებენ და ხელმძღვანელობენ ბანკის საქმიანობას, უნდა იყვნენ პატიოსნები და ნდობით აღჭურვილი, ასევე უნდა გააჩნდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება;
- ბანკს უნდა გააჩნდეს ადეკვატური კაპიტალი მისი საქმიანობის ხასიათისა და მასშტაბისთვის დამახასიათებელი რისკის დასაძლევად და
- ბანკს უნდა ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდობა მისი სახსრების გაღების დასაკმაყოფილებლად.

ხშირად ამას ემატება უფრო დეტალური მოთხოვნები, კაპიტალისა და ლიკვიდობის ადეკვატურობის მინიმალური რიცხობრივი კოეფიციენ-

ever the precise form of the regulations, however, their objective is to set conditions to ensure that banks' managements conduct their business prudently and have adequate financial resources to overcome adverse circumstances and protect depositors from loss.

13. Failure by a bank to observe the various conditions or requirements for authorization will provide grounds for the supervisor to consider withdrawing the license. But withdrawal of a license, effectively terminating the business, may well precipitate insolvency and, therefore, is generally a sanction of last resort, to be used only when it is clear that no other possibilities for corrective action remain. As a less drastic procedure, in order to remedy incipient weaknesses, supervisors generally have powers to issue formal directives to a bank requiring it to take action to strengthen some aspect of its business, for example, by injecting additional capital or improving internal controls. However, recourse to legal powers is rarely necessary and ongoing supervision is generally conducted on the basis of informal guidance and persuasion.

გების ჩათვლით, მაგრამ როგორც დეტალური არ უნდა იყოს მარეგულირებელი აქტები, მათი მიზანია პირობების შექმნა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბანკის ხელმძღვანელობა გონიერულად აწარმოებდეს თავის საქმიანობას და გააჩნდეს საკმარისი ფინანსური რესურსები არახელსაყრელი მოვლენების გადასალახად და მეანაბრების მარალისგან დასაცავად.

13. ბანკის მიერ თავისი უფლებამოსილების მოთხოვნებისა და სხვადასხვა პირობების დარღვევა ნიადაგს უქმნის ზედამხედველს, რომ განიხილოს ლიცენზიის ჩამორთმევის საკითხი. მაგრამ ლიცენზიის ჩამორთმევამ (რაც ეფექტურად წყვეტს საქმიანობას) შესაძლებელია დააჩქაროს გადახდის უუნარობა და ამდენად, ითვლება რა ყველაზე უკიდურესობად, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც აშკარაა, რომ სხვა გამოსასწორებელი ღონისძიების ჩატარების შესაძლებლობა არ არსებობს აღმოჩენილი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. როგორც წესი, შედარებით ნაკლებად მკაცრ პროცედურას წარმოადგენს ზედამხედველების უფლება, გამოსცენ ოფიციალური დირექტივები ბანკებისთვის, სადაც მოთხოვნილი იქნება ბანკის საქმიანობის რომელიმე ასპექტის გასაძლიერებელი ღონისძიებების ჩატარება, მაგალითად, დამატებითი კაპიტალის შეტანა ან შიდა კონტროლის გაუმჯობესება. თუმცა იურიდიული უფლებამოსილების გამოყენება იშვიათად არის საჭირო და ზედამხედველო

ბა ჩვეულებრივ არაოფიციალური რეკომენდაციებისა და დარწმუნების გზით ხორციელდება.

14. One of the main pillars of prudential supervision is capital adequacy. In most countries there are minimum capital requirements for the establishment of new banks and capital adequacy tests are a regular element in ongoing supervision. In line with the method agreed among the supervisory authorities represented on the Basle Supervisors' Committee, capital adequacy is measured in most countries by comparing the capital resources of a bank with its total assets and off-balance-sheet engagements, weighted to reflect the relative risk inherent in the various categories of assets or off-balance-sheet items. For major international banks the members of the Basle Supervisors' Committee have agreed that a minimum standard for this ratio of 8% should apply. Capital is also often used as a standard against which to measure or to limit the risks inherent in the types of transactions undertaken by banks.

14. იურიდიული ზედამხედველობის მთავარი საყრდენია კაპიტალის ადეკვატურობა. ქვეყნების უმრავლესობაში არსებობს მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები ახალი ბანკების დაარსებისათვის და კაპიტალის ადეკვატურობის ტესტები მიმდინარე ზედამხედველობის მუდმივი და განუყოფელი ელემენტია. ბაზელის ზედამხედველობის კომიტეტის წევრი საზემდამხედველო სამსახურების მიერ გაზიარებული მეთოდის შესაბამისად, ქვეყნების უმრავლესობაში კაპიტალის ადეკვატურობა იზომება ბანკის კაპიტალის რესურსების შედარებით მის სრულ აქტივებთან და ბალანს-გარეშე საქმიანობასთან, რომელიც შეწონილია იმ ცალკეული კატეგორიებისთვის ან ბალანს-გარეშე მუხლებისთვის დამახასიათებელი თანდაყოლილი რისკების სიდიდით. ბაზელის ზედამხედველობის კომიტეტის წევრი საერთაშორისო ბანკების უმრავლესობა იზიარებს, რომ ამ კოეფიციენტის მინიმალური ნორმა უნდა იყოს 8%. კაპიტალიც ხშირად გამოიყენება, როგორც ნორმა, რომლის მიხედვითაც იზომება ან მცირდება ბანკის მიერ განხორციელებული ოპერაციების თანდაყოლილი რისკი.

15. Banks are subject to a variety of risks. The most significant of these, in terms of historical loss experience, is credit risk—the risk that a borrower will not be able to repay his loan when due. It is not the

15. ბანკები მრავალგვარ რისკს ექვემდებარებიან. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი, გარდალის წარსული გამოცდილების ენაზე, არის საკრედიტო რისკი, ე.ი. რისკი იმისა, რომ შესესხებული დროულად

supervisor's role to direct banks' lending policies, but he has an interest in seeing that banks have effective credit review procedures which are applied consistently. He also seeks to ensure that credit risk is adequately diversified by means of rules to limit exposures, whether in terms of individual borrowers, industrial or commercial sectors or particular countries. Supervisors also seek to monitor and limit a range of other banking risks, such as liquidity and funding risk, interest rate and investment risk, foreign exchange risk and off-balance-sheet risk. Increasingly, supervisors are attempting to develop systems of measurement which will capture the extent of exposure to specific risks. These systems often form the basis for specific controls or limits on the various categories of exposure.

ვერ გადაიხდის ვალს. ზედამხედველის მოვალეობაში არ შედის ბანკის სესხის პოლიტიკის განსაზღვრა, მაგრამ იგი იმით არის დაინტერესებული, რომ ბანკებს ჰქონდეთ კრედიტების მიმოხილვის ეფექტიანი პროცედურები და ამ პროცედურებს თანმიმდევრულად ახორციელებდნენ. ზედამხედველი ასევე ცდილობს საკრედიტო რისკის დივერსიფიკაციის უზრუნველყოფას იმ წესების საშუალებით, რომლებიც ამცირებენ ინდივიდუალური მსესხებლების, მრეწველობისა თუ კომერციული სექტორების თუ ცალკეული ქვეყნებისთვის დამახასიათებელ რისკის ფაქტორზე დაქვემდებარებას. ზედამხედველები ასევე ცდილობენ სხვა გიპის საბანკო რისკების მონიგორინგსა და შემცირებას, როგორცაა: ლიკვიდობისა და დაფინანსების რისკი, საპროცენტო განაკვეთისა და ინვესტიციის რისკი, სავალუტო ვაცულის კურსის რისკი და ბალანსგარეშე ოპერაციების რისკი. ზედამხედველები სულ უფრო მეტად ცდილობენ ისეთი სისტემების შემუშავებას, რომლებიც მათ დაეხმარებათ კონკრეტულ რისკებზე დაქვემდებარების ხარისხის გამოვლენაში. ასეთი სისტემები ხშირად ქმნიან გარკვეული კონტროლის ან სხვადასხვა კატეგორიის რისკზე დაქვემდებარების შემცირების საფუძველს.

16. One of the most important determinants of a bank's stability, though one of the most difficult to assess, is the quality of its assets. It is therefore essential for the supervisor to be confident that adequate provisions

16. ბანკის სტაბილურობას ყველაზე უკეთ განსაზღვრავს მისი აქტივების ხარისხი, თუმცა ეს ყველაზე რთული შესაფასებელია. ამგვარად, ზედამხედველისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ იგი

have been made, for example in relation to bad and doubtful debts. While the correct valuation of assets is the primary responsibility of management, it is often a matter of judgment and supervisors seek to satisfy themselves that this judgment is properly and reasonably exercised. For example, supervisors may seek to ensure that banks adequately recognize the risk arising from their loans to heavily-indebted countries, perhaps by laying down guidelines or requirements for adequate levels of provisions.

- ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისადმი აუდიტორის ნდობის ხარისხზე (ჩვეულებრივ ეს ნდობა ყალიბდება წინა აუდიტისა და ცალკეული სესხების შემოწმებული შედეგების შედეგად. მოგვიერ აუდიტორის მიერ ფინანსური ანგარიშების სხვა ნაშთების შემოწმების შედეგად).

CONTENTS

შინაარსი

Paragraphs	პუნქტები
Introduction	შესავალი
1-3	1-3
Legal and Professional Requirements	საკანონდებლო და პროფესიული მოთხოვნები
Ethical Considerations	ეთიკური მოსაზრებები
Terms of Audit Engagements ...	აუდორული გარიგების პირობები
4-5	6-9
6-9	6-9
Management Representations ..	ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ოფიციალური ინფორმაცია
10-11	10-11
Communications With Management During the Audit	ურთიერთობა ხელმძღვანელობასთან აუდიტის პროცესში
12-15	12-15
Communications With Management at the End of the Audit	ურთიერთობა ხელმძღვანელობასთან აუდიტის დამთავრებისას
16-18	16-18
Communications on Internal Control	ინფორმაცია შიდა კონტროლის შესახებ
19-23	19-23

This International Auditing Practice Statement was approved by the International Auditing Practices Committee in March 1994 for publication in July 1994.

This Statement is published to provide practical guidance to auditors with respect to the auditor's relationship with management. This document discusses that relationship, summarizes certain matters already contained

აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის კომიტეტმა აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის წინამდებარე დებულება დაამტკიცა 1994 წლის მარტში 1994 წლის ივლისში გამოსაცემად.

დებულება გამოქვეყნდა იმ მიზნით, რომ აუდიტორებს მიაწოდოს პრაქტიკული მითითებები ხელმძღვანელობასთან ურთიერთობებში სახელმძღვანელოდ. ამ დოკუმენტში განხილულია ისეთი ურთიერთობები, ასევე შეჯამებულია ისეთი მოვლენები, რაც წინამდებარე ცნობარში უკვე იყო განხილული.

Introduction

1. A number of International Standards on Auditing (ISAs) refer to the auditor's relationship with management. This document, (which is an International Auditing Practice Statement, rather than an ISA) discusses that relationship, summarizes certain matters already contained in ISAs, and provides additional guidance.
2. Some aspects of the auditor's relationship with management are determined by legal and professional requirements. Others are governed by the auditor's internal procedures and practices. Auditors should have regard to such requirements, procedures and practices.
3. For the purposes of this Statement, 'management' comprises officers and others who also perform senior managerial functions. Management includes directors and the audit committee only in those instances where they perform such functions.

შესავალი

1. აუდიტორის ურთიერთობას ხელმძღვანელობასთან ეხება აუდიტის მთელი რიგი საერთაშორისო სტანდარტები. წინამდებარე დოკუმენტი (რომელიც წარმოადგენს აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის დებულებას, და არა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტს) განხილულია ისეთი ურთიერთობები, ასევე შეჯამებულია ისეთი მოვლენები, რომლებიც უკვე განხილული იყო აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებში, ამის გვერდით იგი შეიცავს დამატებით მითითებებსაც.
2. ხელმძღვანელობასთან აუდიტორის ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი განსაზღვრულია საკანონმდებლო და პროფესიული მოთხოვნებით, სხვა ასპექტები კი იმართება აუდიტორის შიდა პროცედურებითა და პრაქტიკით. აუდიტორი პატივს უნდა სცემდეს და იზიარებდეს ასეთ მოთხოვნებს, პროცედურებსა და პრაქტიკას.
3. მოცემული დებულების კონტექსტში "ხელმძღვანელობა" აღნიშნავს ყველა თანამდებობის პირსა და მოსამსახურეს, რომლებიც ასრულებენ უფროსი მენეჯერის ფუნქციებს. ხელმძღვანელობაში დირექტორები და აუდიტის კომიტეტი იგულისხმება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ასრულებენ ამგვარ ფუნქციებს.

Legal and Professional Requirements

Ethical Considerations

4. During the audit of financial statements, it is necessary for an auditor to establish a constructive working relationship with management to achieve an effective and efficient audit. This should be achieved whilst observing certain ethical principles set by professional standards. These principles are contained in the Code of Ethics for Professional Accountants issued by the International Federation of Accountants. Such principles governing the auditor's professional responsibilities are:

- (a) independence;
- (b) integrity;
- (c) objectivity;
- (d) professional competence and due care;
- (e) confidentiality;
- (f) professional behavior; and
- (g) technical standards.

5. An auditor needs to be free, in fact and in appearance, of any interest in the performance of a professional assignment, which might be regarded as incompatible with ethical principles.

საკანონმდებლო და პროფესიული მოთხოვნები

ეთიკური მოსაზრებები

4. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს აუდიტორისათვის აუცილებელია კონსტრუქციული სამუშაო ურთიერთობების დამყარება ხელმძღვანელობასთან, რათა კვალიფიციურად და ეფექტურად ჩატაროს აუდიტი. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ეთიკური პრინციპების დაცვით, რომელიც განსაზღვრულია პროფესიული სტანდარტებით. ეს პრინციპები განხილულია პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსში, რომელიც გამოცემულია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ. აუდიტორის პროფესიული პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი პრინციპებია:

- (ა) დამოუკიდებლობა,
- (ბ) პატიოსნება,
- (გ) ობიექტურობა,
- (დ) პროფესიული კომპეტენცია და სათანადო ყურადღება,
- (ე) კონფიდენციალურობა,
- (ფ) პროფესიული ქცევა და
- (ზ) ტექნიკური სტანდარტები.

5. თავისი პროფესიული მოვალეობების შესრულების დროს აუდიტორი ფაქტობრივად და გარეგნულად თავისუფალი უნდა იყოს ნებისმიერი ინტერესისაგან, რაც ეთიკური პრინციპებთან შეუთავსებელი იქნება.

*Terms of Audit Engagements**აუდიტორული ვარიგების პირობები*

6. It is the interest of both client and auditor that the auditor sends an engagement letter which documents and confirms the auditor's acceptance of the appointment. The ISA 210 "Terms of Audit Engagements" provides guidance to auditors on this subject.

6. ორივეს, დამკვეთსაც და აუდიტორსაც, აინტერესებს, რომ აუდიტორმა გაგზავნოს ვარიგების წერილი, რომელიც დოკუმენტურად ადასტურებს აუდიტორის თანხმობას მისი კანდიდატურის დანიშვნაზე. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 210–, „აუდიტის ჩატარების პირობები“ აუდიტორს უზრუნველყოფს ამ საკითხთან დაკავშირებული მითითებებით.

7. The engagement letter helps to avoid misunderstanding of the engagement terms, and forms the basis of a relationship between the auditor and client. The form and content of audit engagement letters may vary for each client, but they generally include the following:

7. ვარიგების წერილი საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული ვარიგების პირობებთან დაკავშირებული გაუგებრობები, ასევე ამ წერილით ყალიბდება აუდიტორსა და დამკვეთს შორის ურთიერთობების საფუძველი. აუდიტორული ვარიგების წერილის ფორმა და შინაარსი შესაძლოა განსხვავდებოდეს ცალკეული დამკვეთისათვის, მაგრამ საზოგადოდ მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- The objective of the audit of financial statements.
- Management's responsibility for the financial statements.
- The scope of the audit, including reference to applicable legislation, regulations, or pronouncements of professional bodies to which the auditor adheres.

- ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზანს;
- ფინანსურ ანგარიშგებაზე ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას;
- აუდიტის მასშტაბს, მათ შორის მითითებას შესაფერის საკანონმდებლო და მარეგულირებულ დოკუმენტებზე ან პროფესიული ორგანიზაციის ოფიციალურ დოკუმენტებზე, რომელთაც ემორჩილება აუდიტორი;

- The form of any reports or other communication of results of the engagement.
- The fact that because of the test nature and other inherent limitations of an audit, together with the inherent limitations of any accounting and internal control system, there is an unavoidable risk that some material misstatement may remain undiscovered.
- Access to whatever records, documentation and other information requested in connection with the audit.

There may be other matters to be included in the engagement letter; there are illustrations in ISA 210 “Terms of Audit Engagements” together with an example of such a letter.

8. Because agreement on the terms of the engagement and the extent of the auditor’s responsibility are important, the auditor would normally request that an appropriate client representative confirm the terms by acknowledging receipt of the engagement letter.

9. On recurring audits the auditor may decide not to send a new engage-

- დასკვნის ან გარიგების შედეგების ამსახველი ნებისმიერი სხვა დოკუმენტის ფორმას;
- იმის აღნიშვნას, რომ აუდიტის ტესტური ხასიათისა და აუდიტის სხვა თანდაყოლილი შემლუღების გამო, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის ნებისმიერი სისტემების თანდაყოლილი შემლუღების გამო, არსებობს გარდაუვალი რისკი იმისა, რომ აღმოუჩენელი დარჩება არსებითი უზუსტობების გარკვეული ნაწილი;
- იმის აღნიშვნას, რომ აუდიტთან დაკავშირებული და აუდიტორის მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი ჩანაწერები, დოკუმენტაცია და სხვა ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იქნეს.

შესაძლოა საჭირო იყოს გარიგების წერილში სხვა საკითხების ჩართვა. საილუსტრაციო მასალა წერილის ნიმუშთან ერთად მოცემულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტში 210 – ‘აუდიტის ჩაგარების პირობები’.

8. რადგან გარიგების პირობებზე შეთანხმება და აუდიტორის პასუხისმგებლობის მასშტაბი ასე მნიშვნელოვანია, აუდიტორმა ჩვეულებრივ უნდა მოითხოვოს, რომ დამკვეთის შესაბამისმა წარმომადგენელმა გარიგების პირობებზე დასტურის ნიშნად აცნობოს წერილის მიღების შესახებ.

9. განმეორებითი აუდიტის დროს აუდიტორმა შესაძლოა გადაწყვიტოს,

ment letter each period. It may be appropriate to remind the client of the original letter when the auditor decides a new engagement letter is unnecessary.

არ გაგზავნოს ახალი გარიგების წერილი ყოველი ახალი პერიოდისათვის. თუ აუდიტორი გადაწყვეტს, რომ ახალი გარიგების წერილის გაგზავნა არ არის აუცილებელი, შესაძლოა უკეთესი იყოს დამკვეთისათვის თავდაპირველი წერილის შესხენება.

Management Representations

ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ოფიციალური ინფორმაცია

10. The ISA 580 “Management Representations” contains the standards and professional guidance dealing with management representations.

10. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 580 – “ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ოფიციალური ინფორმაცია” მოიცავს სტანდარტებსა და მითითებებს ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ოფიციალური ინფორმაციის თაობაზე.

11. A management representation letter can provide:

11. ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი ოფიციალური ინფორმაცია უნდა უზრუნველყოფდეს

- Evidence that management acknowledges its responsibility for the fair presentation of the financial statements in accordance with the relevant financial reporting framework, and has approved such financial statements.

- მტკიცებულებას იმის შესახებ, რომ ხელმძღვანელობა აცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურულ საფუძვლებთან შესაბამისობაში; რომ ამგვარად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ;

- Written confirmation by management of significant representations made during the course of the audit, thus reducing the possibility of misunderstanding of oral representations made to the auditor.

- აუდიტის მსვლელობისას ხელმძღვანელობის მიერ მნიშვნელოვანი ინფორმაციის წარდგენას წერილობით, რაც ამცირებს იმის შესაძლებლობას, რომ არასწორად იქნეს გაგებული ხელმძღვანელობის მექიარად

- Written audit evidence when management representations would be the only evidence the auditor could reasonably be expected to obtain (for example, to corroborate management intention to hold a specific investment for long-term appreciation).

წარდგენილი მასალები;

- წერილობით აუდიტორულ მტკიცებულებებს, როდესაც ხელმძღვანელობის მიერ წარდგენილი მასალები იქნება ერთადერთი მტკიცებულება, რის მოპოვებასაც ვარაუდობს აუდიტორი (მაგალითად, იმისათვის, რომ დაასაბუთოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება – შეინარჩუნოს გარკვეული ინვესტიციები დიდი ხნით მისი ღირებულების ზრდის მიზნით).

Communications With Management During the Audit

ურთიერთობა ხელმძღვანელობასთან აუდიტის პროცესში

12. During the audit, the auditor will wish to discuss with management various matters including the following:

12. აუდიტის მსვლელობისას აუდიტორს სურვილი უნდა ჰქონდეს გაესაუბროს ხელმძღვანელობას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. ეს საკითხებია:

- an understanding of the business;
- the audit plan;
- the effect of new legislation or professional standards on the audit;
- information necessary for audit risk assessments;
- explanations, evidence and representations from management or from a lower level in the organization;
- any observations and suggestions

- სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის გაცნობა;
- აუდიტის გეგმა;
- ახალი კანონმდებლობის ან პროფესიული სტანდარტების გაელენა აუდიტზე;
- აუდიტორული რისკის შეფასებისათვის აუცილებელი ინფორმაცია;
- ხელმძღვანელობის ან ორგანიზაციული სტრუქტურის უფრო დაბალი დონეების მიერ წარდგენილი ახსნა-განმარტებები, მტკიცებულებები და სხვა ოფიციალური ინფორმაცია;
- აუდიტიდან გამომდინარე ნების-

arising from the audit on such matters as operational or administrative efficiencies, business strategies and other items of interest; and

- unaudited information management is intending to publish with the audited financial statements which the auditor considers is inconsistent or appears to be misleading.

13. Such discussions are normally conducted during audit visits to the client, but may take place at other times.
14. When discussions are held for the purpose of obtaining audit evidence, the auditor needs to identify carefully the most appropriate person from whom to obtain audit evidence.
15. All important discussions with management should be documented in the auditor's working papers. Such documentation would include explanations and representations regarding material transactions.

მიერი დაკვირვებები და წინადადებები ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა ოპერაციული და ადმინისტრაციული მართვის ეფექტიანობა, ბიზნესის სტრატეგია და სხვა საინტერესო საკითხები და

- არასააუდიტო ინფორმაცია, რომლის გამოქვეყნებასაც ხელმძღვანელობა აპირებს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად და რომელსაც აუდიტორი მიიჩნევს შეუსაბამოდ ან მცდარ ინფორმაციად.

13. ასეთი დისკუსიები ჩვეულებრივ გარდება აუდიტთან დაკავშირებული ვიზიტების დროს დამკვეთთან, მაგრამ ასევე შესაძლოა ჩატარდეს სხვა დროსაც.
14. როდესაც დისკუსიები გარდება აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების მიზნით, აუდიტორმა ფრთხილად და ყურადღებით უნდა განსაზღვროს ყველაზე უფრო შესაფერისი პირი, რომლისგანაც მოიპოვებს აუდიტორულ მტკიცებულებებს.
15. ხელმძღვანელობასთან ჩატარებული ყველა მნიშვნელოვანი დისკუსია დოკუმენტურად უნდა აისახოს აუდიტორის სამუშაო დოკუმენტებში. ამგვარი დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს ხელმძღვანელობის ახსნა-განმარტებებსა და სხვა ოფიციალურ ინფორმაციას არსებული ოპერაციების შესახებ.

Communications With Management at the End of the Audit

ურთიეროზა ხელმძღვანელოზასთან აუდიტის დამთავრებისას

16. At the end of the audit the auditor will need to discuss with management matters such as:

16. აუდიტის დამთავრებისას აუდიტორმა ხელმძღვანელოზასთან ერთად უნდა განიხილოს ისეთი საკითხები, როგორცაა:

- any practical difficulties encountered in performing the audit;
 - any disagreements with management relating to the financial statements;
 - significant audit adjustments whether or not reflected in the financial statements;
 - significant concerns or problems relating to accounting policies and the disclosure of items in the financial statements that might lead to a modification of the audit report;
 - any irregularities or suspected non-compliance with laws and regulations which came to the attention of the auditor;
 - significant risks or exposures faced by the entity such as matters that have the potential to jeopardize the ability of the entity to continue as a going concern; and
- ნებისმიერი პრაქტიკული სიძნელეები, რომელიც აუდიტორს შეხვედა აუდიტის დროს;
 - ნებისმიერი უთანხმოება ხელმძღვანელოზასთან ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით;
 - აისახა თუ არა ფინანსურ ანგარიშგებაში მნიშვნელოვანი აუდიტორული შესწორებები;
 - ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პრობლემები ან სიძნელები, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების ისეთი მუხლების ახსნა-განმარტება, რომელთაც შესაძლოა გამოიწვიონ აუდიტორული დასკვნის მოდიფიკაცია;
 - ნებისმიერი არასწორი ან საეჭვო შეუსაბამობა მოქმედ კანონმდებლობასთან, რამაც მიიქცია აუდიტორის ყურადღება;
 - მნიშვნელოვანი რისკები ან დაქვემდებარება რისკებისადმი, რაც სამეურნეო სუბიექტთან არის დაკავშირებული და რამაც პოტენციურად შეიძლება შექმნას იმის საფრთხე, რომ სამეურნეო სუბიექტმა ვერ გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონ-

- recommendations (for example, regarding internal control matters) that the auditor wishes to make as a result of the audit.

17. The auditor needs to communicate such matters to the appropriate level of management. The communication may be oral or written. If the communication is oral, the auditor documents communication in the working papers.

18. A specific meeting will usually take place at the end of the audit with the Board of Directors, audit committee or other senior management.

Communications on Internal Control

19. Recommendations regarding internal control are a byproduct of the financial statement audit, not a primary objective, but nonetheless should be of value to a client. The auditor needs to make management aware, on a timely basis, of material weaknesses in the design or operation of the accounting and internal control systems which have come to the auditor's attention.

20. When an auditor prepares a written communication on internal control matters, it is suggested that the

ირებალა საწარმოში;

- რეკომენდაციები (მაგალითად შიდა კონტროლის საკითხებთან დაკავშირებით), რაც აუდიტორს სურს აუდიტის შედეგად შესთავაზოს ხელმძღვანელობას.

17. აუდიტორმა ასეთი საკითხები უნდა გააცნოს ხელმძღვანელობის შესაბამის დონეს. ამის გაკეთება შესაძლებელია წერილობით ან გეპირად. თუკი აუდიტორი რეკომენდაციებს გეპირად იძლევა, აუდიტორმა ისინი უნდა ასახოს თავის სამუშაო დოკუმენტებში.

18. ჩვეულებრივ დირექტორთა საბჭოსთან, აუდიტის კომიტეტთან ან ხელმძღვანელობის სხვა უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან სპეციალური შეხვედრა ინიშნება აუდიტის ბოლოს.

ინფორმაცია შიდა კონტროლის შესახებ

19. შიდა კონტროლის შესახებ რეკომენდაციები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის თანაპროდუქტია, იგი არ წარმოადგენს პირველად მიზანს, მაგრამ მიუხედავად ამისა მნიშვნელოვანია დამკვეთისათვის. აუდიტორმა დროულად უნდა აცნობოს ხელმძღვანელობას ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სტრუქტურის ან ფუნქციონირების იმ არსებითი ნაკლოვანებების შესახებ, რომელთაც მიიქცეის მისი ყურადღება.

20. როდესაც აუდიტორი ამზადებს წერილობით ცნობას, ინფორმაციას შიდა კონტროლის საკითხ-

communication:

- not include language that has the effect of being in conflict with the opinion expressed in the audit report;
- state that the accounting and internal control systems were considered only to the extent necessary to determine the auditing procedures to report on the financial statements and not to determine the adequacy of internal control for management purposes or to provide assurances on the accounting and internal control systems;
- state that it discusses only weaknesses in internal control which have come to the auditor's attention as a result of the audit and that other weaknesses in internal control may exist; and
- include a statement that the communication is provided for use only by management (or another specific named party).

21. After the above items and the auditor's suggestions for corrective action are communicated to management, the auditor usually ascer-

ებთან დაკავშირებით, სასურველია რომ ამ ინფორმაციაში

- არ იყოს ჩართული ისეთი ფრაზები, რომლებიც შექმნიან ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ეს ინფორმაცია ეწინააღმდეგება აუდიტორის მოსაზრებას, დასკვნას;
- აღინიშნოს, რომ ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემები განხილული იყო მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საჭირო იყო აუდიტორული პროცედურების განსასაზღვრად ფინანსურ ანგარიშგებაზე დასკვნის დაწერის დროს და არა შიდა კონტროლის ადეკვატურობის დასადგენად მენეჯერული მიზნებისათვის ან ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემებზე გარანტიის (რწმუნების) უზრუნველსაყოფად;
- აღინიშნოს, რომ ამ დოკუმენტში განხილულია მხოლოდ შიდა კონტროლის ის ნაკლოვანებები, რომელთაც მიიქცეის აუდიტორის ყურადღება აუდიტის დროს; რომ შესაძლოა არსებობდეს შიდა კონტროლის სისტემის სხვა ნაკლოვანებებიც და
- აღინიშნოს, რომ ეს წერილობითი დოკუმენტი მხოლოდ ხელმძღვანელობისთვის არის განკუთვნილი (ან უნდა დასახელებდეს კონკრეტულად სხვა მესამე მხარე).

21. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილისა და ხელმძღვანელობისათვის შეთავაზებული მაკორექტირებელი ღონისძიებების წარდგენის

tains the actions taken, including the reasons for those suggestions rejected. The auditor may encourage management to respond to the auditor's comments in which case any response can be included in the report.

შემდეგ აუდიტორი ჩვეულებრივ ეცნობა, რა ზომები იქნა მიღებული ხელმძღვანელობის მიერ; ეცნობა იმ მიზეზებსაც, რის გამოც ხელმძღვანელობამ უარი თქვა მისი წინადადებების მიღებაზე. შესაძლებელია აუდიტორმა მხარი დაუჭიროს ხელმძღვანელობას მის მიერ მიცემულ შენიშვნებზე რეაგირებისათვის, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი პასუხი შეიძლება ჩართული იყოს ანგარიშში.

22. The significance of findings relating to the accounting and internal control systems may change with the passage of time. Suggestions from previous years audits which have not been adopted, if any, should normally be repeated or referred to.

22. ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემებში აღმოჩენილი ფაქტების მნიშვნელობა შესაძლოა შეიცვალოს გარკვეული დროის შემდეგ, წინა წლების აუდიტთან დაკავშირებული წინადადებები, რომლებიც არ იქნა გამოიარებული (თუკი ასეთს საერთოდ ჰქონდა აღვილი), ჩვეულებრივ უნდა განმეორდეს ან გაკეთდეს სათანადო ციტირება.

23. Communication with management by the auditor regarding internal control, or any other matter, does not remove the need for the auditor to consider any effect on the financial statements or the audit, nor is it an adequate substitute for an emphasis of matter or qualification.

23. აუდიტორის ურთიერთობა ხელმძღვანელობასთან შიდა კონტროლის თაობაზე ან სხვა საკითხებთან დაკავშირებით არ გამოირიცხავს იმის საჭიროებას, რომ აუდიტორმა გაითვალისწინოს მათი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტზე, არც იმას ნიშნავს, რომ ეს არის რომელიმე საკითხზე ყურადღების გამახვილების ან აუდიტორის დასკვნის პირობითობის აღკვეთური შემცველი.

CONTENTS

შინაარსი

	Paragraphs		პუნქტები
Introduction	1	შესავალი	1
Organizational Structure	2	ორგანიზაციული სტრუქტურა ..	2
Nature of Processing	3	მონაცემთა დამუშავების პროცესი	3
Design and Procedural Aspects	4	საპროექტო და პროცედურული ასპექტები	4
Internal Controls in a CIS Environment	5	შიდა კონტროლი კსს გარემოში	5
General CIS Controls	6-7	კსს საერთო კონტროლი	6-7
CIS Application Controls	8	კსს გამოყენებითი კონტროლი	8
Review of General CIS Controls	9	კსს საერთო კონტროლის მიმოხილვა	9
Review of CIS Application Controls	10	კსს გამოყენებითი კონტროლის მიმოხილვა	10
Evaluation	11	შეფასება	11

The International Auditing Practices Committee approved this International Auditing Practice Statement for publication in October 1991.

წინამდებარე აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის დებულება აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის კომიტეტმა დაამტკიცა 1991 წლის ოქტომბერში.

The auditor should understand and consider the characteristics of the CIS environment because they affect the design of the accounting system and related internal controls, the selection of internal controls upon which the auditor intends to rely, and the nature, timing and extent of the procedures.

This Statement is issued as a supplement to ISA 400 “Risk Assessments and Internal control.” It does not form a part of the ISA, and is not intended to have the authority of an ISA.

აუდიტორი უნდა იცნობდეს და ითვალისწინებდეს კსს გარემოს მახასიათებლებს, რადგან ისინი გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვისა და შესაბამისი შიდა კონტროლის მეთოდებზე, შიდა კონტროლის მეთოდების შერჩევაზე, რომლებსაც უნდა დაეყრდნოს იგი, აგრეთვე აუდიტორული პროცედურების ხასიათზე, ვადებსა და მოცულობაზე.

აღნიშნული დებულება გამოცემულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტ 400-ის – ‘რისკის შეფასება და შიდა კონტროლი’ შეესების მიზნით. იგი არ წარმოადგენს აღნიშნული სტანდარტის ნაწილს და არ არის გამიზნული იმისათვის, რომ სარგებლობდეს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის უფლებამოსილებით.

Introduction

1. A computer information systems (CIS)³ environment is defined in International Standard on Auditing (ISA) 401 “Auditing in a Computer Information Systems Environment,” as follows:

For purposes of International Standards on Auditing, a CIS environment exists when a computer of any type or size is involved in the processing by the entity of financial information of significance to the audit, whether that computer is operated by the entity or by a third party.

The introduction of all desired CIS controls may not be practicable when the size of the business is small or when microcomputers are used irrespective of the size of the business. Also, where data is processed by a third party, the consideration of the CIS environment characteristics may vary depending on the degree of access to third party processing. A series of International Auditing Practice Statements has been developed to supplement the follow-

შესავალი

1. კომპიუტერული საინფორმაციო სისტემების (კსს)³ გარემო განმარტებულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტ 401-ში — „აუდიტი კომპიუტერული საინფორმაციო სისტემის გარემოში“ შემდეგნაირად:

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიზნებიდან გამომდინარე, კსს გარემო არსებობს მაშინ, როდესაც გამოიყენება რომელიმე გიპის ან ზომის კომპიუტერი სამეურნეო სუბიექტის ისეთი ფინანსური ინფორმაციის დასამუშავებლად, რომელიც მნიშვნელოვანია აუდიტისათვის, მიუხედავად იმისა, ვინ მართავს კომპიუტერს — თვით სამეურნეო სუბიექტი თუ მესამე მხარე.

მცირე საწარმოში ან როდესაც მიკრო კომპიუტერები გამოიყენება სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის მასშტაბების გაუთვალისწინებლად, კსს კონტროლის ყველა სასურველი მეთოდის დანერგვა შესაძლოა ვერ მოხერხდეს ასევე იქ სადაც მონაცემების დამუშავებას მესამე მხარე ახორციელებს, კსს გარემოს მახასიათებლების გათვალისწინება შესაძლოა სხვადასხვანაირად ხდებოდეს და დამოკიდებული იყოს ინფორმაციის დამუშავებაზე მესამე

³ This term is used throughout this Statement in place of electronic data processing (EDP) used in prior Statement “Risk Assessments and Internal Control—EDP Characteristics and Considerations.”

³ ეს ტერმინი გამოყენებულია მთელი დოკუმენტის მანძილზე ელექტრონული დამუშავების ტერმინის ნაცვლად, რომელიც გამოიყენებოდა წინა დებულებაში — ‘რისკის შეფასება და შიდა კონტროლი — მონაცემთა ელექტრონული დამუშავების მახასიათებლები და განხილვა’.

ing paragraphs. This series describes various CIS environments and their effect on the accounting and internal control systems and on auditing procedures.

Organizational Structure

2. In a CIS environment, an entity will establish an organizational structure and procedures to manage the CIS activities. Characteristics of a CIS organizational structure include:

- a. *Concentration of functions and knowledge*—although most systems employing CIS methods will include certain manual operations, generally the number of persons involved in the processing of financial information is significantly reduced. Furthermore, certain data processing personnel may be the only ones with a detailed knowledge of the interrelationship between the source of data, how it is processed and the distribution and use of the output. It is also likely that they are aware of any internal control weaknesses and, therefore, may be in a position to alter programs or data while stored or during processing. Moreover, many conventional controls based on adequate segregation of incom-

მე მხარის დაშვების ნებართვის დონეზე. აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის რიგი დებულებები განვითარებულია და საფუძვლად უდევს მოცემული დებულების შემდეგ პუნქტებს. ამ დებულებებში აღწერილია სხვადასხვა ტიპის კსს გარემო და მათი გაელენა ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემებზე, აგრეთვე აუდიტორულ პროცედურებზე.

ორგანიზაციული სტრუქტურა

2. ნებისმიერ კსს გარემოში სამეურნეო სუბიექტი უნდა აყალიბებდეს ორგანიზაციულ სტრუქტურასა და პროცედურებს კსსს ფუნქციონირების მართვისთვის. კსს ორგანიზაციული სტრუქტურის მახასიათებლები მოიცავს:

- ა. *კონცნისა და ფუნქციების კონცენტრაციას*— მიუხედავად იმისა, რომ ისეთი სისტემების უმრავლესობა, რომლებიც იყენებენ კსს მეთოდებს, შეიძლება შეიცავდნენ გარკვეულ მანუალურ ოპერაციებს. საზოგადოდ, ასეთ სისტემებში ფინანსური ინფორმაციის დამუშავების პროცესში დასაქმებულია რიცხვი გაცილებით მცირეა. გარდა ამისა, მხოლოდ მონაცემთა დამუშავებაში ჩართული პერსონალისთვის შეიძლება იყოს ცნობილი დეტალურად პირველად მონაცემებს შორის ურთიერთკავშირი, როგორც მუშავდება ეს მონაცემები და როგორ ნაწილდება და გამოიყენება საბოლოო (საშუალო) ინფორმაცია. ასევე საეარაულოა, რომ მათთვის ცნობილია შიდა

patible functions may not exist, or in the absence of access and other controls, may be less effective.

კონტროლის სისტემის ნაკლოვანებებიც და ამიგომ შეიძლება შეეძლოს კიდევ პროგრამებისა და მონაცემების შეცვლა მათ შენახვამდე ან დამუშავების პროცესში. უფრო მეტიც, ჩვეულებრივი კონტროლის მრავალი მეთოდი, რომელიც ეყრდნობა შეუთავსებადი ფუნქციების აღკვეთს და აწილებს, შესაძლოა საერთოდ არ არსებობდეს ან ნაკლებად ეფექტური იყოს მონაცემებით სარგებლობაზე კონტროლის ან სხვა სახის კონტროლის არ არსებობის გამო;

b. *Concentration of programs and data*—transaction and master file data are often concentrated, usually in machine-readable form, either in one computer installation located centrally or in a number of installations distributed throughout an entity. Computer programs which provide the ability to obtain access to and alter such data are likely to be stored at the same location as the data. Therefore, in the absence of appropriate controls, there is an increased potential for unauthorized access to, and alteration of, programs and data.

ბ. *პროგრამებისა და მონაცემების კონცენტრაციას* – ოპერაცია და მთავარი ფაილის მონაცემები ხშირად კონცენტრირებულია (ჩვეულებრივ მხოლოდ მანქანურად საკითხავი ფორმით) ერთ ცენტრალურ კომპიუტერულ დანადგარში ან გადანაწილებულია სამეურნეო სუბიექტში არსებულ რამდენიმე ასეთ დანადგარში. კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც მონაცემებით სარგებლობისა და მათი შეცვლის საშუალებას იძლევიან, ჩვეულებრივ იქვე ინახება, სადაც მონაცემები. ამგვარად, სათანადო კონტროლის გარეშე გაიზრდება პროგრამებისა და მონაცემებისადმი უნებართვო მიმართვისა და მათი შეცვლის შესაძლებლობები.

Nature of Processing

მონაცემთა დამუშავების პროცესი

3. The use of computers may result in the design of systems that provide

3. კომპიუტერების გამოყენებით შესაძლებელია ისეთი სისტემების შე-

less visible evidence than those using manual procedures. In addition, these systems may be accessible by a larger number of persons. System characteristics that may result from the nature of CIS processing include:

- a. *Absence of input documents*—data may be entered directly into the computer system without supporting documents. In some on-line transaction systems, written evidence of individual data entry authorization (e.g., approval for order entry) may be replaced by other procedures, such as authorization controls contained in computer programs (e.g., credit limit approval).

- b. *Lack of visible transaction trail*—certain data may be maintained on computer files only. In a manual system, it is normally possible to follow a transaction through the system by examining source documents, books of account, records, files and reports. In a CIS environment, however, the transaction trail may be partly in machine-readable form, and furthermore it may exist only for a limited period of time.

ქმნა, რომლებიც, მანუალური პროცედურებისაგან განსხვავებით, შეამცირებენ ვიზუალურ მტკიცებულებებს. გარდა ამისა, ეს სისტემები შესაძლოა ხელმისაწვდომი იყოს მრავალი პიროვნებისთვის. კსს დამუშავების პროცესზე გავლენას ახდენენ სისტემის შემდეგი მახასიათებლები:

- a. *სისტემაში შესატანი დოკუმენტაციის არქონა* — მონაცემების შეტანა კომპიუტერულ სისტემაში ხდება პირდაპირ, დამატატურებელი დოკუმენტაციის გარეშე. ზოგიერთ ოპერატიულ რეჟიმში მომუშავე საოპერაციო სისტემაში ინდივიდუალური მონაცემების შეტანის წერილობითი ნებართვა (მაგალითად, შეკვეთის შეტანის დადასტურება) შესაძლოა შეიცვალოს სხვა პროცედურებით, მაგალითად, კომპიუტერულ პროგრამებში დაპროგრამებული ნებართვის კონტროლის მეთოდებით (მაგალითად, კრედიტის ლიმიტის დადასტურება);

- b. *ოპერაციის ვიზუალური კეალის არქონა*— ზოგიერთი მონაცემების დამუშავება მხოლოდ კომპიუტერული ფაილების მეშვეობით არის შესაძლებელი. მანუალურ სისტემაში, როგორც წესი, შესაძლებელია ოპერაციის თვალყურის დევნება სისტემის მეშვეობით პირველადი დოკუმენტების, ბუღალტრული დავითრების, ჩანაწერების, მონაცემთა მასივებისა და შედგენილი საბოლოო ანგარიშების შემოწმების საფუძველზე. მიუხედავად ამისა, კსს

c. *Lack of visible output*—certain transactions or results of processing may not be printed. In a manual system, and in some CIS, it is normally possible to examine visually the results of processing. In other CIS, the results of processing may not be printed, or only summary data may be printed. Thus, the lack of visible output may result in the need to access data retained on files readable only by the computer.

d. *Ease of access to data and computer programs*—data and computer programs may be accessed and altered at the computer or through the use of computer equipment at remote locations. Therefore, in the absence of appropriate controls, there is an increased potential for unauthorized access to, and alteration of, data and programs by persons inside or outside the entity.

გარემოში ოპერაციის კვალი შესაძლოა ნაწილობრივ მანქანურად იკითხებოდეს და ამიგომ ეს კვალი შესაძლოა მხოლოდ დროის შეშლულ პერიოდში არსებობდეს;

გ. *ვიზუალური შედეგის არქონა* — მოციერთი ოპერაცია ან მონაცემთა დამუშავების შედეგები შესაძლოა არ გამოიბეჭდოს. მანუალურ სისტემაში და მოციერთ კომპიუტერულ საინფორმაციო სისტემებში შესაძლებელია ოპერაციების დამუშავების შედეგების ვიზუალური შემოწმება. მოციერთ კსს-ში შედეგები შესაძლოა არ გამოიბეჭდოს ან მხოლოდ საბოლოო, მუხაჯამბული მონაცემები, გამოიბეჭდოს. ამგვარად, ვიზუალური შედეგის უქონლობის გამო შესაძლოა საჭირო გახდეს ფაილებში არსებული მონაცემებისადმი მიმართვა, რომლებიც მხოლოდ კომპიუტერზე წაიკითხება;

დ. *მონაცემებისა და კომპიუტერული პროგრამებისადმი მიმართვის თავისუფლება* — მონაცემებითა და კომპიუტერული პროგრამებით სარგებლობა და მათი შეცვლა შესაძლებელია თვითონ მოცემულ კომპიუტერზე ან სხვა ადგილას განთავსებული კომპიუტერული მოწყობილობის მეშვეობით. ამიგომ, თუ არ იარსებებს სათანადო კონტროლი, გაიზრდება მონაცემებითა და პროგრამებით უნებართვო სარგებლობისა და შეცვლის შესაძლებლობები სამეურნეო სუბიექტის პერსონალისა თუ სხვა გარეშე პირთათვის.

Design and Procedural Aspects

საპროექტო და პროცედურული ასპექტები

4. The development of CIS will generally result in design and procedural characteristics that are different from those found in manual systems. These different design and procedural aspects of CIS include:

4. სამოგადლო კის-ის დამუშავება შედეგად მოგვცემს ისეთ საპროექტო და პროცედურულ მახასიათებლებს, რომლებიც განსხვავდება მანუალური სისტემის მახასიათებლებიდან. კის განსხვავებული საპროექტო და პროცედურული ასპექტები მოიცავს

a. *Consistency of performance*—CIS perform functions exactly as programmed and are potentially more reliable than manual systems, provided that all transaction types and conditions that could occur are anticipated and incorporated into the system. On the other hand, a computer program that is not correctly programmed and tested may consistently process transactions or other data erroneously.

ა. *შესრულების ლოგიკურობა*— კის თავის ფუნქციებს ზუსტად ისე ასრულებს, როგორც დაპროგრამებულია და პოტენციურად უფრო საიმედოა მანუალურ სისტემასთან შედარებით, რადგან ყველა გიჰის ოპერაცია და პირობები (რომელთა არსებობაც შესაძლებელია) წინასწარ განჭვრეტილია და ჩადებულია სისტემაში. მეორე მხრივ, არასწორად დაპროგრამებულმა და ტესტირებულმა კომპიუტერულმა პროგრამამ შესაძლოა ოპერაციები და მონაცემები შედმივად არასწორად აწარმოოს და დაამუშაოს;

b. *Programmed control procedures*—the nature of computer processing allows the design of internal control procedures in computer programs. These procedures can be designed to provide controls with limited visibility (e.g., protection of data against unauthorized access may be provided by passwords). Other procedures can be designed for use with manual intervention, such as review of reports printed for exception and error reporting, and reasonableness

ბ. *დაპროგრამებულ კონტროლის პროცედურები*— კომპიუტერული პროცესები თავისი ხასიათით იმის საშუალებას იძლევა, რომ შიდა კონტროლის პროცედურები კომპიუტერულ პროგრამებში დაპროექტდეს. ეს პროცედურები შეიძლება ისე დაპროექტდეს, რომ კონტროლის ვიზუალურობა შეზღუდული იყოს (მაგალითად, მონაცემების დაცვა უნებართვო სარგებლობისგან შესაძლოა განხორციელდეს პაროლების საშუალებით). სხვა პროცედურე

and limit checks of data.

ბი შეიძლება დაპროექტებული და განკუთვნილი იყოს მანუალური ჩარევისთვის, როგორცაა, მაგალითად: სადაო ან მცდარი საბოლოო ანგარიშების მიმოხილვა, აგრეთვე მონაცემების მართვულობისა და ლიმიტების შემოწმება;

c. Single transaction update of multiple or data base computer files—a single input to the accounting system may automatically update all records associated with the transaction (e.g., shipment of goods documents may update the sales and customers' accounts receivable files as well as the inventory file). Thus, an erroneous entry in such a system may create errors in various financial accounts.

გ. ისეთ შემთხვევებს, როდესაც ერთი ოპერაცია იწვევს მრავალჯერად ცვლილებებს ან მონაცემთა ბაზის კომპიუტერული ფაილების შეცვლას – ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში ერთი ოპერაციის შეგანით შესაძლოა ავტომატურად შეიცვალოს ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ყველა ჩანაწერი (მაგალითად, საქონლის გაგზავნის დოკუმენტაციამ შესაძლოა შეცვალოს რეალიზაციის ოპერაციები და მომხმარებლების (შემკვეთების) მოთხოვნების ბუღალტრული ანგარიშების ფაილებიც, ასევე სასაქონლო-მაგერიალური მარაგის ფაილიც). ამგვარად, ასეთ სისტემაში არასწორად შეგანილმა ინფორმაციამ შეიძლება გამოიწვიოს შეცდომები სხვადასხვა ფინანსურ ანგარიშებში;

d. Systems generated transactions—certain transactions may be initiated by the CIS itself without the need for an input document. The authorization of such transactions may not be evidenced by visible input documentation nor documented in the same way as transactions which are initiated outside the CIS (e.g., interest may be calculated and charged automatically

დ. სისტემის მიერ გენერირებულ ოპერაციებს – გარკვეული ოპერაციები შესაძლოა დაიწყოს თვითონ სსს-მ შემავალი დოკუმენტის გარეშე. ამგვარ ოპერაციებზე ნებართვის დადასტურება ვიზუალური დოკუმენტაციით შეიძლება არ ხდებოდეს სისტემაში და შესაძლოა არც ისე იყოს დოკუმენტურად გაფორმებული, როგორც ხდება ოპერაციების

to customers' account balances on the basis of pre-authorized terms contained in a computer program).

დაწყება კს გარეთ (მაგალითად, შესაძლოა მოხდეს პროცენტის გაანგარიშება და ის ავტომატურად დაერიცხოს მომხმარებლის ანგარიშთა ნაშთებს წინასწარ დადგენილი პირობებით, რომლებიც ჩადებულია კომპიუტერულ პროგრამაში);

e. *Vulnerability of data and program storage media*—large volumes of data and the computer programs used to process such data may be stored on portable or fixed storage media, such as magnetic disks and tapes. These media are vulnerable to theft, loss, or intentional or accidental destruction.

ე. *შემთხვევებს, როდესაც ადვილი აქვს მონაცემებისა და პროგრამების შენახველი მოწყობილობების სისუსტეს*— დამუშავების პროცესში გამოიყენება დიდი მოცულობის მონაცემები და კომპიუტერული პროგრამები. ამგვარი მონაცემების შენახვა ხდება პორტატულ ან ჩადგმულ შენახველ საშუალებებში, როგორცაა, მაგალითად, მაგნიტური დისკები და ფერომაგნიტური ლენტები. აღნიშნული სისტემები მგრძობიარეა ქურდობის, დაკარგვის და განზრახ თუ უნებლიე დაზიანების მიმართ.

Internal Controls in a CIS Environment

შიდა კონტროლი კს გარემოში

5. The internal controls over computer processing, which help to achieve the overall objectives of internal control, include both manual procedures and procedures designed into computer programs. Such manual and computer control procedures comprise the overall controls affecting the CIS environment (general CIS controls) and the specific controls over the accounting applications (CIS application controls).

5. შიდა კონტროლი კომპიუტერული დამუშავების პროცესებზე, რაც შიდა კონტროლის საერთო მიზნების მიღწევას ემსახურება, მოიცავს როგორც მანუალურ პროცედურებს, ისე კომპიუტერულ პროგრამებში დაპროექტებულ პროცედურებსაც. ამგვარი მანუალური და კომპიუტერული კონტროლი, ორივე ერთად გულისხმობს კს გარემოს საერთო კონტროლს, რომელზეც გავლენას ახდენს კს გარემო და სპეციფიკურ კონტროლს ბუღალტრულ გამოყენებით პროგრამებზე (კს გამოყენებით კონტროლს).

General CIS Controls

კეს საერთო კონტროლი

6. The purpose of general CIS controls is to establish a framework of overall control over the CIS activities and to provide a reasonable level of assurance that the overall objectives of internal control are achieved. General CIS controls may include:

6. კეს საერთო კონტროლის მიზანია კეს მუშაობაზე ყოველსომომცემელი კონტროლისთვის საზღვრების დაწესება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს იმის დასაბუთებული გარანტია, რომ შიდა კონტროლის საყოველთაო, მოგადი მიზნები მიღწეულია. კეს საერთო კონტროლი შეიძლება მოიცავდეს:

a. *Organization and management controls*—designed to establish an organizational framework over CIS activities, including:

ა. *ორგანიზაციულ და მმართველობით კონტროლს* – რომლის მიზანია კეს საქმიანობაზე ორგანიზაციული საზღვრების დაწესება, მათ შორის:

- Policies and procedures relating to control functions.
- Appropriate segregation of incompatible functions (e.g., preparation of input transactions, programming and computer operations).

- კონტროლის ფუნქციებთან დაკავშირებულ პოლიტიკასა და პროცედურებზე;
- შეუთავსებადი ფუნქციების შესაფერის დანაწილებაზე (მაგალითად: სისგემაში შესატანი ოპერაციების მომზადება, დაპროგრამება და კომპიუტერული ოპერაციები).

b. *Application systems development and maintenance controls*—designed to provide reasonable assurance that systems are developed and maintained in an authorized and efficient manner. They also typically are designed to establish control over:

ბ. *კონტროლს გამოყენებითი სისტემების შექმნასა და ფუნქციონირებაზე* – უზრუნველყოფს იმის დასაბუთებულ გარანტიას, რომ ამ სისტემების დამუშავება და ფუნქციონირება სათანადო ნებართვის საფუძველზე და კვალიფიციურად ხორციელდება. როგორც წესი, ეს სისტემები შექმნილია იმ მიზნითაც, რომ განხორციელდეს კონტროლი

- Testing, conversion, implementation and documentation of new or revised systems.

- ახალი ან მოდერნიზებული სისტემების ტესტირებაზე, ცვლილებებზე, მათ დანერგვასა

- Changes to application systems.
 - Access to systems documentation.
 - Acquisition of application systems from third parties.
- c. *Computer operation controls*—designed to control the operation of the systems and to provide reasonable assurance that:
- The systems are used for authorized purposes only.
 - Access to computer operations is restricted to authorized personnel.
 - Only authorized programs are used.
 - Processing errors are detected and corrected.
- d. *Systems software controls*—designed to provide reasonable assurance that system software is acquired or developed in an authorized and efficient manner, including:
- Authorization, approval, testing, implementation and documentation of new systems software and
- და ლოკუმენტაციამზე;
- გამოყენებითი სისტემების ცვლილებებზე;
 - სისტემის ლოკუმენტაციით სარგებლობის უფლებებზე;
 - მესამე მხარისაგან გამოყენებითი სისტემების შეძენაზე.
- გ. *ოპერატიულ კომპიუტერულ კონტროლს* – აკონტროლებს სისტემების მუშაობას და უზრუნველყოფს იმის დასაბუთებულ გარანტიას, რომ
- სისტემების გამოყენება ხორციელდება მხოლოდ ნებადართული მიზნებისთვის;
 - კომპიუტერთან მუშაობა მისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი პერსონალისთვის;
 - გამოიყენება მხოლოდ ნებადართული პროგრამები;
 - ინფორმაციის დამუშავების პროცესში დაშვებული შეცდომები გამოვლენილი და შესწორებულია.
- დ. *სისტემების პროგრამულ უზრუნველყოფის კონტროლს* – უზრუნველყოფს იმის დასაბუთებულ გარანტიას, რომ სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა ნაყიდი ან დამუშავებულია სათანადო ნებართვის საფუძველზე და სათანადო დონეზე, მათ შორის ეს ესება
- ახალი სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის ნებართვას, მის დამკვიცებას, ტესტირე

systems software modifications.

- Restriction of access to systems software and documentation to authorized personnel.

e. Data entry and program controls—designed to provide reasonable assurance that:

- An authorization structure is established over transactions being entered into the system.
- Access to data and programs is restricted to authorized personnel.

7. There are other CIS safeguards that contribute to the continuity of CIS processing. These may include:

- Offsite back-up of data and computer programs.
- Recovery procedures for use in the event of theft, loss or intentional or accidental destruction.
- Provision for offsite processing in the event of disaster.

ბას, დანერგვასა და დოკუმენტაციას, აგრეთვე სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის მოდიფიკაციას;

- სისტემის პროგრამული უზრუნველყოფითა და მისი დოკუმენტაციით სარგებლობას, რაც ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი პერსონალისთვის.

ე. მონაცემთა შეტანისა და პროგრამების კონტროლს— უზრუნველყოფს იმის დასაბუთებულ გარანტიას, რომ

- სისტემაში შესატან ოპერაციებზე დაწესებულია ავტორიზებული სტრუქტურა;
- მონაცემებზე და პროგრამებზე ხელი მიუწვდება მხოლოდ უფლებამოსილ პერსონალს.

7. კს სხვა დამცველი საშუალებებიც აქვს, რომლებიც უზრუნველყოფენ კსს დამუშავების პროცესების უწყვეტობასა და მთლიანობას. ეს საშუალებებია:

- სპეციალური კომპიუტერული პროგრამები და მონაცემთა არალოკალური შენახვა;
- პროცედურების აღდგენა კვლავ გამოსაყენებლად ინფორმაციის მოპარვის, დაკარგვის, განზრახ თუ უნებლიე განადგურების შემთხვევაში;
- სისტემის გარე პროცესების უსაფრთხოების ზომები სტიქიური უბედური შემთხვევებისთვის.

CIS Application Controls

კსს გამოყენებითი კონტროლი

8. The purpose of CIS application controls is to establish specific control procedures over the accounting applications in order to provide reasonable assurance that all transactions are authorized and recorded, and are processed completely, accurately and on a timely basis. CIS application controls include:

8. კსს გამოყენებითი კონტროლის მიზანია სპეციფიკური კონტროლის პროცედურების დაწესება კონკრეტულ ბუღალტრულ პროგრამებზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს იმის დასაბუთებული გარანტია, რომ ყველა ოპერაცია ნებადართული და რეგისტრირებულია, აგრეთვე სრულყოფილად, ზუსტად და დროულად არის დამუშავებული. კსს გამოყენებითი კონტროლი მოიცავს

A. Controls over input—designed to provide reasonable assurance that:

ა. კონტროლს სისტემაში ინფორმაციის შეტანაზე – მისი დანიშნულებაა უზრუნველყოს იმის დასაბუთებული გარანტია, რომ

- Transactions are properly authorized before being processed by the computer.
- Transactions are accurately converted into machine readable form and recorded in the computer data files.
- Transactions are not lost, added, duplicated or improperly changed.
- Incorrect transactions are rejected, corrected and, if necessary, resubmitted on a timely basis.

- ოპერაციების კომპიუტერული დამუშავების დაწყებამდე ხდება მათი სათანადო წესით სანქციონირება;
- ზუსტად არის ოპერაციები გარდაქმნილი კომპიუტერული წაკითხვის მიზნებისთვის და ჩაწერილია სათანადო კომპიუტერულ მონაცემთა ფაილებში;
- არ ხდება ოპერაციების დაკარგვა, დამატება, დუბლირება ან მათი არამართებული შეცვლა;
- დროულად ხდება არასწორი ოპერაციების გამოვლენა, შესწორება და, საჭიროების შემთხვევაში, მათი ხელახალი განხილვა.

B. Controls over processing and computer data files—designed to

ბ. კონტროლს ინფორმაციის დამუშავების პროცესებსა და

provide reasonable assurance that:

- Transactions, including system generated transactions, are properly processed by the computer.
- Transactions are not lost, added, duplicated or improperly changed.
- Processing errors are identified and corrected on a timely basis.

C. Controls over output—designed to provide reasonable assurance that:

- Results of processing are accurate.
- Access to output is restricted to authorized personnel.
- Output is provided to appropriate authorized personnel on a timely basis.

Review of General CIS Controls

9. The general CIS controls which the auditor may wish to test are described in paragraph 6. The auditor should consider how these general CIS controls affect the CIS applica-

კომპიუტერულ მონაცემთა ფაილებზე – მისი დანიშნულებაა, უზრუნველყოს იმის დასაბუთებული გარანტია, რომ

- ოპერაციები, მათ შორის სისტემაში გენერირებული ოპერაციები, სათანადო წესით არის დამუშავებული კომპიუტერზე;
- არ ხდება ოპერაციების დაკარგვა, დამატება, დუბლირება ან მათი არამართებული შეცვლა;
- დროულად ხდება ინფორმაციის დამუშავების პროცესში დაშვებული შეცდომების გამოვლენა და შესწორება.

გ. კონტროლს სისტემის გამოშვებულ (სამშედეგო) ინფორმაციაზე – მისი დანიშნულებაა, უზრუნველყოს იმის დასაბუთებული გარანტია, რომ

- ინფორმაციის დამუშავებით მიღებული შედეგები ზუსტია;
- ინფორმაციის დამუშავების შედეგებით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ უფლებამოსილ პერსონალს;
- გამომავალი, სამშედეგო ინფორმაცია დროულად მიეწოდება უფლებამოსილ პერსონალს.

კეს საერთო კონტროლის მიმოხილვა

9. კეს საერთო კონტროლი, რომლის ტესტირებაც შეიძლება მოისურვოს აუდიტორმა, აღწერილია მე-6 პუნქტში. აუდიტორმა უნდა განიხილოს, რა გავლენას მოახდენს კეს სერ-

tions significant to the audit. General CIS controls that relate to some or all applications are typically interdependent controls in that their operation is often essential to the effectiveness of CIS application controls. Accordingly, it may be more efficient to review the design of the general controls before reviewing the application controls.

ითი კონტროლი აუდიტორისათვის მნიშვნელოვან კსს გამოყენებით პროგრამებზე. კსს საერთო კონტროლი, რომელიც დაკავშირებულია რამოდენიმე ან ყველა გამოყენებით პროგრამასთან, როგორც წესი, წარმოადგენს კონტროლის კონტროლს იმ თვალსაზრისით, რომ ხშირად მის ფუნქციონირებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კსს გამოყენებითი კონტროლის ეფექტიანობა. შესაბამისად, შეიძლება უფრო ეფექტური იყოს საერთო კონტროლის სტრუქტურის განხილვა, შემოწმება და შემდეგ გამოყენებითი კონტროლის განხილვა.

Review of CIS Application Controls

კსს გამოყენებითი კონტროლის შიშობილება

10. Control over input, processing, data files and output may be carried out by CIS personnel, by users of the system, by a separate control group, or may be programmed into application software. CIS application controls which the auditor may wish to test include:

10. სისტემაში ინფორმაციის შეგნაზე, მის დამუშავებაზე, მონაცემთა ფაილებსა და გამოთავალ, საშუალო ინფორმაციაზე კონტროლს შესაძლოა ახორციელებდეს კსს პერსონალი, სისტემის მომხმარებლები, სპეციალური მაკონტროლებელი ჯგუფი ან კონტროლი თვითონ იყოს დაპროგრამებული გამოყენებით პროგრამულ უზრუნველყოფაში. კსს გამოყენებითი კონტროლი, რომლის ტესტირებაც შეაძლოა შიშისურვის აუდიტორმა, მოიცავს

A. Manual controls exercised by the user—if manual controls exercised by the user of the application system are capable of providing reasonable assurance that the system’s output is complete, accurate and authorized, the auditor may decide to limit tests of con-

2. *აუდიტორის მიერ კონტროლის რისკის შეფასება.* რაც უფრო მაღალია აუდიტორის მიერ შეფასებული კონტროლის რისკი, მით უფრო დიდი მოცულობის შერჩევითი ერთობლიობა იქნება საჭირო, მაგალითად, კონტროლის რისკის მაღალი შეფასება იმაზე მიუთითებს, რომ აუდიტორს არ შეუძლია დაეყრდნოს შიდა კონტროლის ეფექტურ მოქმედებას ფინანსური ანგარიშგების გარკვეულ მტკიცებებთან მიმართებით. ამიტომ აუდიტორული რისკის მისაღებ დაბალ დონემდე შესამცირებლად აუდიტორს სჭირდება დაბალი შეუმჩნეველობის რისკი და უფრო მეტად უნდა დაეყრდნოს ძირითად ტესტებს. რაც უფრო მეტად უყრდნობა ძირითად ტესტებს (ან დაბალია შეუმჩნეველობის რისკი), მით უფრო დიდი მოცულობის შერჩევითი ერთობლიობა იქნება საჭირო.

3. *სხვა ძირითადი პროცედურების გამოყენება ფინანსური ანგარიშგების იმავე მტკიცებისთვის.* რაც უფრო მეტად ენდობა აუდიტორი სხვა ძირითად პროცედურებს (დე

analytical procedures) to reduce to an acceptable level the detection risk regarding a particular account balance or class of transactions, the less assurance the auditor will require from sampling and, therefore, the smaller the sample size can be.

ტალღების გესტებს ან ანალიზურ პროცედურებს) შეუმჩნეველობის რისკის მისაღებ დაბალ დონემდე შესამცირებლად გარკვეული ანგარიშის ნაშთის ან ოპერაციის კატეგორიის მიმართ, მით უფრო ნაკლები რწმენის მიღება სჭირდება მას შერჩევიდან და ამდენად საჭირო იქნება შერჩევითი ერთობლიობის უფრო მცირე მოცულობა.

4. *The auditor's required confidence level.* The greater the degree of confidence that the auditor requires that the results of the sample are in fact indicative of the actual amount of error in the population, the larger the sample size needs to be.

4. *აუდიტორისათვის საჭირო რწმენის დონე.* რაც უფრო მაღალი რწმენის დონე ესაჭიროება აუდიტორს იმასთან მიმართებით, რომ შერჩევითი ერთობლიობის შედეგები რეალურად ასახავდნენ გენერალურ ერთობლიობაში ფაქტობრივად არსებული შეცდომის სიდიდეს, მით უფრო დიდი მოცულობის შერჩევითი ერთობლიობა იქნება საჭირო.

5. *The total error the auditor is willing to accept (tolerable error).* The lower the total error that the auditor is willing to accept, the larger the sample size needs to be.

5. *აუდიტორისათვის მისაღები ჯამური შეცდომა (ასაგანი შეცდომა).* რაც უფრო მცირე ჯამურ შეცდომას მიიჩნევს აუდიტორი მისაღებად, მით უფრო დიდი მოცულობის შერჩევითი ერთობლიობაა საჭირო.

6. *The amount of error the auditor expects to find in the population (expected error).* The greater the amount of error the auditor expects to find in the population, the larger the sample size needs to be in order to make a reasonable estimate of the actual amount of error in the population. Factors relevant to the auditor's consideration of the expected error amount include the extent to which item values are determined subjectively, the results of tests of control, the results of audit procedures applied in prior periods, and the results of other substantive

6. *შეცდომის სიდიდე, რომლის აღმოჩენასაც ვარაუდობს აუდიტორი გენერალურ ერთობლიობაში (სავარაუდო შეცდომა).* რაც უფრო დიდად იმ შეცდომის სიდიდე, რომლის აღმოჩენასაც ვარაუდობს აუდიტორი გენერალურ ერთობლიობაში, მით უფრო დიდი მოცულობის შერჩევითი ერთობლიობა იქნება საჭირო, რათა შესაძლებელი გახდეს გენერალურ ერთობლიობაში ფაქტობრივი შეცდომის სიდიდის მართებული შეფასება. ის ფაქტორები, რომელთაც აუდიტორი ითვალისწინებს სავარაუდო შეცდომის სიდიდის შეფასებისას, მოიცავს: იმ

procedures.

დონეს, რა დონითაც მუხლების ღირებულება განსაზღვრულია სუბიექტურად, კონტროლის ტესტების შედეგებს, წინა პერიოდებში გამოყენებული აუდიტორული პროცედურების შედეგებს და სხვა ძირითადი პროცედურების შედეგებს.

7. *Stratification.* When there is a wide range (variability) in the monetary size of items in the population. It may be useful to group items of similar size into separate sub-populations or strata. This is referred to as stratification. When a population can be appropriately stratified, the aggregate of the sample sizes from the strata generally will be less than the sample size that would have been required to attain a given level of sampling risk, had one sample been drawn from the whole population.

7. *სტრატეფიკაცია.* როდესაც გენერალურ ერთობლიობაში არსებობს ფულად ერთეულებში გამოხატული მუხლების ფართო სპექტრი (ევალებადობა), შესაძლებელია სასარგებლო იყოს მსგავსი სიდიდის მუხლების დაჯგუფება ცალ-ცალკე ქვეერთობლებად ან ფენებად. ამ პროცესს სტრატეფიკაციას უწოდებენ როდესაც შესაძლებელია გენერალური ერთობლიობის სათანადო სტრატეფიკაცია, საზოგადოდ რომელიმე ფენის შერჩევითი ერთობლიობების მოცულობების აგრეგირებული სიდიდე იმაზე უფრო ნაკლები იქნება რა მოცულობის შერჩევითი ერთობლიობაც იქნებოდა საჭირო შერჩევის რისკის მოცემული დონის შესანარჩუნებლად, თუ გენერალური ერთობლიობიდან მხოლოდ ერთი შერჩევითი ერთობლიობა იქნებოდა შერჩეული.

8. *The number of sampling units in the population.* For large populations, the actual size of the population has little, if any, effect on sample size. Thus, for small populations, audit sampling is often not as efficient as alternative means of obtaining sufficient appropriate audit evidence. (However, when using monetary unit sampling, an increase in the monetary value of the population increases sample size, unless this is offset by a proportional increase in

8. *შერჩევის ერთეულების რაოდენობა გენერალურ ერთობლიობაში.* დიდი გენერალური ერთობლიობისათვის გენერალური ერთობლიობის ფაქტობრივი მოცულობა უმნიშვნელო გავლენას ახდენს შერჩევითი ერთობლიობის მოცულობაზე ან საერთოდ არ ახდენს გავლენას. ამგვარად, მცირე გენერალური ერთობლიობისათვის აუდიტორული შერჩევა ხშირად არ არის ისე ეფექტური, როგორც საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებ

materiality.)

ბუის მოპოვების სხვა ალტერნატიული სამუალებები (მიუხედავად ამისა, როდესაც ხდება ფულადი ერთეულის შერჩევის გამოყენება, გენერალურ ერთობლიობაში ფულადი ღირებულების მრდა იწვევს შერჩევითი ერთობლიობის მრდას, თუ ამის პროპორციული კომპენსაცია არ ხდება არსებითობის მრდით).

Appendix 3

დანართი 3

Sample Selection Methods

შერჩევითი ერთობლიობის შერჩევის მეთოდები

The principal methods of selecting samples are:

შერჩევითი ერთობლიობის შერჩევის ძირითადი მეთოდებია:

- (a) Use of a computerized random number generator or random number tables.
- (ა) შემთხვევითი კომპიუტერიზებული შერჩევა რიცხვების გენერატორის ან შემთხვევითი რიცხვების ცხრილების გამოყენებით;
- (b) Systematic selection, in which the number of sampling units in the population is divided by the sample size to give a sampling interval, for example 50, and having determined a starting point within the first 50, each 50th sampling unit thereafter is selected. Although the starting point may be determined haphazardly, the sample is more likely to be truly random if it is determined by use of a computerized random number generator or random number tables. When using systematic selection, the auditor would need to determine that sampling units within the population are not structured in such a way that the sampling interval corresponds with a particular pattern in the population.
- (ბ) სისტემური შერჩევა, როდესაც გენერალურ ერთობლიობაში შერჩევის ერთეულების რაოდენობა დაყოფილია შერჩევითი ერთობლიობის მოცულობის მიხედვით მოცემული შერჩევის ინტერვალისთვის, მაგალითად 50, საწყისი მუხლი განისაზღვრება პირველი 50 მუხლის ფარგლებში, და ხდება ყოველი 50-ე შერჩევის ერთეულის შერჩევა. ამასთან საწყისი წერტილის არჩევა შეიძლება შემთხვევით. შერჩევითი ერთობლიობის შემთხვევითი შერჩევა სათანადოდ ხორციელდება მაშინ, როდესაც გამოიყენება კომპიუტერიზებული შემთხვევითი შერჩევის რიცხვების გენერატორი ან შემთხვევითი რიცხვების ცხრილები. როდესაც იყენებენ სისტემურ შერჩევას, აუდიტორმა უნდა განსაზღვროს, რომ შერჩევის ერთეულები გენერალურ ერთობლიობაში არ იყოს ისეთნაირად განლაგებული, რომ შერჩევის ინტერვალი შემთხვევოდეს გენერალური ერთობლიობის რომელიმე კონკრეტულ მოდელს;
- (c) Haphazard selection, in which the auditor selects the sample without following a structured technique. Although no structured technique is used, the auditor would nonetheless
- (გ) შემთხვევითი შერჩევა, რომლის დროსაც აუდიტორი შერჩევით ერთობლიობას შერჩევს სტრუქტურული მეთოდების გამოყენების გარეშე. როდესაც არ იყენებს სტრუ-

avoid any conscious bias or predictability (for example avoiding difficult to locate items, or always choosing or avoiding the first or last entries on a page) and thus attempt to ensure that all items in the population have a chance of selection. Haphazard selection is not appropriate when using statistical sampling.

ქტურულ მეთოდებს, ამ შემთხვევაში ადგილი არ ექნება აუდიტორის მიერ რაიმე მიკერძოებას ან წინასწარ გამიზნულ ქმედებას (მაგალითად, რთულად განლაგებული მუხლების თავიდან აცილებას ან ყოველთვის პირველი და ბოლო გატარებების შერჩევას ან თავიდან აცილებას მოცემულ გვერდზე) და ამ გზით მიიღწევა იმის გარანტია, რომ გენერალური ერთობლიობის ყველა მუხლს ექნება შერჩევის შანსი. შემთხვევითი შერჩევის მეთოდის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი სტატისტიკური შერჩევის დროს.

Block selection involves selecting a block(s) of contiguous items from within the population. Block selection cannot ordinarily be used in audit sampling because most populations are structured such that items in a sequence can be expected to have similar characteristics to each other, but different characteristics from items elsewhere in the population. Although in some circumstances it may be an appropriate audit procedure to examine a block of items, it would rarely be an appropriate sample selection technique when the auditor intends to draw valid inferences about the entire population based on the sample.

ბლოკური შერჩევა მოიცავს დაკავშირებული მუხლების ბლოკის (ბლოკების) შერჩევას გენერალური ერთობლიობიდან. ბლოკური შერჩევის გამოყენება ჩვეულებრივ არ შეიძლება აუდიტორულ შერჩევაში, რადგან გენერალური ერთობლიობების უმეტესობა ისეა სტრუქტურირებული, რომ თანმიმდევრულად განლაგებულ მუხლებს შეიძლება ჰქონდეთ ერთნაირი მახასიათებლები, მაგრამ ისინი განსხვავდებოდეს გენერალური ერთობლიობის სხვა მუხლების მახასიათებლებისგან. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ შესაფერის აუდიტორულ პროცედურად მიჩნეული იქნეს რომელიმე ბლოკის მუხლების შემოწმება, მაგრამ ეს იშვიათად იქნება შერჩევითი ერთობლიობის შერჩევის შესაფერისი მეთოდი, მაშინ როდესაც აუდიტორი აპირებს სარწმუნო მოსაზრებების მოპოვებას მთლიანი გენერალური ერთობლიობის შესახებ შერჩევითი ერთობლიობის საფუძველზე.

SUMMARY OF DISCUSSION PAPER

სადისკუსიო დოკუმენტი შეფასება

The Committee has issued one discussion paper, as summarized below.

კომიტეტმა გამოსცა ერთი სადისკუსიო დოკუმენტი, რომელიც შეჯამებულია ქვემოთ.

Discussion Paper

სადისკუსიო დოკუმენტი

The Audit Profession and the Environment

აუდიტის პროფესია და გარემო

Issued May 1995

გამოცემულია 1995 წლის მაისში

The audit profession can contribute its expertise and services to business and society in making progress towards sustainable development, and towards management of and accountability for environmental stewardship. The profession has the strength, reputation and skills needed to expand its role and contribute to:

აუდიტის პროფესიას თავისი გამოცდილებითა და მომსახურებით შეუძლია წვლილის შეტანა ბიზნესისა და საზოგადოების განუხრელ პროგრესში და გარემოს დაცვითი საქმიანობის მართვისა და ანგარიშვალდებულების განვითარებაში. პროფესიას აქვს იმდენი ძალა, რეპუტაცია და კვალიფიკაცია, რომ გააფართოოს თავისი ფუნქციები და წვლილი შეიტანოს:

- the development of standards and guidance for audit and review of financial statements regarding environmental matters;
- arrangements necessary for obtaining audit evidence that requires the cooperation or use of the work of other professions and disciplines in areas outside the normal competence of financial auditors; and

- ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და მიმოხილვის სტანდარტებისა და მითითებების შემუშავებაში გარემოს დაცვის საკითხებთან მიმართებით;
- ღონისძიებებში, რომლებიც აუცილებელია ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად, რომლებიც მოითხოვს ფინანსური აუდიტორების ჩვეულებრივი კომპეტენციისაგან განსხვავებული სფეროს სპეციალისტების სამუშაოთა გამოყენებას ან მათთან ერთად თანამშრომლობას და

- the development of standards and guidance needed to respond to the expectations of stakeholders for emerging new services.

IFAC, in its role of representing the worldwide audit profession, is interested in collaborating with other associations, organizations, professions and disciplines, since sustainable development and environmental issues are inherently multi-disciplinary issues, and no single discipline or profession is likely to provide all the solutions. Some member bodies already have authoritative literature on the subject in place or under development. This document seeks to summarize the topics and promote discussion on an international level. The document does not discuss accounting matters.

The preparation of this discussion paper serves three purposes:

- to generate ideas and views on issues to be dealt with by the auditing profession as a whole with regard to 'environmental auditing';
- to gather views of practitioners on the more important implications of environmental issues in relation to the audit of financial statements; and

- ისეთი სტანდარტებისა და მითითებების შემუშავებაში, რომლებიც გაამართლებს სხვადასხვა გიპის ახალი მომსახურებით დაინტერესებულ პირთა მოლოდინს..

აკისრია რა მთელი მსოფლიოსთვის აუდიტის პროფესიის წარდგენის როლი, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია დაინტერესებულია ითანამშრომლოს სხვა ასოციაციებთან, ორგანიზაციებთან, პროფესიებთან და მეცნიერებების დარგებთან, რადგან განუხრელი განვითარება და გარემოს დაცვა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული საკითხებია. ამასთან მარგო მეცნიერების ერთ რომელიმე დარგს ან პროფესიას არ შეუძლია ყველა აღნიშნული საკითხის გადაჭრა. მოგიერთ წევრ ორგანიზაციას ამ თემაზე უკვე აქვს ავტორიტეტული, კომპეტენტური ლიტერატურა ადგილზე ან მუშაობენ ამ საკითხებზე. ეს დოკუმენტი მიზნად ისახავს შეაჯამოს სადისკუსიო საკითხები და ხელი შეუწყოს მათ განხილვას საერთაშორისო დონეზე. დოკუმენტი არ განიხილავს ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებს.

წინამდებარე სადისკუსიო დოკუმენტის მომზადება ემსახურება შემდეგ სამ მიზანს:

- იდეებისა და მოსაზრებების შემუშავება აუდიტის პროფესიასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზე, როგორცაა „ეკოლოგიური აუდიტი“;
- ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობის მქონე ეკოლოგიური საკითხების შესახებ პრაქტიკო-

სების მოსაზრებების შეკრება და შეჯამება;

• to promote discussion amongst both practitioners and a wider audience on reporting on environmental performance, the audit of such reports and on possible future engagements (reporting on, and audits of, environmental management systems and compliance engagements),

• გარემოსდაცვითი საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენაზე, ამგვარი ანგარიშების აუდიტსა და შესაძლო სამომავლო მოქმედებებზე დისკუსიების ხელშეწყობა როგორც პრაქტიკოსებს, ასევე ფართო აუდიტორიას შორის (ანგარიშის წარდგენა ეკოლოგიური მართვის სისტემებსა და შესაბამის საქმიანობაზე, ასევე ეკოლოგიური მართვის სისტემებისა და შესაბამისი საქმიანობის აუდიტი).

To serve these purposes, questions for discussion are included at the end of each chapter. The document is also distributed outside the auditing community.

ამ მიზნით სადისკუსიო საკითხები დართული აქვს თითოეული თავის ბოლოს. მოცემული დოკუმენტის შემუშავებაში წვლილი შეიტანა აგრეთვე არააუდიტორულმა სამოგალობრიობამ.

ETHICS

ეთიკა

CONTENTS

შინაარსი

	Page		გვ.
Code of Ethics for Professional Accountants	562	პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი	562
Statements of Policy of Council:		დადგენილება საბჭოს პოლიტიკის შესახებ:	
• Preface to Ethical Requirements of (Name of Member Body)	669	• წინასიტყვაობა (წერი ორგანიზაციის სახელწოდება)-ის ეთიკური ნორმებისთვის ..	669
• Implementation and Enforcement of Ethical Requirements	675	• ეთიკის ნორმების დანერგვა და ამოქმედება	675

For additional information on the Ethics Committee, recent developments, and/or to obtain outstanding exposure drafts, visit the Committee's page at <http://www.ifac.org/Committees/Ethics>.

ეთიკის კომიტეტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, უახლესი ნაშრომების და/ან გამოცემული პროექტების მისაღებად მიმართეთ კომიტეტის გვერდს შემდეგ მისამართზე: <http://www.ifac.org/Committees/Ethics>.

**Code of Ethics for
Professional Accountants**

**პროფესიონალი
ბუღალტრების ეთიკის
კოდექსი**

CONTENTS

შინაარსი

	Page		გვერდი
DEFINITIONS	564	ბანსაზღვრებები	564
INTRODUCTION	568	შესავალი	568
THE PUBLIC INTEREST	571	საზოგადოებრივი ინტერესი	571
OBJECTIVES	574	მიზნები	574
FUNDAMENTAL PRINCIPLES ..	575	ძირითადი პრინციპები	575
THE CODE	578	კოდექსი	578
PART A - APPLICABLE TO ALL PROFESSIONAL ACCOUNTANTS		ნაწილი ა - ყველა პროფესიონალი ბუღალტრისთვის	
1 Integrity and Objectivity	579	1. პატიოსნება და ობიექტურობა	579
2 Resolution of Ethical Conflicts	582	2. ეთიკური კონფლიქტების მოგვარება	582
3 Professional Competence ...	586	3. პროფესიული კომპეტენცია	586
4 Confidentiality	588	4. კონფიდენციალობა	588
5 Tax Practice	592	5. საგადასახადო პრაქტიკა	592
6 Cross Border Activities	597	6. საქმიანობა საზღვარგარეთ	597
7 Publicity	599	7. საჯაროობა	599

**PART B - APPLICABLE TO
PROFESSIONAL ACCOUNTANTS
IN PUBLIC PRACTICE**

8 Independence	600
9 Professional Competence and Responsibilities regarding the Use of Non-Accountants	624
10 Fees and Commissions	627
11 Activities Incompatible with the Practice of Public Accountancy	634
12 Clients' Monies	635
13 Relations with Other Professional Accountants in Public Practice	638
14 Advertising and Solicitation	652

**ნანილი ბ - საზოგადოებრივი
პრაქტიკით დაკავებული
პროფესიონალი
ბუღალტრებისთვის**

8. დამოუკიდებლობა	600
9. პროფესიული კომპეტენცია და პასუხისმგებლობა არაბუღალტრების მომსახურებით სარგებლობისას	624
10. გაწეული მომსახურების სამღაური და საკომისიო	627
11. საზოგადოებრივ ბუღალტრულ პრაქტიკასთან შეუთავსებელი საქმიანობა ...	634
12. დამკვეთების ფულადი სახსრები	635
13. ურთიერთობები საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებულ სხვა პროფესიონალ ბუღალტრებთან	638
14 რეკლამა და დაკვეთების მოზიდვა	652

**PART C - APPLICABLE TO
EMPLOYED PROFESSIONAL
ACCOUNTANTS**

15 Conflict of Loyalties	663
16 Support for Professional Colleagues	666
17 Professional Competence	667
18 Presentation of Information	668

**ნანილი გ - დაქირავებული
პროფესიონალი
ბუღალტრებისთვის**

15. ლოიალობის კონფლიქტი	663
16. პროფესიული კოლეგიალობა	666
17. პროფესიული კომპეტენცია	667
18. ინფორმაციის წარდგენა	668

Definitions

განსაზღვრებები

In this Code of Ethics for Professional Accountants the following expressions appear in bold type when they are first used and have the following meanings assigned to them:

პროფესიონალ ბუღალტერთა წინამდებარე ეთიკის კოდექსში ქვემოთ ჩამოთვლილი ცნებები როდესაც პირველად იხმარება ტექსტში, გამოყოფილია მუქი შრიფტით და აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

Advertising	The communication to the public of information as to the services or skills provided by professional accountants in public practice with a view to procuring professional business.
რეკლამა	საზოგადოების ინფორმირება საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრების მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელების მიზნით გაწეული მომსახურებისა და მათი კვალიფიკაციის შესახებ.
Client Account	Any bank account which is used solely for the banking of clients' monies.
დამკვეთის ანგარიში	ნებისმიერი საბანკო ანგარიში, რომელიც გამოიყენება მხოლოდ დამკვეთის თანხების საბანკო მომსახურების მიზნით.
Clients' Monies	Any monies-including documents of title to money e.g., bills of exchange, promissory notes, and documents of title which can be converted into money e.g., bearer bonds—received by a professional accountant in public practice to be held or paid out on the instruction of the person from whom or on whose behalf they are received.
დამკვეთის ფულადი სახსრები	ნებისმიერი თანხა, მათ შორის, ამ თანხებზე უფლებების დამადასტურებელი დოკუმენტები, მაგალითად: გადასაპირებული თამასუქები, ჩვეულებრივი თამასუქები და სასაქონლო ზედღებულები, რომლებიც შეიძლება კონვერტირებულ იქნეს ფულზე, მაგალითად, საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრის მიერ მიღებული ობლიგაციები წარმოდგენზე – ობლიგაციის მფლობელი იქნება ის პირი ან ობლიგაციის გადახდა მოხდება იმ პირის მითითებით, ვისგანაც ან ვისი სახელითაც არის ობლიგაციები მიღებული.

<p>Company კომპანია</p>	<p>Any entity or person(s), whether organized for profit or not, including a parent company and all of its subsidiaries. ნებისმიერი იურიდიული პირი ან პიროვნება (პიროვნებები), ამის მიუხედავად, რისთვის არიან ისინი ორგანიზებული – მოგების მიღების მიზნით თუ არა. რაც მოიცავს ძირითად კომპანიასა და მის ყველა შვილობილ საწარმოს.</p>
<p>Employed professional accountant დაქირავებული პროფესიონალი ბუღალტერი</p>	<p>A professional accountant employed in industry, commerce, the public sector or education. პროფესიონალი ბუღალტერი, რომელიც დასაქმებულია წარმოებაში, ვაჭრობაში, სახელმწიფო სექტორსა თუ განათლების სფეროში.</p>
<p>Existing accountant</p>	<p>A professional accountant in public practice currently holding an audit appointment or carrying out accounting, taxation, consulting or similar professional services for a client.</p>
<p>მოქმედი ბუღალტერი</p>	<p>საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტერი, რომელიც ამჟამად დანიშნულია აუდიტორად ან დამკვეთს უწევს მომსახურებას ბუღალტრული აღრიცხვის, საგადასახადო დაბეგერის, საკონსულტაციო ან მსგავსი პროფესიული მომსახურების სფეროში.</p>
<p>Investee ინვესტიციის მიმღები</p>	<p>A subsidiary or an entity subject to the significant influence of an investor. შვილობილი საწარმო ან სამეურნეო სუბიექტი, ინვესტორის მნიშვნელოვანი ზეგავლენის ობიექტი.</p>
<p>Investor ინვესტორი</p>	<p>A parent, general partner, or natural person or corporation that has the ability to exercise significant influence on an investee. ძირითადი საწარმო, გენერალური პარტნიორი, ფიზიკური პირი ან კორპორაცია, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს ინვესტიციის მიმღებზე.</p>
<p>Objectivity ობიექტურობა</p>	<p>A combination of impartiality, intellectual honesty and a freedom from conflicts of interest. მიუკერძოებლობის, ინტელექტუალური პატიოსნებისა და ინტერესთა კონფლიქტისაგან თავისუფლების ერთობლიობა.</p>
<p>Practice</p>	<p>A sole practitioner, a partnership or a corporation of professional accountants which offers professional</p>

<p>პრაქტიკა (საბუღალტრო სამსახური)</p>	<p>services to the public. ინდივიდუალური პრაქტიკოსი პროფესიონალი ბუღალტერი, პროფესიონალ ბუღალტერთა ამხანაგობა ან კორპორაცია, რომლებიც პროფესიულ მომსახურებას უწევენ საზოგადოებას.</p>
<p>Professional accountant</p>	<p>Those persons, whether they be in public practice, (including a sole practitioner, partnership or corporate body), industry, commerce, the public sector or education, who are members of an IFAC member body.</p>
<p>პროფესიონალი ბუღალტერი</p>	<p>პიროვნებები, რომლებიც წარმოადგენენ ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციაში გაწევრიანებული ორგანიზაციების წევრებს, იმის მუხედავად, სად არიან დასაქმებული – საზოგადოებრივი პრაქტიკით (ინდივიდუალური პრაქტიკოსობის, ამხანაგობისა და კორპორაციის ჩათვლით), წარმოებაში, ვაჭრობაში, სახელმწიფო სექტორსა თუ განათლების სფეროში.</p>
<p>Professional accountant in public practice</p>	<p>Each partner or person occupying a position similar to that of a partner, and each employee in a practice providing professional services to a client irrespective of their functional classification (e.g., audit, tax or consulting) and professional accountants in a practice having managerial responsibilities. This term is also used to refer to a firm of professional accountants in public practice.</p>
<p>საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტერი</p>	<p>ყველა პარტნიორი ან პარტნიორის მსგავსი მდგომარეობის მქონე პირი, აგრეთვე პრაქტიკით დაკავებული დაქირავებული ყველა პირი, რომლებიც პროფესიულ მომსახურებას უწევენ დამკვეთს, მათი ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიუხედავად (მაგალითად, აუდიტორი, საგადასახადო საქმის სპეციალისტი ან კონსულტანტი), და საბუღალტრო სამსახურის პროფესიონალი ბუღალტრები, რომელთაც აკისრიათ მენეჯერული პასუხისმგებლობა. ეს ცნება გამოიყენება საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრების ფირმის აღსანიშნავად.</p>
<p>Professional services</p>	<p>Any service requiring accountancy or related skills performed by a professional accountant including accounting, auditing, taxation, management consulting and financial management services.</p>
<p>პროფესიული მომსახურება</p>	<p>პროფესიონალი ბუღალტრის მიერ შესრულებული ნებისმიერი მომსახურება, მათ შორის ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი, საგადასახადო დაბეგერა, კონსულტ-</p>

აქები მენეჯმენტის სფეროში და ფინანსების მართვა, რომელიც მოითხოვს ბუღალტრის ან მსგავს კვალიფიკაციას.

Publicity	The communication to the public of facts about a professional accountant which are not designed for the deliberate promotion of that professional accountant.
საჯაროობა	სამოგალოებისთვის ისეთი ფაქტების მიწოდება პროფესიონალი ბუღალტრების შესახებ, რომლებიც არაა წინასწარ გამიზნული პროფესიონალი ბუღალტრის წინსვლის ხელშეწყობად.
Receiving accountant	A professional accountant in public practice to whom the existing accountant or client of the existing accountant has referred audit, accounting, taxation, consulting or similar appointments, or who is consulted in order to meet the needs of the client.
მიმღები ბუღალტერი	სამოგალოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტერი, რომელსაც მოქმედი ბუღალტერი ან მისი დამკვეთი მიმართავს აუდიტის, ბუღალტრული აღრიცხვის, საგადასახადო დაბეგრის, კონსულტაციის ან მსგავს სფეროში თანამდებობაზე დანიშნასთან დაკავშირებით, ან ვისაც უწვევენ კონსულტაციებს დამკვეთის მოთხოვნათა დაკმაყოფილების მიზნით.
Reporting assignment	An engagement which requires the expression of an opinion by a professional accountant in public practice on financial information.
საანგარიშგებო	საქმიანობა, რომელიც სამოგალოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრისაგან მოითხოვს აზრის გამოხატვას (დასკვნას) ფინანსური ინფორმაციის შესახებ.
Solicitation	The approach to a potential client for the purpose of offering professional services.
დამკვეთთა მოზიდვა	მიდგომა პოტენციური დამკვეთისადმი მისთვის პროფესიული მომსახურების შეთავაზების მიზნით.

IFAC Code of Ethics For Professional Accountants

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის ეთიკის კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისთვის

Introduction

1. The International Federation of Accountants (IFAC) believes that due to national differences of culture, language, legal and social systems, the task of preparing detailed ethical requirements is primarily that of the member bodies in each country concerned and that they also have the responsibility to implement and enforce such requirements.
2. However, IFAC believes that the identity of the accountancy profession is characterized worldwide by its endeavor to achieve a number of common objectives and by its observance of certain fundamental principles for that purpose.
3. IFAC, therefore, recognizing the responsibilities of the accountancy profession as such, and considering its own role to be that of providing guidance, encouraging continuity of efforts, and promoting harmonization, has deemed it essential to establish an international Code of Ethics for

შესავალი

1. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია დარწმუნებულია, რომ კულტურულ, ენობრივ, სამართლებრივ და სოციალურ სისტემებს შორის არსებული ეროვნული განსხვავებებიდან გამომდინარე დეტალური ეთიკური მოთხოვნების მომზადების ამოცანა უპირველეს ყოვლისა იმაში გამოიხატება, რომ ჰყავდეს თავისი წევრი ორგანიზაციები თითოეულ ქვეყანაში და მათ ეკისრებოდეთ პასუხისმგებლობა ამ მოთხოვნათა დანერგვასა და ამოქმედებაზე.
2. ამასთან ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია დარწმუნებულია, რომ მთელ მსოფლიოში ბუღალტრის პროფესიისათვის დამახასიათებელია ერთი და იგივე ნიშანი – ეს არის მისწრაფება, მიაღწიოს მთელ რიგ საერთო მიზნებს და ამისათვის დაიცვას გარკვეული ფუნდამენტური პრინციპები.
3. აქედან გამომდინარე, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია აღიარებს რა ბუღალტრის პროფესიის პასუხისმგებლობას, როგორც ასეთს, და საკუთარ როლს განიხილავს რა როგორც აღნიშნულ მცდელობათა წარმართვისა და პარამონიზაციის ხელშემწყობს, თავის უპირველეს

Professional Accountants to be the basis on which the ethical requirements (code of ethics, detailed rules, guidelines, standards of conduct, etc.) for professional accountants* in each country should be founded.

ამოცანად მიიჩნევა პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსის შექმნას. ამ კოდექს უნდა დაეფუძნოს ეთიკის ის მოთხოვნები (ქვეყნის ნორმები, დეტალურად აღწერილი წესები, ინსტრუქციები, და ა.შ.), რომლებიც უნდა დაიცვან თითოეული ქვეყნის პროფესიონალმა ბუღალტრებმა.

4. This international Code is intended to serve as a model on which to base national ethical guidance. It sets standards of conduct for professional accountants and states the fundamental principles that should be observed by professional accountants in order to achieve common objectives. The accountancy profession throughout the world operates in an environment with different cultures and regulatory requirements. The basic intent of the Code, however, should always be respected. It is also acknowledged that, in those instances where a national requirement is in conflict with a provision in the Code, the national requirement would prevail. For those countries that wish to adopt the Code as their own national Code, IFAC has developed wording which may be used to indicate the authority and applicability in the country concerned. The wording is contained in the IFAC Statement of Policy of Council Preface to Ethical Requirements of (Name of Member Body).

4. წინამდებარე საერთაშორისო კოდექსი გამომწვლია იმისათვის, რომ იყოს მოდელი, რომელსაც დაეფუძნება ეთიკის ეროვნული სახელმძღვანელო ინსტრუქციები. იგი აწესებს პროფესიონალ ბუღალტერთა ქვეყნის ნორმებსა და ბირთვითად პრინციპებს, რომელთა დაცვა მოეთხოვება თითოეულ პროფესიონალ ბუღალტერს, რათა მიღწეულ იქნეს საერთო მიზნები. მთელ მსოფლიოში საბუღალტრო საქმიანობა ხორციელდება განსხვავებული კულტურისა და საკანონმდებლო მოთხოვნების გარემოში, მაგრამ ამ კოდექსის საბაზისო პრინციპები ყველგან უნდა იქნეს დაცული. აღიარებულია ისიც, რომ იქ, სადაც ეროვნული მოთხოვნები არ შეესაბამება კოდექსის დებულებებს, უპირატესობა ეროვნულ მოთხოვნებს ენიჭება. იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც სურთ ამ კოდექსის აღიარება თავიანთ ეროვნულ კოდექსად, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციას შემუშავებული აქვს გექსტის რედაქცია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს დაინტერესებულმა ქვეყანამ კოდექსის უფლებამოსილებისა და სარგებლიანობის დემონსტრირებისთვის. ეს გექსტი შესულია ბუღალტერთა

* For definitions see pages 564-567

* განსაზღვრებებისთვის იხ. გვ. 564-567

საერთაშორისო ფედერაციის საბჭოს დადგენილებაში სათაურით – „წინასიტყვაობა (წერილ ქვეყნის დასახელება)-ის ეთიკური ნორმებისთვის“.

5. Further, the Code is established on the basis that unless a limitation is specifically stated the objectives and fundamental principles are equally valid for all professional accountants, whether they be in public practice, industry, commerce, the public sector or education.
5. კოდექსი შექმნილია ისეთ საფუძველზე, რომ იქ, სადაც რაიმე სპეციალური შეზღუდვა არ არის დადგენილი, კოდექსის მიზნები და ძირითადი პრინციპები თანაბრად მოქმედია ყველა პროფესიონალი ბუღალტრისთვის, იმის მიუხედავად, სად არიან ისინი დასაქმებული – სამოგადოებრივი პრაქტიკით, წარმოებაში, ვაჭრობაში, სახელმწიფო სექტორსა თუ განათლების სფეროში.
6. A profession is distinguished by certain characteristics including:
 - mastery of a particular intellectual skill, acquired by training and education¹;
 - adherence by its members to a common code of values and conduct established by its administrative body, including maintaining an outlook which is essentially objective; and
6. ბუღალტრის პროფესია გამოირჩევა გარკვეული თავისებურებებით. ეს თავისებურებებია:
 - საკუთარი სწავლა-განათლებით შეძენილ განსაკუთრებულ ინტელექტუალურ ცოდნაში დახელოვნება¹;
 - წერილ ბუღალტრების მიერ საყოველთაოდ აღიარებული ფასეულობებისა და ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის მიერ დაწესებული ქცევის ნორმების დაცვა, რომელიც ითვალისწინებს საკუთარი თვალსაზრისის დაცვასაც, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს;

¹ For details of the education requirements recommended by IFAC, reference should be made to the International Education Guidelines prepared by the Education Committee of IFAC.

¹ ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ რეკომენდებული განათლების მოთხოვნების უფრო დეტალურად გაეცნობის მიზნით იხილეთ ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის განათლების კომიტეტის მიერ მომზადებული განათლების საერთაშორისო ინსტრუქციები

- acceptance of a duty to society as a whole (usually in return for restrictions in use of a title or in the granting of a qualification).

7. Members' duty to their profession and to society may at times seem to conflict with their immediate self interest or their duty of loyalty to their employer.

8. Against this background it is beholden on member bodies to lay down ethical requirements for their members to ensure the highest quality of performance and to maintain public confidence in the profession.

The Public Interest

9. A distinguishing mark of a profession is acceptance of its responsibility to the public. The accountancy profession's public consists of clients, credit grantors, governments, employers, employees, investors, the business and financial community, and others who rely on the **objectivity*** and integrity of professional accountants to maintain the orderly functioning of commerce. This reliance imposes a public interest responsibility on the accountancy profession. The public interest is defined as the collective well-being of the community of people and institutions the professional accountant serves.

- პასუხისმგებლობა მთელი საზოგადოებრიობის წინაშე (ჩვეულებრივ იმ შემთხვევაში სანაცვლოდ, რომლებიც დაწესებულია წოდებისა თუ კვალიფიკაციის მინიჭებაზე).

7. წევრთა მოვალეობები თავიანთი პროფესიისა და საზოგადოების მიმართ ხანდახან შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მათ პირად ინტერესებს ან მოვალეობებისადმი ერთგულებას – მათი დაქირავებულის ინტერესებს.

8. მეზოაღნიშნულის გათვალისწინებით, წევრმა ორგანიზაციებმა უნდა ჩამოაყალიბონ ეთიკის მოთხოვნები თავიანთი წევრებისთვის, რათა უზრუნველყონ საქმიანობის წარმართვის ყველაზე მაღალი ხარისხი და დაიცვან ბუღალტრის პროფესიისადმი საზოგადოებრიობის ნდობა.

საზოგადოებრივი ინტერესი

9. ნებისმიერი პროფესიის დამახასიათებელი ნიშანია საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის აღიარება. ბუღალტერი თავისი პროფესიის გამო დაკავშირებულაა დამკვეთებთან, კრედიტორებთან, მთავრობებთან, დაქირავებულებთან, ინვესტორებთან, ბიზნესისა და საფინანსო წრეების წარმომადგენლებთან და სხვებთან, რომლებიც ეყრდნობიან პროფესიონალ ბუღალტერთა ობიექტურობასა* და პაგიოსუნებას, რათა სათანადოდ წარმართონ თავიანთი კომერციული საქმიანობა. ნდობის ეს ფაქტორი ბუღალტრის პროფესიას პასუხისმგებლობას აკისრებს სა-

* For definitions see pages 564-567

* განსაზღვრებებისთვის იხ. გვ. 564-567

ზოგადოების ინტერესების მიმართ. საზოგადოებრივი ინტერესი განიმარტება როგორც ხალხისა და იმ დაწესებულებათა კოლექტიური კეთილდღეობა, რომელთაც პროფესიული ბუღალტრები ემსახურებიან.

10. A professional accountant's responsibility is not exclusively to satisfy the needs of an individual client or employer. The standards of the accountancy profession are heavily determined by the public interest, for example:

- independent auditors help to maintain the integrity and efficiency of the financial statements presented to financial institutions in partial support for loans and to stockholders for obtaining capital;
- financial executives serve in various financial management capacities in organizations and contribute to the efficient and effective use of the organization's resources;
- internal auditors provide assurance about a sound internal control system which enhances the reliability of the external financial information of the employer;
- tax experts help to establish confidence and efficiency in, and the fair application of, the tax system; and

10. პროფესიონალი ბუღალტრის პასუხისმგებლობა არ შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ დააკმაყოფილოს კერძო დამკვეთის ან დამქირავებლის მოთხოვნები. საბუღალტრო საქმიანობის სტანდარტები ძირითადად საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარეობს, მაგალითად:

- დამოუკიდებელი აუდიტორები ეხმარებიან აქციონერებს სესხის მისაღებად ფინანსურ დაწესებულებებში წარსადგენი ანგარიშგების პატიოსნად და კვალიფიციურად შედგენაში, აგრეთვე კაპიტალის მიღებაში;
- ფინანსური საქმის სპეციალისტები მსახურობენ ფინანსების მართვის სხვადასხვა ორგანიზაციაში და თავიანთი წვლილი შეაქვთ შესაბამისი ორგანიზაციის ფინანსური რესურსების მომჭირნედ და ეფექტურად გამოყენებაში;
- შიდა აუდიტორები უზრუნველყოფენ სისტემის მყარ შიდა კონტროლს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს დამქირავებლის მიერ საზოგადოებისთვის წარსადგენი ფინანსური ინფორმაციის საიმედოობას;
- საგადასახადო საქმის ექსპერტები ხელს უწყობენ საგადასახადო სისტემის ნდობის მოპოვებას და მის ეფექტურ ფუნქციონირებას და

- management consultants have a responsibility toward the public interest in advocating sound management decision making.

- მენეჯმენტის სფეროს კონსულტანტები პასუხისმგებელი არიან საზოგადოების წინაშე მართვის ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა სისწორებზე.

11. Professional accountants have an important role in society. Investors, creditors, employers and other sectors of the business community, as well as the government and the public at large rely on professional accountants for sound financial accounting and reporting, effective financial management and competent advice on a variety of business and taxation matters. The attitude and behavior of professional accountants in providing such services have an impact on the economic well-being of their community and country.

11. მნიშვნელოვანია პროფესიონალი ბუღალტრების როლი საზოგადოებაში. ინვესტორები, კრედიტორები, დამქირაველები და მეწარმეობის სხვა სექტორები, ისევე როგორც მთავრობა და მთლიანად საზოგადოება, სწორი ფინანსური აღრიცხვიანობისა და ანგარიშგების, ეფექტური ფინანსური მართვისა და ბიზნესის, ასევე საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის განხორციელების პროცესში უმეტესწილად პროფესიონალ ბუღალტრთა გამოყვანილებას ეყრდნობიან. ამგვარი მომსახურების გაწევისას პროფესიონალ ბუღალტრთა პოზიცია და ქცევა არსებითად განსაზღვრავს საზოგადოებისა და ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას.

12. Professional accountants can remain in this advantageous position only by continuing to provide the public with these unique services at a level which demonstrates that the public confidence is firmly founded. It is in the best interest of the worldwide accountancy profession to make known to users of the services provided by professional accountants that they are executed at the highest level of performance and in accordance with ethical requirements that strive to ensure such performance.

12. პროფესიონალ ბუღალტრებს ხელსაყრელი პოზიციების შენარჩუნება შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებისთვის თავიანთი „უნიკალური“ მომსახურების გაწევას გააგრძელებენ ისეთ დონეზე, რაც აშკარად დაადასტურებს საზოგადოების ნდობის მტკიცედ მოპოვებას. მთელ მსოფლიოში პროფესიონალი ბუღალტრები ცდილობენ დაარწმუნონ თავიანთი დამკვეთები, რომ მათ უწყევნ უმაღლესი ხარისხის მომსახურებას და ყოველმხრივ იყავენ ამგვარი მომსახურების შესაბამის ეთიკურ ნორმებს მომსახურების გაწევისას.

13. In formulating their national code of ethics, member bodies should therefore consider the public service and user expectations of the ethical standards of professional accountants and take their views into account. By doing so, any existing “expectation gap” between the standards expected and those prescribed can be addressed or explained.

13. ეთიკის ეროვნული კოდექსის შემუშავებისას წევრმა ორგანიზაციებმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ, რომ მომსახურების გაწევისას სამოგადოება და დამკვეთები მათგან მოელოდნენ ეთიკის სტანდარტების დაცვას, ამიტომ მხედველობაში უნდა მიიღონ მათი მოსამრებები. ამ დროს ნებისმიერი „შეუსაბამობა მოლოდინში“, რასაც შეიძლება აღვიღოთ პქონდეს მოსალოდნელ და დადგენილ სტანდარტებს შორის, ყოველთვის უნდა აიხსნას და განმარტოს.

Objectives

14. The Code recognizes that the objectives of the accountancy profession are to work to the highest standards of professionalism, to attain the highest levels of performance and generally to meet the public interest requirement set out above. These objectives require four basic needs to be met:

- *Credibility*

In the whole of society there is a need for credibility in information and information systems.

- *Professionalism*

There is a need for individuals who can be clearly identified by clients, employers and other interested parties as professional persons in the accountancy field.

მიზნები

14. კოდექსით აღიარებულია, რომ ბუღალტრის პროფესიის მიზნები არის უმაღლესი პროფესიონალიზმის, საქმიანობის ყველაზე მაღალი სტანდარტების შენარჩუნება და, სამოგადოებრივ, ზემოაღნიშნული სამოგადოებრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილება. ამ მიზნების განხორციელება მოითხოვს ქვემოთ განხილული ოთხი ძირითადი პრინციპის შესრულებას:

- *სანდლობა*

მთელ სამოგადოებას აქვს მოთხოვნილება, რომ მისთვის მიწოდებული ინფორმაცია და, საერთოდ, საინფორმაციო სისტემები იყოს სანდო;

- *პროფესიონალიზმი*

არსებობს მოთხოვნილება, რომ დამკვეთების, დამქირავებლებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მიერ შერჩეული პირები იყვნენ პროფესიონალები ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში.

• *Quality of Services*

There is a need for assurance that all services obtained from a professional accountant are carried out to the highest standards of performance.

• *Confidence*

Users of the services of professional accountants should be able to feel confident that there exists a framework of professional ethics which governs the provision of those services.

• *მომსახურების ხარისხი*

არსებობს მოთხოვნილება, რომ პროფესიონალმა ბუღალტერმა ყველა სახის მომსახურება გაწეოს უმაღლესი სტანდარტებითა და ხარისხით.

• *ნდობა*

პირებს, რომელთაც პროფესიონალი ბუღალტრები უწევენ მომსახურებას, უნდა ჩამოუყალიბდეთ ნდობა იმით, რომ არსებობს პროფესიული ეთიკის ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც გაიწევა მომსახურება.

Fundamental Principles

15. In order to achieve the objectives of the accountancy profession, professional accountants have to observe a number of prerequisites or fundamental principles.

16. The fundamental principles are:

• *Integrity*

A professional accountant should be straightforward and honest in performing professional services*.

• *Objectivity*

A professional accountant should be fair and should not allow prejudice or bias, conflict of interest or influence of others to override objectivity.

ძირითადი პრინციპები

15. ბუღალტრის პროფესიის მიზნების მისაღწევად პროფესიონალმა ბუღალტრებმა უნდა დაიცვან რიგი წინაპირობები ანუ ძირითადი პრინციპები.

16. ეს ძირითადი პრინციპებია:

• *პატიოსნება*

პროფესიული მომსახურების* გაწევისას პროფესიონალი ბუღალტერი უნდა იყოს პირდაპირი და პატიოსანი.

• *ობიექტურობა*

პროფესიონალი ბუღალტერი უნდა იყოს კეთილსინდისიერი, არ უნდა დაუშვას მიკერძოება, ინგერესთა კონფლიქტი ან არ მოექცეს სხვისი გავლენის ქვეშ, რაც შელახავს მის ობიექტურობას.

* For definitions see pages 564-567

* განსაზღვრებებისთვის იხ. გვ. 564-567

- *Professional Competence and Due Care*

A professional accountant should perform professional services with due care, competence and diligence and has a continuing duty to maintain professional knowledge and skill at a level required to ensure that a client or employer receives the advantage of competent professional service based on up-to-date developments in practice, legislation and techniques.

- *Confidentiality*

A professional accountant should respect the confidentiality of information acquired during the course of performing professional services and should not use or disclose any such information without proper and specific authority or unless there is a legal or professional right or duty to disclose.

- *Professional Behavior*

A professional accountant should act in a manner consistent with the good reputation of the profession and refrain from any conduct which might bring discredit to the profession. The obligation to refrain from any conduct which might bring discredit to the profession requires IFAC member

- *პროფესიონალური კომპეტენცია და სათანადო ყურადღება, გულისხმიერება*

პროფესიონალმა ბუღალტერმა სათანადო ყურადღებით, კომპეტენტურობითა და გულმოდგინებით უნდა გასწიოს პროფესიული მომსახურება, მუდმივად სრულყოს პროფესიული ცოდნა და კვალიფიკაცია და შეინარჩუნოს კვალიფიკაციის საჭირო დონე, რათა უზრუნველყოს დამკვეთისა და დამქირავებელის სარგებლობა კომპეტენტური მომსახურების გაწევით, რაც დაფუძნებული იქნება თანამედროვე საბუღალტრო პრაქტიკაზე, კანონმდებლობასა და მეთოდიკაზე.

- *კონფიდენციალობა*

პროფესიონალმა ბუღალტერმა პატივი უნდა სცეს პროფესიული მომსახურების გაწევის პროცესში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობას და არ უნდა გამოიყენოს ან გაახმაუროს ასეთი ინფორმაცია სათანადო და სპეციალური უფლებამოსილების გარეშე, თუკი ამ ინფორმაციის გამჟღავნება არ არის საკანონმდებლო ან პროფესიული მოთხოვნა ან ვალდებულება.

- *პროფესიული ქცევა*

პროფესიონალმა ბუღალტერმა საქმიანობა უნდა წარმართოს თავისი პროფესიის კარგი რეპუტაციის შესაბამისად და თავი შეიკავოს ისეთი ქცევისაგან, რამაც შეიძლება დასკრედიტაცია მოუტანოს პროფესიას. პროფესიონალ ბუღალტერთა ამ უკანასკნელი ვალდებულებიდან

bodies to consider, when developing ethical requirements, the responsibilities of a professional accountant to clients, third parties, other members of the accountancy profession, staff, employers, and the general public.

• *Technical Standards*

A professional accountant should carry out professional services in accordance with the relevant technical and professional standards. Professional accountants have a duty to carry out with care and skill, the instructions of the client or employer insofar as they are compatible with the requirements of integrity, objectivity and, in the case of **professional accountants in public practice**^{*}, independence (see Section 8 below). In addition, they should conform with the technical and professional standards promulgated by:

- IFAC (e.g., International Standards on Auditing);

International Accounting Standards Committee;

- the member's professional body

გამომდინარე, ბუღალკერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ, რომ ეთიკის ნორმების შემუშავების პროცესში გაითვალისწინონ პროფესიონალ ბუღალკერთა პასუხისმგებლობა დამკვეთების, მესამე მხარეთა, თავისი პროფესიის სხვა წარმომადგენლების, თანამშრომლების, დამქირაველების და საერთოდ საზოგადოების წინაშე.

• *ტექნიკური სტანდარტები*

პროფესიონალმა ბუღალკერმა პროფესიული საქმიანობა უნდა წარმართოს შესაბამისი ტექნიკური და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად. პროფესიონალი ბუღალკრები ვალდებული არიან ყურადღებითა და საქმის ცოდნით შეასრულონ დამკვეთის ან დამქირაველის მითითებები ისე, რომ ეს შეესაბამებოდეს პატიოსანებისა და ობიექტურობის მოთხოვნებს, ხოლო საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალკრები ამავედროულად უნდა დამოუკიდებელი იყვნენ (იხ. სექტორი 8). გარდა ამისა, მათ უნდა დაიცვან ტექნიკური და პროფესიული სტანდარტების მოთხოვნები, რომლებიც დაწესებულია:

- ბსს-ს მიერ (მაგალითად, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები);

- ბუღალკრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ;

- წევრი პროფესიული ორგანი-

or other regulatory body; and

- relevant legislation.

The Code

17. The objectives as well as the fundamental principles are of a general nature and are not intended to be used to solve a professional accountant's ethical problems in a specific case. However, the Code provides some guidance as to the application in practice of the objectives and the fundamental principles with regard to a number of typical situations occurring in the accountancy profession.

18. The Code set out below is divided into three parts:

- Part A applies to all professional accountants unless otherwise specified.
- Part B applies only to those accountants in public practice.
- Part C applies to **employed professional accountants**,* and may also apply, in appropriate circumstances, to accountants employed in public practice.

ზაციების ან სხვა მარეგულირებული ორგანოების მიერ;

- შესაბამისი კანონდებლობით.

კოდექსი

17. კოდექსის ამოცანები და ძირითადი პრინციპები ზოგადი ხასიათისაა და მათი გამოყენება არ არის გათვალისწინებული პროფესიონალი ბუღალტრის ეთიკასთან დაკავშირებული რაიმე კონკრეტული შემთხვევის გადაწყვეტის მიზნით. ამასთან კოდექსი გუთავაზობს რიგი მითითებებს ამ ამოცანებისა და პრინციპების პრაქტიკულ გამოყენებასთან დაკავშირებით ისეთი გიჰური სიტუაციებისთვის, რომლებიც წარმოიშეება პროფესიულ პრაქტიკაში.

18. კოდექსი სამ ნაწილად იყოფა:

- ნაწილი ა – განკუთვნილია ყველა პროფესიონალი ბუღალტრისთვის
- ნაწილი ბ – განკუთვნილია საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრებისთვის
- ნაწილი გ – განკუთვნილია დაქირავებული პროფესიონალი ბუღალტრებისთვის* და შესაფერის ვითარებაში შესაძლოა აგრეთვე მისაღები იყოს საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული ბუღალტრებისთვისაც.

* For definitions see pages 564-567

* განსაზღვრებებისთვის იხ. გვ. 564-567

**PART A — APPLICABLE
TO ALL PROFESSIONAL
ACCOUNTANTS**

**ნაწილი ა ყველა
პროფესიონალი
ბუღალტრისთვის**

SECTION 1

სექტორი I

Integrity and Objectivity

**პატიოსნება და
ობიექტურობა**

1.1. Integrity implies not merely honesty but fair dealing and truthfulness. The principle of objectivity imposes the obligation on all professional accountants to be fair, intellectually honest and free of conflicts of interest.

1.1. პატიოსნება მოიცავს არა მარტო კეთილსინდისიერ საქმიანობას, არამედ სამართლიანობასაც. ობიექტურობის პრინციპი ყველა პროფესიონალ ბუღალტერს ავალებულებს, რომ იყოს კეთილსინდისიერი, მორალურად პატიოსანი და ინტერესთა კონფლიქტისაგან თავისუფალი.

1.2. Professional accountants serve in many different capacities and should demonstrate their objectivity in varying circumstances. Professional accountants in public practice undertake reporting assignments, and render tax and other management advisory services. Other professional accountants prepare financial statements as a subordinate of others, perform internal auditing services, and serve in financial management capacities in industry, commerce, the public sector and education. They also educate and train those who aspire to admission into the profession. Regardless of service or capacity, professional accountants should protect the integrity of their professional services, and maintain objectivity in their judgment.

1.2. პროფესიონალი ბუღალტრები საქმიანობას ეწევიან სხვადასხვა სფეროში, სადაც მათ ობიექტურობა უნდა გამოავლინონ განსხვავებულ ვითარებაში. სამოგალოებრივი პრაქტიკით დაკავებულ პროფესიონალ ბუღალტრებს ეკისრებათ საანგარიშგებო დავალებების შესრულება, საკონსულტაციო მომსახურების გაწევა საგადასახადო სფეროსა და მენეჯმენტის საკითხებში. სხვები ამზადებენ ფინანსურ ანგარიშგებას, როგორც ხელქვეითები, ასრულებენ მიღა აუდიტორულ მომსახურებას და ფინანსების მართვას წარმოებაში, ვაჭრობაში, სახელმწიფო სექტორსა და განათლების სფეროში. ისინი ამზადებენ და ასწავლიან იმ პირებს, რომელთაც სურთ ამ პროფესიის დაუფლება. თავიანთი მდგომარეობისა და საქმიანობის სფეროს მიუხედავად

პროფესიონალი ბუღალტრები კეთილსინდისიერად უნდა ეწეოდნენ პროფესიულ მომსახურებას და ყოველთვის ობიექტური უნდა იყვნენ გადაწყვეტილების მიღებისას.

1.3. In selecting the situations and practices to be specifically dealt within ethics requirements relating to objectivity, adequate consideration should be given to the following factors:
